# ლელო

№071
(12 141)
27 მარტი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა



**მუხლი და ასაკი**

შოთა არველაძე: ნაკრებიდან მივდივარ, მაგრამ ჯერ არა

3



**მარტვალაძე: დაბრუნება და გოლი**

4



**ჭიდაობაზე: კეტოევი და ქეთიშვილი**

შესაძლოა, ძმები ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზე გადაეყარონ

თავისუფალი ჭიდაობა

10

საქართველო-ფარერები. 28 მარტი. 20:00

# სამის გამოგვაკლდა

## ხიზანიშვილი თბილისში არ ჩამოსულა





მაინც უნდა ვითამაშოთ, მაინც უნდა მოვიგოთ!

2



## ოლსენი: 6:0 აღარ იქნება, ახლა ჩვენ ვაპირებთ მოგებას

გუშინ, ვაკეში. ფარერელები თან ერთობოდნენ, თან ვარჯიშობდნენ

2

**დადასტურდა: კაპელო რეალს ტოვებს**

**ლუკა ტონი ფლორენციას ემშვიდობება**

**არეულობა ინგლისის ნაკრებში**

მსოფლიო ფეხბურთის ამბები 5-9

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ფარერები. მატჩის წინ



# შოტლანდიიდან ფარერებამდე

## ვარჯიშზე სამი კაცი გვაკლდა

გუშინწინ, გვიან ღამით, გლაზგოდან ჩამოფრენილი საქართველოს ნაკრები, გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, ტექნიკურ ცენტრში შეიკრიბა. ექვსის ნახევარზე კი ეროვნულმა გუნდმა თენგიზ სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ივარჯიშა.

**გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე, ზაალ ელიავა, გიორგი შაშიაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გოგიტა გოგუა, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით მუჯირი, ჯაბა კანკავა, ლადო ბურდული, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი გემეტრაძე, მიხეილ აშვეთია, დავით სირაძე.**

აი, ამ 17 ფეხბურთელმა ივარჯიშა. შოტლანდიაში მყოფთაგან, სამს გუშინ არ უვარჯიშია გუშინ. **შოთა არველაძე,** რომელსაც დიდი დატვირთვებისა და განსაკუთრებით, სიცივისას ნაოპერაციები მუხლის ტკივილები აწუხებს ხოლმე, მწვრთნელებმა დაასვენეს. შოტლანდიაში დაშავებული **ზურაბ ხიზანიშვილი** საქართველოში არ ჩამოსულა და მტკივანი საზარდულის მკურნალობას ინგლისში გააგრძელებს. მესამე გამოკლებული ფეხბურთელი მეკარე **გრიგოლ ჭანტურიაა,** რომელმაც გუშინდელი ვარჯიშიდან გათავისუფლება ითხოვა.

ნელი სირბილი მოედნის ირგვლივ, მოთელვა და გაწელვითი ვარჯიშები, მერე კვადრატი, ორკარა ნახევარ მოედანზე და ბოლოს კარში დარტყმები. ამ კომპონენტებისგან შედგებოდა გუშინდელი ვარჯიში, რომელიც საათნახევრს გაგრძელდა.

ორკარას თამაშისას მწვრთნელებმა, გადასაცმელების მიხედვით, გუნდი ორ ნაწილად, "მწვანეებად" და "ლურჯებად" გაყვეს. ვარჯიში ხალისიანად და მონდომებით მიმდინარეობდა. წვრთნა ნაადრევად დატოვა **გოგიტა გოგუამ,** რომელმაც ფეხი იტკინა, მაგრამ, როგორც გავარკვიეთ, საგანგაშო არაფერია.

*"ვერ ვიტყოდი, რომ ბიჭებმა არ მოვინდომეთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ, მარცხს ვერ ავცდით. რალა თქმა უნდა, უკეთაც შეიძლებოდა, მაგრამ... ბოლო წუთებზე დაშვებული შეცდომის გამო დავმარცხდით.*

*ასეთი პრინციპული თამაშის წაგების შემდეგ, კარგ ხასიათზე ნამდვილად არ ვართ, მაგრამ ორ დღეში მატჩი გველის, ფეხბურთი ასეთია და ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ. რალა თქმა უნდა, ფარერებს შოტლანდიაზე გაცილებით სუსტი გუნდი ჰყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 3 ქულა უკვე ჯიბეში გვაქვს. ფარერებთანაც ბრძოლა მოგვიწევს და მჯერა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება",* - ვარჯიშის შემდეგ გვითხრა გუნდის კაპიტანმა **ლევან კობიაშვილმა.**

მისმა სეხნია **ცქიტიშვილმა** კი შემდეგი განაცხადა:

*"გლაზგოში დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, ცოდოც კი ვიყავით, მაგრამ ბოლოს დაშვებულმა შეცდომამ მატჩის ბედი გადაწყვიტა. წინ მორიგი მატჩი გვაქვს და 3 ქულა უნდა მოვიპოვოთ".*

დღეს ნაკრები ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე ივარჯიშებს. მანამდე, იმავე არენაზე, მეტოქე ფარერები ჩაატარებს წვრთნას. ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში კი 18:30 სთ-ზე ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი** პრესის წინაშე წარდგება.

**დავით ცაბაძე**

სტუმრები

# ოლსენის მეორე ვიზიტი

ფარერის კუნძულების ეროვნული ნაკრები თბილისში, გუშინ, დილის ხუთის ნახევარზე ჩამოფრინდა და სასტუმრო "შერატონში" დაბინავდა. რამდენიმე საათი სტუმრებმა დასვენებას მოანდომეს, რის შემდეგაც სავარჯიშოდ გამართნენ.

კუნძულელებმა "მიხეილ მესხს" დათქმულ დროს, 17 საათზე მიაკითხეს და მოედანს მხიარულად მოეფინნენ. პროფესიონალთა ვარჯიშს ნამდვილად არ ჰგავდა, ფეხბურთელები საქმეს მეტისმეტად ლაღად მიუდგნენ, ფარერელები ყოველ წუთში ხარხარებდნენ, რაც, ძირითადად, მათ უხეირო გარჯას მოჰყვებოდა ხოლმე. არც მწვრთნელები იკლავდნენ თავს შენიშვნებით.

წვრთნის დეტალურად აღწერას არ შევუდგებით, საინტერესო და დასამახსოვრებელი ნამდვილად არაფერი ყოფილა, იყო ტრადიციული მოთელვა, კვადრატი, ორმხრივი თამაში. თვალშისაცემი სტუმართა მეტისმეტად დაბალი საშემსრულებლო ოსტატობა გახლდათ, ისინი ხშირად ვერც ბურთს აჩერებდნენ ნორმალურად და კარში ზუსტი დარტყმაც სულ რამდენიმეჯერ ვნახეთ. შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა მეკარე **მიკელსენი,** რომელმაც უკრაინელებთან მატჩშიც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა.

უშინაარსო ვარჯიშმა დაახლოებით საათნახევარს გასტანა

ფარერელთა მთავარი მწვრთნელმა



ფარერელებმა ვაკეში ივარჯიშეს

**იოგვან მარტინ ოლსენი** ბლიც-ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და თავიც გაგვახსენა. თბილისში იგი ოთხი წლის წინაც იყო, თავისი ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრების დამრიგებლის რანგში. მაშინ მისი გუნდი ქართველ თანატოლთა მეტოქე იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

- მაშინ თქვენი ქალაქი ძალიან მომეწონა. სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ახლა ნაკლებად გვაქვს და ამიტომაც თბილისის დათვალიერებას, ალბათ, ვერ მოვასწრებთ. რაც მთავარია, ამინდია შესანიშნავი, თქვენთან უკვე ნამდვილი გაზაფხულია.

**- წარმატების რეალური იმედი თუ გაქვთ?**

- რატომაც არა?! მართალია, შარშან, აგვისტოში, საქართველოს ნაკრებთან შინ 0:6 დავმარცხდით, მაგრამ დღეისათვის გაცილებით ძლიერი გუნდი გვყავს. თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯებით და ვცდილობთ, მეტოქეს არაფერი დავუთმოთ. მიმდინარე შესარჩევში ჯერ ქულაც არ მოგვიპოვებია და მოხარული ვიქნები, თუ ნავსს ამ ოთხშაბათს გავტეხთ. საქართველოს ნაკრები ძლიერი, ტექნიკური გუნდია, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ფრისთვის ვიბრძოლებთ.

**- უკრაინასთან ჩატარებული მატჩით კმაყოფილი ხართ?**

- დავმარცხდით, მაგრამ ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია. სწრაფი გოლი რომ არ მიგვეღო, ფრის მიღწევის შანსიც გვექნებოდა. ვეცდებით, ამ თამაშში დაშვებული შეცდომები თბილისში არ გავიმეოროთ.

**- ქართულ ფეხბურთზე თუ ფლობთ ინფორმაციას?**

- სულ ახლახან გავიგე, რომ რომელიღაც ქართულ კლუბს დიდი ხნის წინ ევროთასი მოუგია. თანამედროვე ქართველ ფეხბურთელებზე კი ბევრი გამიგია, ვიცი, რომ თქვენი ნაკრების ბევრი წევრი ძლიერი ევროპული კლუბების ღირსებას იცავს.

**- სერიოზული დანაკლისი ხომ არ გაქვთ?**

- არა, საბედნიეროდ, ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში გვყავს.

აქვე გეტყვით, რომ სტუმრები დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, 17 საათზე ივარჯიშებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# ნაკრებიდან წავალ, მაგრამ ჯერ არა



გლაზგოს მატჩის შემდეგ. შოთა არველაძისა და ალექს მაკლიშის შეხვედრა

**გლაზგოური** მატჩის შემდეგ, ბრიტანულ პრესაში ცნობა გაჩნდა, შოთა არველაძე სანაკრებო კარიერას ამთავრებსო. ბუნებრივია, ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს, მაგრამ ის კი ადვილი წარმოსადგენია, რომ შოთა არველაძის ეროვნული გუნდიდან წასვლა, რბილად რომ ვთქვათ, მცირედი დანაკლისი ნამდვილად არ იქნება. თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს, შოთას ადგილი სხვა თავდამსხმელებმა უნდა დაიკავონ და სამისოდ აქედანვე უნდა დაიჭირონ თადარიგი.

სხვათა შორის, ამ თემას ეროვნული გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც შეეხო. მწვრთნელმა აღნიშნა, ამ საკითხს მე და შოთა ერთად გადავწყვეტთო.

**შოთა არველაძეს გუშინ დავუკავშირდით და გლაზგოური მატჩის გარდა, საინტერესო თემებსაც შევეხეთ.**

- გლაზგოში ჩასვლისთანავე აშკარად ვიგრძენი, რომ შოტლანდიელებს ჯერ კიდევ კარგად ვახსოვარ და, ასე ვთქვათ, მოვნატრებივარ კიდეც. ქუჩაში რომ გავიარე, სადაც არ შევედი, ყველგან ტაშითა და ოვაციებით დამხვდნენ. რათა თქმა უნდა, მესიამოვნა და ეს თამაშის წინ, ერთგვარად, დამატებითი სტიმულიც კი იყო ჩემთვის.

**- უშუალოდ თამაშზე რისი თქმა შეგიძლია?**

- პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და ეს თვალნათლივ გამოჩნდა. მეორე ნახევარში კი არაორგანიზებულობა დაგვეტყო. ბურთი უნდა დაგვეჭირა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ჩვენს გუნდს შუაში ერთობ გაუჭირდა, რაც, ბუნებრივია, შეტევით პოტენციალსაც დაეტყო. მასპინძლებმა ამით კარგად ისარგებლეს და შემოგვიტიეს. არადა, თუნდაც მეორე ტაიმში, რამდენიც შევუტიეთ შოტლანდიელებს, იმდენჯერ ხიფათი შევქმენით მეტოქის კართან.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ჩვენი გუნდის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ყრუდ ჩავჯექით დაცვაში და მარცხიც ამან განაპირობა. ეს მწვრთნელმა დაგავალათ თუ ვითარებამ გაიძულათ?**

- შოტლანდიელებმა მეორე ტაიმში ბევრად უკეთ ითამაშეს. ეს გარკვეულწილად ჩვენი "დამსახურებაც" კი იყო. ბურთს ხშირად ვკარგავდით და, ბუნებრივიამ, ამ დროს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა გვიწევდა. ამდენი შეტევა რომ მოდის, გინდ ჩაჯექი და გინდ არა... ეეჰ, ძალიან დამწყდა გული. ის დასანანი გოლი რომ არა, გლაზგოდან ქულას წამოვიღებდით.

**- აღნიშნა, გლაზგოში შოტლანდიას არ მოუგია, ჩვენ წავაგეთო. ამ მოსაზრებას თუ ეთანხმები?**

- ნაწილობრივ ვეთანხმები კიდეც. ეს თამაში ნამდვილად არ უნდა წაგვეგო. ორივე გუნდს არაერთი შანსი ჰქონდა ანგარიშის შეცვლისა, მაგრამ... იცით რას დავაკვირდი? მეორე სართულზე თამაში შოტლანდიელთა კოზირად კი ითვლება, მაგრამ ამ კომპონენტში ვაჯობეთ, ჩვენი კოზირი, ბურთის დაჭერა და გაგორება კი სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ. შეტევაზე უფრო მეტი აქცენტი რომ გაგვეკეთებინა, თამაშს ნამდვილად არ წავაგებდით.

**- გოლი მართლაც ეფექტური გაიტანე. იქნებ ის მომენტი გაიხსენო...**

- იმ ეპიზოდში დემეტრაძის გარჯა არ უნდა დაგვავიწყდეს. მან ყველაფერი ჩინებულად გააკეთა და საჯარიმოშიც კარგად ჩააწოდა. მცველები ხელს მიშლიდნენ, მაგრამ მოვახერხე და ბურთს თავი მივარტყი... ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი გოლის შემდეგ, ანგარიში რომ აღარ შეცვლილიყო.

**- მატჩის შემდეგ ყოფილი მწვრთნელი ალექს მაკლიში გინახავს...**

- კი, ვნახე. მატჩი რომ დამთავრდა, მაკლიში გვერდით ხაზთან, სათადარიგოთა სკამის სიახლოვეს მელოდა. მივედი და მომესალმა. მეც წარმატებები ვუსურვე და დამემშვიდობა.

**- ახლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გკითხავ. ჯერ კიდევ გლაზგოში გითქვამს, ფარერებთან ვითამაშებ და ნაკრებიდან წავალო. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა?**

- ასაკისა და მტკივანი მუხლის გათვალისწინებით ეს გარდაუვალია. ბუნებრივია, მოვა დრო და მეც მომიწევს ნაკრებთან გამოთხოვება. ამაზე უკვე კარგა ხანია ვფიქრობ.

**- ფარერებთან ითამაშებ ნაკრებში ბოლო თამაშს?**

- ნაკრებიდან მართლაც წავალ, მაგრამ ამას დღეს-ხვალ არ ვაპირებ.

**- ე. ი. მიმდინარე შესარჩევ ციკლს ჩაამთავრებ?**

- დღეს ამაზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ჩემს მუხლზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- ამ საკითხს კლაუს ტოპმიოლერიც შეეხო და თქვა, ამას მე და შოთა ერთად გადავწყვეტთო.**

- დიახ, დავილაპარაკებთ და გადავწყვეტთ. ვფიქრობ, დროა, გზა ახალგაზრდებს დავუთმო. იმედია, ღირსეული შემცვლელები მეყოლება. ძალიან მინდა, ჩვენმა ნაკრებმა დარჩენილ მატჩებში ბევრად უფრო წარმატებულად იასპარეზოს და ვფიქრობ ასეც იქნება.

**დავით ცაბაძე**

21-წლამდელთა ნაკრები

# ტრაბზონი დავბომბეთ

**ტრაბზონსპორი-საქართველო 0:4**

0:1 გ. კაშია (15), 0:2 დვალიშვილი (20), 0:3 ხორგუაშვილი (30), 0:4 გრიგალაშვილი (70. პენალტით)

საქართველო: კვასხვაძე, ლობჟანიძე, ხუბუტია, გ. კაშია, ელბაქიძე, მახარაძე, ჩირიკაშვილი, კახელიშვილი, ხორგუაშვილი, ხოხონიშვილი, დვალიშვილი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: დგებუაძე, დაუშვილი, ჩიმაკაძე, ნავალოვსკი, კობახიძე, გრიგალაშვილი, კვარაცხელია.

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა. **პეტარ სეგრტის** გუნდი "ტრაბზონის" გადახალისებულ შემადგენლობას დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით 4:0 მოიგო. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მასპინძელთა რიგებში "ტრაბზონსპორის" ძირითადი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმაც იასპარეზა. ქართველებმა მეტოქე პირველ ტაიმშივე გატეხეს და სამბურთიანი ფორით გავიდნენ შესვენებაზე. მეორე ნახევარში კი **შოთა გრიგალაშვილმა** პენალტი გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ჩვენი ახალგაზრდები შეკრებას დღეს დაასრულებენ და სამშობლოში გამოემგზავრებიან.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# იაშვილი მიდის



ზუსტად 10 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც **ალექსანდრე იაშვილი** "ფრაიბურგში" ჩაირიცხა. გუნდი მაშინაც მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა და ახლაც იქაა. შუალედში იყო ბუნდესლიგური გამონათებები, მაგრამ მთავარი სხვაა - ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთი ქართველი ლეგიონერი უცხოურ კლუბს არ შემორჩენია.

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გუნდის ლიდერი და კაპიტანია. **ფოლკერ ფინკეს** გუნდმა მეორე წრე ძალიან კარგად დაიწყო და ლიდერთა სამეულსაც მიუახლოვდა. ასე გაგრძელების შემთხვევაში, დიდია შანსი, "ფრაიბურგი" კვლავ ბუნდესლიგას დაუბრუნდეს.

თუმცა გუნდის გადასვლა-არგადასვლაზე აღარაა დამოკიდებული ის, დარჩება თუ არა ქართველი თავდამსხმელი ბრაუსგაუელთა შორის. ის გუნდის დატოვებას აპირებს.

*"არ მსურს ჯერ ახალ გუნდზე საუბარი, მაგრამ სეზონის ბოლოს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი მიმთავრდება და შემიძლია გითხრათ, რომ ახალ სეზონს სხვაგან შევხვდები. ეს 90 პროცენტით გადაწყვეტილია. "ფრაიბურგი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ამ გუნდიდან გამიცნეს გერმანელებმა, მაგრამ დროა, ძალები სხვაგანაც მოვსინჯო"* - გვითხრა გუშინ იაშვილმა.

ალექსანდრე იაშვილს შოტლანდიაში უთამაშებლობის მიზეზზეც ვკითხეთ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. რაც შეეხება ფარერებთან მატჩს, ის დარწმუნებულია, რომ ეს მატჩი საქართველომ უნდა მოიგოს...

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველო-ფარერები. 28 მარტი. 20:00





ფარერებთან მატჩის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური ბილეთების, სტადიონზე შესვლისა და გულშემატკივართა განთავსების მხრივ გარკვეულ ცვლილებებზე გვამცნობს. ბილეთები სხვადასხვა ღირებულებისაა. მათი ფასი 5, 10 და 20 ლარი იქნება სექტორებისა და ადგილების მიხედვით. ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში 27 და 28 მარტს, 12-დან 17 საათამდე. ამასთან, ბილეთები ოთხი ფერისაა (წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი) და თითოეულისთვის ცალკე შესასვლელი იქნება გამოყოფილი.

**წითელი ფერის ბილეთები (სამხრეთი):** ცაგაძის ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე, 4 ჭიშკარი;

**ყვითელი (ჩრდილოეთი) და ლურჯი (დასავლეთი):** საგურამოს ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე, 5 ჭიშკარი.

**ლურჯი (დასავლეთი):** ყიფიანისა და ცაგაძის ქუჩების კუთხე, 3 ჭიშკარი, ცაგაძის ქუჩიდან 4 ჭიშკარი;

**მწვანე (აღმოსავლეთი):** წერეთლის გამზირი, 5 ჭიშკარი.

სტადიონის ყველა (21) ჭიშკარი თამაშამდე და მატჩის დამთავრებისთანავე გაიღება. შესასვლელებში იქნება საინფორმაციო ტრაფარეტები. სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება ასევე საინფორმაციო პუნქტები. მატჩს მოემსახურება 60 უნიფორმიანი სტიუარდი. მათგან გულშემატკივარი ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას მიიღებს. ბილეთები კი ფასების მიხედვით ასე დაიყოფა:

**5 ლარი:** წითელი და ყვითელი ფერის ბილეთები (ორივე იარუსზე);

**10 ლარი:** სექტორები 5, 6, 11, 12 (დასავლეთი) და 20, 21, 22, 25, 26, 27 (აღმოსავლეთი);

**20 ლარი:** სექტორები 13, 14, 15, 16, 23, 24 (აღმოსავლეთი) და სექტორები 7, 9, 10 (დასავლეთი).

ბავშვები უბილეთოდ არ დაიშვებიან.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

# მენთეშაშვილი ვენტსპილსში



ზურაბ მენთეშაშვილი (18) შოტლანდიასთან მატჩისას. მარჯვნივ ლადო ბურდული

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** დიდი ხნის განმავლობაში უგუნდო იყო. იაროსლავლის "შინიკი" პრემიერლიგიდან გავარდა და ტრანსფერზე დაყენებულმა 26 წლის მოთამაშემ სამი თვის წინ დაწყებული კლუბის ძებნა ახლაღა დაასრულა.

"სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მცირე ხნით ადრე, ლატვიის ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" შემომთავაზა გადასვლა და დავთანხმდი. საკმაოდ ძლიერი გუნდია, პირობებიც კარგი აქვს და, რაც მთავარია, ბოლო წლებში რიგის "სკონტოს" სჯობნის. "ვენტსპილსში" პირველი წრის დასრულებამდე ვითამაშებ, შეიძლება, გუნდი მანამდეც დავტოვო. სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს, თუ საინტერესო წინადადება მექნა, ლატვიას დავტოვებ. სამწუხაროდ, ახლა მხოლოდ ზაპოროჟიეს "მეტალურგი" და "ვენტსპილსი" მიწვევდნენ და დიდი არჩევანი არც მქონდა".

ზურაბს არ დაუმალავს, რომ თავიდან რიგის "სკონტოში" ჩარიცხვის იმედი ჰქონდა, მაგრამ ტრანსფერი კურიოზული მიზეზის გამო ჩაეშალა.

*"მითხრეს, უკვე ბებერი ხარ და ვეღარ გამოგვადგებიო. კი გამიკვირდა, 26 წლის კაცი ნაადრევად რომ დამაბერეს, მაგრამ ნაცნობი გუნდია და ამიტომ მსურდა დაბრუნება, თორემ "ვენტსპილსი" დღეს უფრო ძლიერია და მხოლოდ ამის შემდეგ წავედი მათთან მოსალაპარაკებლად. მე ძალიან მაინტერესებს "ვენტსპილსი"-"სკონტოს" შეხვედრა. ელიავასა და გამეზარდაშვილთან დაპირისპირება საინტერესო იქნება".*

რაც შეეხება ზაპოროჟიეს "მეტალურგში" ჩაშლილ ტრანსფერს: *"მათ ერთი კვირა ვახლდი შეკრებაზე. მწვრთნელი მიცნობდა, მაგრამ ამ დროის გასვლის შემდეგ, მითხრა, კიდევ ხუთი დღე უნდა დაგაკვირდეთო და ეს აღარ მომეწონა. მე ჩასვლისთანავე პირდაპირ ვუთხარი, რომ მოუმზადებელი ვიყავი და ფიზიკურად მოვიკოჭლებდი. მას უნდა შეეფასებინა, ჩემნაირი მოთამაშე სჭირდებოდა თუ არა. თუმცა ამის შემდეგ კიდევ დაგაკვირდებითო და დარჩენის აზრი ველარ დავინახე".*

შოტლანდიასთან შეხვედრა მენთეშაშვილმა ძირითად შემადგენლობაში კი დაიწყო, მაგრამ დაღლა აშკარად დაეტყო და **კლაუს ტოპმიოლერმა** შესვენებისას შეცვალა.

*"ეს არ გამკვირვებია, პირიქით, ტოპმიოლერის ნდობა ძალიან მახარებს. მე ხომ მოსამზადებელი ეტაპი არც გამივლია. ჯერ თბილისში ვვარჯიშობდი, მცირე ხნით რუსთავის "ოლიმპთან" ერთად, შემდეგ კი ლატვიაში ჩემთვის ვემზადებოდი. რა თქმა უნდა, სანაკრებო დონისთვის ეს საკმარისი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, "შინიკის" შემდეგ ნორმალური გუნდის მოძებნა ძალიან გამიჭირდა. სხვათა შორის, ვერ ვიტყვი, რომ შოტლანდიელებთან ძალიან დავიღალე. ფიზიკურად არ გამჭირვებია, მაგრამ უგუნდობამ და მოუმზადებლობამ გავლენა რომ მოახდინა, ორი აზრიც არაა. ბურთთან ისე ვერ ვიყავი, როგორც მსურდა. ამიტომაც, ჩემი თამაშით უკმაყოფილო დავრჩი".*

ფარერებთან მომავალ თამაშს მენთეშაშვილი იმედით უყურებს, ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთო...

**მერაბ მამულაშვილი**



ჯაბა კანკავა იტალიასთან მატჩში

ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

# კიევის დინამოს დნეპრი ვამჯობინე

**შოტლანდიასთან მატჩამდე უკრაინულმა გაზეთმა "კომანდამ" ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს ნაკრებისა და "დნეპრის" ნახევარმცველ ჯაბა კანკავას. გთავაზობთ მასალის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს. ჯაბამ დაადასტურა, რომ დნეპროპეტროვსკელებთან ერთად, კიევის "დინამოშიც" იწვევდნენ...**

- "დნეპრში" გადასვლაზე დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა საუბარი, მაგრამ მხოლოდ შარშან გადავწყვიტე კლუბის შეცვლა.

**- სხვა კლუბში გიწვევდნენ?**

- იყო კიევის "დინამოს" ვარიანტიც, მაგრამ იქ ბევრი ღირსეული მოთამაშეა და, დიდი კონკურენციის გამო, ძნელია მწვრთნელის ნდობის მოპოვება. ამიტომაც გადავწყვიტე, არ გამერისკა და უპირატესობა "დნეპრს" მივანიჭე. აქ ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი მაქვს.

**- "ვორსკლასთან" წითელ ბარათს იმსახურებდი?**

- თამაშის დროს ძნელია ემოციების კონტროლი. დადკუმ არასათამაშო ეპიზოდში ფეხებში ჩამარტყა და მე შევეცადე, მისთვის მესწავლებინა, ამ დროს როგორ აჯობებდა მოქცევა. ვეთანხმები მსაჯის გადაწყვეტილებას, მაგრამ 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია უსამართლოდ მიმაჩნია... მოვლენები უკან რომ დაგვებრუნებინა, ისევე მოვიქცეოდი. მომხდარზე ნაღდად არ ვწუხვარ და არც ვნანობ. ამაზე ოლეგ პროტასოვის რეაქციამაც არ დააყოვნა და დამატებითი სასჯელის სახით პრემია ჩამომართვეს.

**- მწვრთნელებიდან შენზე ვინ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა?**

- ეს კაცი თბილისის "დინამოში" ჩემი ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძეა და ვცდილობ, მასთან ურთიერთობა შევინარჩუნო. უკრაინაში კი მამობილად "არსენალის" მწვრთნელი ალექსანდრ ზავაროვი მომევლინა. ძალიან კარგად მიმიღო, ძირითადში ადგილს მანდობდა... პირველად, ნაკრებში 18 წლისა მიმიწვიეს და უზომოდ ბედნიერი ვიყავი, ისევე როგორც გეგუჩაძე. ალენ ჟირესმა მითხრა, დაამტკიცე, რა შეგიძლიაო. მეც თავი გამოვიჩინე, ოღონდ... ყვითელი ბარათით.

**- როგორ აფასებ შესარჩევ ჯგუფში საქართველოს შანსს?**

- დიდი შანსები არ გვაქვს. უკრაინაში თუნდაც ქულის მოპოვება შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ფარერებთან მოგებაში კი ეჭვიც არ მეპარება... საერთოდ, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა ჩემი ოცნება. ჯგუფის ლიდერები კი, რა თქმა უნდა, საფრანგეთი და იტალია არიან.

**- მეტოქეთა მაისურებს თუ აგროვებ?**

- დიახ, მაქვს "სოშოს" მაისურა, კანავაროსიც, "ნიუკასლთან" უეფას თასზე შეხვედრის შემდეგ, მაისურა შირერსაც გავუცვალე. დრო მაქვს, რომ კოლექცია გავამდიდრო. უკრაინის ნაკრებთან ეს ჯერ ვერ მოვახერხე... ისე, რუსოლთან მინდოდა მაისურის გაცვლა.

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

- ორი თვე შეკრებაზე ვიყავით და თავისუფალი დრო არც მქონია. თანაც, ბაზიდან ბინაში ახლახან გადავედი. რამდენჯერმე ქართულ რესტორანს ვეწვიე. ისე, კალიანით თავის შექცევა მიყვარს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მარცვალაძემ გაიტანა, იმედაშვილიც დაბრუნდა

კიევის "დინამოში" დაბრუნების შემდეგ, **დავით იმედაშვილმა** პირველი შეხვედრა ჩაატარა. გუშინ, "დინამომ" სანაკრებო პაუზით ისარგებლა და თანაქალაქელ "არსენალთან" გააგორა ბურთი. თუმცა ისეთი ანგარიშით მოიგო, თამაშს ამხანაგურს ნამდვილად ვერ დავარქმევთ.

კიეველთა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ იმედაშვილიც და **კახა ალადაშვილიც,** ხოლო **ოთარ მარცვალაძე** კი თავიდან თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. "არსენალის" ძირითადში კი **ლაშა ჯაკობია** გამოჩნდა.

"მეთოფეები" ჯაკობიას მშვენიერი თამაშის წყალობით დაწინაურდნენ. ლაშამ ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, შემდეგ კი მისი გადაცემით **სელეზნიოვმა** ისარგებლა და ანგარიში გახსნა 1:0. მერე და მერე, დინამოელები უპირატესობას დაეუფლნენ და ვისაც არ დაეზარა, "არსენალს" ყველამ გაუტანა.

მეორე ტაიმში ჯაკობია შეცვალეს, 63-ე წუთზე კი მოედანზე მარცვალაძეც გამოჩნდა და სამ წუთში, **შაცკიხის** დაწყებული საქმე გოლით დააგვირგვინა. მან მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში 4:1 გახადა. საბოლოოდ კი "დინამომ" 6:1 მოიგო.



ოთარ მარცვალაძე

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე. იტალია

# დონადონი იძულებულია: ბუფონის ნაცვლად დე სანქტისი

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** შოტლანდიასთან ხვალინდელი მატჩისთვის სასწრაფოდ გამოიძახა "უდინეზეს" მეკარე **მორგან დე სანკტისი**, რომელმაც **ჯანლუიჯი ბუფონი** უნდა შეცვალოს. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს საუკეთესო კიპერს გასტროენტეროვირუსი შეეყარა. დონადონიმ მეკარის შეცვლის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც "იუვენტუსის" კარის დარაჯმა ზედიზედ ორი ვარჯიში გააცდინა. მწვრთნელს ლოდინის დრო არ აქვს, თუნდაც ეს ბუფონს ეხებოდეს. გასაგებია, რომ დე სანკტისი ძირითადში არ იქნება. მას მესამე მეკარედ დაუძახეს, შოტლანდიასთან შეხვედრაში კარს გამოცდილი **კრისტიან აბიატი** დაიცავს.

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი ამბები

# კალდერონი: კაპელო? ალბათ, არ დარჩება

## იტალიელის შემცვლელებად შუსტერი, ბენიტესი და მოურინიო დასახელდნენ

გუშინ **ხოსე რამონ კალდერონმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას **ფაბიო კაპელოს** წასვლის შესახებ მოახსენა: *"ფაბიო კაპელო ალბათ, აღარ დარჩება ჩვენს გუნდში. ბუნებრივია, მის სავარაუდო შემცვლელს ინტენსიურად ვეძებთ. წინა დღეებში გავრცელდა ხმები, რომ ბერნდ შუსტერს შევუთანხმდით. მსურს, ოფიციალურად მოგახსენოთ, რომ გერმანელთან მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, მაგრამ ისიც მინდა გაგიმხილოთ, რომ "ხეტაფეს" დამრიგებელი ერთადერთი არ არის, რომელთანაც ვსაუბრობთ. ჩვენთვის სასურველ მწვრთნელთა სიაში შუსტერის გარდა რაფა ბენიტესისა და ჟოზე მოურინიოს გვარებიც ფიგურირებს. ვფიქრობ, ისინი მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები არიან. იმედია, მოლაპარაკებები კონკრეტულ შედეგს გამოიღებს."*

ჟურნალისტებმა კალდერონს კაპელოს მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაც სთხოვეს: *"ბუნებრივია, რომ ჩვენი გულშემატკივრები და სოსიოები უკმაყოფილოები არიან. სამწუხაროდ, მრავალი მატჩი ძალიან დაბალ დონეზე ჩავატარეთ. ფაბიო კაპელო იმისთვის ჩამოვიყვანეთ, რომ გუნდისთვის, რომელსაც ბოლო წლებია არაფერი მოუგია, წარმატებები მოეტანა. იტალიელი სამუშაოს გულმოდგინედ შეუდგა, მაგრამ უამრავ პრობლემას გადაეყარა. საუბედუროდ, ფატალურად არ გვიმართლებს. ფეხბურთს დაუნდობელი კანონები აქვს და ჩვენ ვერაფერს შევცვლით. მიმაჩნია, რომ "რეალს" სიახლეები სჭირდება. რა თქმა უნდა, ამ საკითხს ერთპიროვნულად ვერ გადავწყვეტ. გუნდის ბედი დირექტორთა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. ისე კი გაგიმხელთ, რომ დირექტორატის უმრავლესობა აბსოლუტურად მეთანხმება."*

ამასობაში, ასპარეზზე **ბერნდ შუსტერი** გამოვიდა და დაუფარავად განაცხადა, რომ მადრიდის "რეალს" დიდი სიამოვნებით ჩაიბარებს. სხვათა შორის, აქამდე ის ამ თემაზე ღიად საუბარს გაურბოდა და სამეფო კლუბთან დაკავშირებულ ყველა კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. ახლა კი გერმანელი სპეციალისტი ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ რამონ კალდერონის ოფიციალურ შეთავაზებას ელის. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ჰერ შუსტერმა თავს იმის უფლებაც მისცა, რომ ფაბიო კაპელოსთვის ძველმოდური, საპენსიო ასაკის მწვრთნელი ეწოდებინა.

### მაგათი: რეალი კარგი იქნებოდა

"ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი, რეკორდმაისტერიდან იანვრის ბოლოს გათავისუფლებული **ფელიქს მაგათი** დღესდღეობით უმუშევარია და ახალ სამსახურს ეძებს. "დესპოტი ფელიქსი" პირდაპირ ამბობს, რომ ევროპული გრანდებიდან ელის მიწვევას. *"მაგალითად, მადრიდის "რეალი" ჩინებული ვარიანტი იქნებოდა!"* – ამბობს "ბაიერნის" ყოფილი დამრიგებელი, რომელიც მიუნხენურ კლუბში **ოტმარ ჰიტცფელდმა** შეცვალა.

*"აქტიური სპორტული კარიერა გერმანიაში გავატარე. მწვრთნელადაც მხოლოდ აქ ვმუშაობდი. ასე რომ, დროა, ბედი უცხოეთშიც ვცადო. რომელიმე ევროპულ გრანდს სიამოვნებით გავწვრთნი,"* – უთხრა მაგათმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და იქვე დაამატა, ძალიან მინდა, რომ სხვა ქვეყანაში ვიმუშაო, გერმანია ცოტათი მომბეზრდაო. გარდა ესპანეთისა, მას ინგლისის პრემიერლიგაში მუშაობის პერსპექტივაც ხიბლავს: *"ინგლისიც უდიდესი გამოწვევა იქნებოდა, მიმაჩნია, რომ პრემიერლიგა საჩემოა."*



კაპელო განაჩენს ელის

მას მერე, რაც "ბაიერნიდან" დაიფრინეს, ფელიქსი სატელევიზიო ექსპერტად მუშაობს და არ მალავს, რომ ეს სამსახურიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. *"ზაფხულამდე დავისვენებ, მერე კი აუცილებლად შევუდგები მუშაობას,"* – ამბობს 1980 წლის ევროპის ჩემპიონი მაგათი. შეგახსენებთ, რომ "ბაიერნიდან" გათავისუფლების შემდეგ მას დორტმუნდის "ბორუსიასა" და "ჰამბურგში" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფელიქსმა ორივე გუნდს უარი უთხრა, არც ისე კარგი ვარიანტები იყოო.

მილანი

# ინძაგი შეიძლება წავიდეს

## რონალდინიოს მისვლის შემთხვევაში, პიპოგოლი ღრმა თადარიგში გადაინაცვლებს

რონალდინიო კარგია, მაგრამ **პიპო ინძაგი**? აქედანვე ცხადია, რომ ბრაზილიელის "მილანში" გადასვლის შემთხვევაში, თავდამსხმელს თამაშის შესაძლებლობა კიდევ უფრო შეეზღუდება. ინძაგიც შეიძლება, ადგეს და კარიერის სხვა გუნდში დასრულება გადაწყვიტოს. არადა, იტალიურ პრესას თუ დავუჯერებთ, პიპო ის ფეხბურთელია, რომელიც "როსონერის" ტიფოზებს ყველაზე მეტად უყვართ...

თუ მომავალი სეზონიდან რონალდინიო "მილანის" ფეხბურთელი გახდება, ცხადია, რომ მწვრთნელის არჩევანი ბრაზილიური თავდასხმის "სამკბილაზე" შეჩერდება: რონალდინიო, **კაკა**, **რონალდო**. "გაძეტა დელო სპორტის" თანახმად, **კარლო ანჩელოტის** განკარგულებაში სამი საბაზისო მოდელი იქნება: 4-3-2-1 (რონალდინიო და კაკა რონალდოს უკან), 4-2-3-1 (**ზეედორფი** ორი ბრაზილიელი გამთამაშებლის გვერდით) და 4-3-1-2 (რონალდინიო გამთამაშებელი და კაკა მეორე თავდამსხმელად რონალდოსთან ერთად).

და იტალიელები? "მილანს" ორი მსოფლიო ჩემპიონი ფორვარდი ჰყავს – ინძაგი და **ჯილარდინო**. იტალიური პრესის მტკიცებით, დუბლიორის როლს ვერც ერთი და ვერც მეორე დასთანხმდება. დღესდღეობით ჯილარდინო მთლად არ ბრწყინავს, თან ის "იუვენტუსს" უნდა, მაგრამ ფორვარდმა კარგად იცის, რომ რონალდოსთან კონკურირება შეუძლია (ასაკი მის მხარესაა) და, რომ უკიდურეს შემთხვევაში, "ფენომენის" პირველ ალტერნატივას წარმოადგენს. ასე რომ, მისი "მილანში" დარჩენა უფრო რეალისტურია, ვიდრე წასვლა. განსხვავებული სიტუაციაა ინძაგის შემთხვევაში. პიპო შეგუებულია იმ აზრს, რომ 34 წლის ასაკში რეგულარულად თამაშის პრეტენზია ვერ ექნება. მის ბოლო განცხადებაში სწორედ ეს აზრი იკითხებოდა, თუმცა იკითხებოდა ამბიციაც: *"მე არ ვითხოვ ადგილს ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მინდა, რომ თავს "მილანისთვის" მნიშვნელოვან და სასარგებლო ფეხბურთელად ვგრძნობდე. ასე რომ არ იყოს, შეიძლება, წასვლაზეც მეფიქრა".*

სასარგებლო და მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ისაა, ვისაც ძირითადში ადგილი გარანტირებული არა აქვს, მაგრამ არც სათადარიგოს იარლიყი აქვს; ის, ვინც ხანდახან თამაშობს, მაგრამ არა მხოლოდ იტალიის თასზე; ის, ვისაც პრინციპული თამაშების დროს ანგარიშს უწევენ, რადგან წარსულში ხშირად ბევრი ასეთი თამაშის ბედი გადაუწყვეტია. თეორიულად, იერარქიები დარღვევადია, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად, რადგან მოედანზე რეალობა ხშირად სხვაა ხოლმე. "მილანი" შეტევაში ყოველთვის სამი კაცით ითამაშებს და ინძაგისაც მოუწევს საკუთარი თავის სავარუდო წამსვლელთა რიცხვში შეყვანა. რონალდინიოსა და კაკას რომ თადარიგში არავინ დასვამს, ეს ცხადზე ცხადია. იერარქიულად, მესამე რონალდოა. ასე რომ, ინძაგის ჯილარდინოსთან მოუწევს კონკურირება პირველი სათადარიგო ფორვარდის როლისთვის, რათა თავი გუნდის ნაწილად იგრძნოს. გასათვალისწინებელია ასევე **ოლივეირა**, რომელიც კლუბს საკმაოდ ძვირი დაუჯდა და ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვერავინ გააჩუქებს და ვერც ნახევარ ფასში გაყიდის. ასე რომ, სუპერპიპო დილემის წინაშე დგას. მომდევნო თვეები მისთვის ღრმა მედიტაციის თვეები იქნება. თუმცა ერთი რამე ცხადია: მისნაირი ვარსკვლავი უფლებამოსილია და ვალდებულიცაა, რომ კარიერის ბოლომდე წინა პლანზე იდგეს. ნებისმიერ გუნდში, ოღონდ წინა პლანზე.



ფილიპო ინძაგი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტონიმ გადაწყვიტა: ჩაო, ფლორენცია

## კლუბმა ფორვარდს ხელფასის გაორმაგებაზე უარი უთხრა, ლუკას მსურველთაგან ფავორიტი იუვენტუსია



ლუკა ტონი

"გაძეტა დელო სპორტის" თანახმად, **ლუკა ტონიმ** თანაგუნდელებსა და მწვრთნელს უკვე გამოუცხადა, რომ სეზონის ბოლოს "ფიორენტინიდან" წავა. მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შემთხვევაში რჩება იმის შანსი, რომ ცენტრფორვარდი გუნდში დარჩესო. თუმცა ოთხეულში მოხვედრის შანსი "ფიორენტინას" მართლაც რომ მიზერული აქვს. თუ სად და როგორ შეიძლება, განვითარდეს გიგანტი მეგოლის კარიერა, ამას თავად "გაძეტაში" გამოქვეყნებული სტატიიდან შევიტყობთ.

*"როცა დელა ვალეს დაველაპარაკები, ათი წუთიც საკმარისი იქნება შეთანხმების მისაღწევად".* შეიძლება, უფრო ნაკლებიც. **დიეგო დელა ვალე** და ლუკა ტონი ერთმანეთს უკვე კარგად იცნობენ. და პატივს სცემენ. გასულ ივლისს შეთანხმება დადეს. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს "ინტერთან" უკვე ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა: 4-წლიანი კონტრაქტი სეზონში 5-მილიონიანი ანაზღაურებით. მაგრამ ფლორენციის გულისთვის ყველაფერზე უარი თქვა. *"ვერცერთი ვერ გავექცევით პასუხისმგებლობას ახლა, როცა სერია B-ში დაქვეითება ან, საუკეთესო შემთხვევაში, დარჩენა და ქულების სერიოზული დაკლება გვემუქრება. გადავარჩინოთ "ფიორენტინა", მერე კი, ერთი წლის შემდეგ, თავისუფალი იქნები და მომავალს შენს ნებაზე გადაწყვეტ"* – ასე უთქვამს დელა ვალეს თავისი ბომბარდირისთვის. ტონიმ მეპატრონის გამოწვევა მიიღო, ისე, რომ ხელფასის მომატებაც არ მოუთხოვია. "ოქროს ბუცის" მფლობელი იღებდა და ახლაც იღებს სეზონში 1.5 მილიონ ევროს – გაცილებით ნაკლებს, ვიდრე **მორატი** სთავაზობდა.

თავისი არჩევანის გამო ტონის ერთხელაც არ უნანია. ფლორენციაში წლეულს განსაკუთრებულ სეზონს ატარებს, მოედანზე სიამოვნებას იღებს. **პრანდელის** გუნდი, "ინტერს" თუ არ ჩავთვლით, ამ ჩემპიონატის ნამდვილი მოვლენაა. და აღმასვლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. თუმცა ტონისთვის ეს სეზონი სტადიონის მიღმაც ბედნიერი იყო. აღმოაჩინა, რამხელა სიამოვნებაა ველოსიპედით ძველი ფლორენციის ქუჩებში გასეირნება და რამდენად სასიამოვნოა ურთიერთობა ტიფოზერიასთან, რომელმაც ის **ბატისტუტას** მემკვიდრედ აირჩია. ტონი დარჩენას ისურვებდა, მაგრამ იძულებულია, წავიდეს. ბომბარდირმა ამის თაობაზე თანაგუნდელებსა და მწვრთნელს გაანდო. ივნისში კარიერის უკანასკნელი მნიშვნელოვანი კონტრაქტი ელოდება. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ლუკა-გოლი ცდილობდა, გაეგო, შეიძლებოდა თუ არა "ფიორენტინაში" დაწესებული სახელფასო ლიმიტიდან (1,5 მილიონი ევრო) გამონაკლისის დაშვება. ოქროს კოშკებს არ ითხოვს. არ ითხოვს 5 მილიონს, რომელსაც სხვა კლუბები სთავაზობენ. იმისთვის, რომ არ აიბარგოს და დანტეს ქალაქში საბოლოოდ დაფუძნდეს, ლუკასთვის 3 მილიონიც საკმარისი იქნებოდა. მაგრამ დელა ვალესთვის ეს მოთხოვნა მიუღებელია. ტონიზე ცალი თვალის დახუჭვა და გამონაკლისის დაშვება, სხვებში პროტესტს გამოიწვევს და გუნდის წონასწორობას დაარღვევს.

სტრატეგია. იმისთვის, რომ მოსალოდნელი გაყრა არ შედგეს, რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს, მაგალითისთვის, "ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგაში უნდა გავიდეს. რომელიმე მძლავრი სპონსორი ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე "ვიოლას" იმ თანხას დაუფარავდა, რომელსაც ტონი ითხოვს. ან კიდევ საჭიროა, რომ საქმეში უშუალოდ დელა ვალეების ოჯახი ჩაერთოს და ტონი საკუთარი კომპანიების სარეკლამო სახედ აქციოს (დელა ვალეები იტალიაში ფეხსაცმლის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლები არიან). მაგრამ ამ მომენტისთვის ამის ალბათობა ძალიან ცოტაა. ერთი სიტყვით, ლუკა ფლორენციიდან წავა. საკითხავია, სად. ბომბარდირს ჯერ არ გადაუწყვეტია. მისი მენეჯერები ყოველკვირეულად ახალ-ახალ შეთავაზებებს ღებულობენ. თუმცა, მსურველთა შორის ფავორიტი "იუვენტუსია" – კლუბი, რომელიც თავის ახალ პროექტში ტონის ცენტრალურ ადგილს სთავაზობს. და ის აზრი, რომ ერთ-ერთ მთავარ როლში იქნება და არა რიგით შემსრულებლად (როგორც "ინტერის" შემთხვევაში), თავდამსხმელს ძალიან ხიბლავს. ერთადერთი მინუსი, რომელიც "იუვენტუსის" ვარიანტს უკავშირდება, ისაა, რომ ისევ ვერ შეძლებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშს. მაგრამ "ბებერი ქალბატონი" ლუკასთვის მაინც პრიორიტეტად რჩება. მხოლოდ ამის შემდეგ მოდიან დანარჩენები: "ინტერი", "რომა", "ბაიერნი" და "რეალი". დელა ვალე და ტონი წასვლა-დარჩენის საკითხზე 30 ივნისამდე იმსჯელებენ. შეხვედრა მას შემდეგ მოხდება, როცა "ფიორენტინა" ჩემპიონატს დაასრულებს. ჯერჯერობით ორივეს სჯერა, რომ გუნდს ჩემპიონთალიგური საგზურის მოპოვება შეუძლია. თუმცა, თუ განშორება გარდაუვალი გახდა, ამას პრობლემები და პოლემიკა არ მოჰყვება. კლუბი და ქალაქი ლუკას მადლობას გადაუხდიან, ისე, როგორც ლუკა გადაუხდის მადლობას მათ.

მემკვიდრე. ნამდვილი პრობლემა "ფიორენტინისთვის" ტონის შემცვლელის პოვნა იქნება. მართალია, **ჯამპაოლო პაცინის** "აფეთქება" ("უემბლიზე", ინგლისელ 21-წლამდელებთან ჰეთ-თრიკი შეასრულა) დელა ვალეების ოჯახს გარკვეულწილად ანუგეშებს, მაგრამ პრანდელის უფრო გამოცდილი ცენტრფორვადიც უნდა – ისეთი,15-20 გოლის გარანტია რომ ექნება. **ჯილარდინო** და **ადრიანო** "იისფრებისთვის" მხოლოდ ოცნებად რჩებიან, იმ დროს, როცა სულ უფრო რეალური ხდება **რონალდო ბიანკის** ვარიანტი. პერსპექტიულ ფორვარდს "რეჯინა" 12 მილიონ ევროდ აფასებს. "ვიოლას" სპორტულმა დირექტორმა **კორვინომ** შეიძლება, მოლაპარაკება განაახლოს "უდინეზესთან" **ვინჩენცო იანკუინტას** თაობაზე ან კიდევ "აიაქსს" დაუკავშირდეს და **ჰუნტელაარის** სატრანსფერო ფასი დაადგინოს. პრობლემა იყო და რჩება 1.5 მილიონის სახელფასო ლიმიტი. ამასობაში, ტონის უკვე დაუწყია მყიდველების ძებნა იმ სახლის გასაყიდად, რომელიც ფლორენციაში შარშან შეიძინა.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესგუნდი. ჩეხეთის დამარცხების შემდეგ

# სულ სხვა გერმანია!

## ბალაკი: ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტობაა

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, გერმანელებმა იმ ერთ თვეს "ზაფხულის ზღაპარი" უწოდეს. ზღაპარი იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრებისგან მესამე ადგილზე გასვლას არავინ ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები იყვნენ, ასეთ შემთხვევაში კი თვით კორეისა და იაპონიის ნაკრები გუნდებიც კი ფავორიტად თუ არა, ანგარიშგასაწევ ძალად მაინც ითვლებიან ხოლმე, ექსპერტთა უმრავლესობა ბუნდესგუნდისგან მინიმუმ მერვედფინალში, მაქსიმუმ კი მეოთხედფინალში გასვლას ნინასწარმეტყველებდა. თვითონ გერმანელებს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ჯგუფში ჩარჩენის შიშიც კი ჰქონდათ.

სამივე თამაში რომ მოიგეს და ჯგუფიდან უპრობლემოდ გააღწიეს, სავსებით მოსალოდნელი არგუმენტები წამოვიდა: კოსტა რიკა, ეკვადორი, პოლონეთი - ასეთ კომპანიაში გერმანელებს, თანაც მუნდიალის მასპინძლებს, როგორ ვერ უნდა გაემარჯვათო. მერვედფინალში კი, **იურგენ კლინსმანის** გუნდს შვედეთი ელოდა და ამ მატჩს მთელი ქვეყანა შიშით ელოდა. აი, შვედების დამარცხების შემდეგ კი (2:0), გერმანელებმა "აფრები აუშვეს" - ჩემპიონობაც კი შეგვიძლიაო. ამ გამარჯვების შემდეგ გერმანელებმა ირწმუნეს, რომ მუნდიალის მოგება შეეძლოთ და მერე, როცა მეოთხედფინალიდან არგენტინაც დაიფრინეს, აბსოლუტურად ყველა დარწმუნებული იყო, რომ იტალიასაც გამოაგდებდნენ და საერთოდ, ჩემპიონები გახდებოდნენ. რამდენადაც დიდი იყო შვედეთთან მიღწეული გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და მიღებული თავდაჯერება, იმდენად დიდი გამოდგა შოკი იტალიასთან მარცხის შემდეგ. საბოლოოდ კი მესამე ადგილი დაიკავეს და ისე იზეიმეს, თითქოს ჩემპიონები გახდნენ. ეს იმიტომ, რომ თავიდან ჯგუფში ჩარჩენისაც კი ეშინოდათ. ასე შედგა ე.წ. "ზაფხულის ზღაპარი" და თუ რატომ დაერქვა იმ ერთ თვეს "ზღაპარი", ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

მოდით, ახლა უფრო უკან დავბრუნდეთ და გავიხსენოთ, სად იყო და რას წარმოადგენდა გერმანიის ნაკრები შარშან ამ დროს. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი მატჩის გახსენება: 2006 წლის მარტში ბუნდესგუნდმა ამხანაგური მატჩი გამართა მომავალ ჩემპიონ იტალიასთან და ფლორენციაში 1:4 განადგურდა. წაგება კიდევ არაფერი, მთავარი ის გახლდათ, რომ კლინსმანის შეგირდები იმ შეხვედრაში ამაზრზენად გამოიყურებოდნენ და სწორედ მაშინ განეწყო მთელი გერმანია სკეპტიკურად, სწორედ მაშინ შეშინდნენ ალემანები, რომ მუნდიალზე ჯგუფიდან გასვლაც კი გაუჭირდებოდათ.

*"თუკი გავიხსენებთ, რა დღეში ვიყავით ზუსტად ერთი წლის წინათ და რა შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში, დაჯერება გაგვიჭირდება. სასწაულია ის, რაც ამ მოკლე დროში მოვახერხეთ,"* - აცხადებს ბუნდესგუნდის გენერალური მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** და მას ნამდვილად აქვს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება. შაბათს გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფის უმთავრეს კონკურენტ ჩეხეთს, პრაღაში 2:1 მოუგო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გადასახედიდან, ევრო 2008-ის ერთ-ერთი ფავორიტი სწორედ გერმანიაა. თუკი მუნდიალზე მიღწეულ წარმატებას ყველა საკუთარი პუბლიკის წინაშე თამაშსა და გერმანიაში შექმნილ უდიდეს ეიფორიას მიაწერდა, შაბათის შემდეგ ცხადია, რომ ალემანებმა ფორმაც შეინარჩუნეს და სახელიც. ვინც ფიქრობდა, რომ ბუნდესნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა, სასტიკად შეცდა - **იოახიმ ლიოვის** დანიშვნის შემდეგ (იოგიმ კლინსმანი მუნდიალის შემდეგ შეცვალა), გერმანიის ნაკრებმა 8 თამაში ჩაატარა და აქედან 7 მოიგო, წაიფორხილა მხოლოდ ერთხელ, კვიპროსთან (ფრე). სტუმრად ჩეხეთის დამარცხების შემდეგ კი ცხადია, რომ ჯგუფიდან უპრობლემოდ გავლენ.

ჩვენი გერმანელი კოლეგები შეეცადნენ, ბუნდესგუნდის პროგრესისთვის ახსნა მოეძებნათ.

**მწვრთნელი**. ჯერ კიდევ კლინსმანის ასისტენტობის დროს ლიოვი არ იყო უმნიშვნელო ფიგურა. იოგი მაშინ იურგენის თანაშემწე გახლდათ, თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგები რეგულარულად წერდნენ, რომ ტაქტიკას ის ადგენდა და რომ იოახიმი ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბის "ტვინი" იყო. ბუნდესკაპიტანი **მიხაელ ბალაკი** მუნდიალის დაწყებამდეც ამბობდა, ლიოვს წონადი სიტყვა ეთქმისო, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი თქვა, რომ წარმატებაში იოგიმ უდიდესი როლი ითამაშა. დღეს გერმანელი ექსპერტები ამბობენ, რომ 47 წლის სპეციალისტს ზედმიწევნით ზუსტად ესმის თანამედროვე, შემტევი ფეხბურთის დეტალები და რომ ის დავალებების მიცემის დროს მარტივ და ყველასთვის გასაგებ ენაზე საუბრობს. *"სრულყოფილ ფეხბურთს ვერცერთი გუნდი ვერ თამაშობს. მთავარი ის გახლავთ, რომ რაც შეიძლება ახლოს ვიყოთ სრულყოფილებასთან,"* - ეს თვითონ ლიოვის სიტყვებია.

**ტაქტიკა**. იოგის უდიდეს დახმარებას უწევს შეფსკაუტი **ურს ზიგენტჰალერი**, რომელსაც მეტოქე გუნდების შესწავლა და მათი სუსტი წერტილების გამოჩხრეკა ევალება. ჩეხეთთან მატჩში გერმანელებმა **იან კოლერი** გაანეიტრალეს. ამასთან, ბუნდესგუნდმა წინასწარ იცოდა ის, რომ **კარელ ბრიუკნერის** გუნდს ყველაზე მეტად დაცვაში, უფრო კონკრეტულად კი დაცვის ფლანგებზე უჭირს. გერმანელებმა ზუსტად გამოიყენეს ის, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა - ორივე გოლი ჩაწოდებას მოჰყვა.

*"მთავარია, გუნდი მყარად იდგეს დაცვაში და რეგულარულად ვარირებდეს შეტევის დროს. ბოლო თვეებში სულ ერთსა და იმავეზე ვმუშაობთ: 4-5 ფეხბურთელით უნდა შევუტიოთ, რომლებიც სწრაფი კომბინაციებით შეეცდებიან მეტოქის დაცვის გარღვევას,"* - აცხადებს ლიოვი.

**თავდაჯერება**. ზემოთაც გითხარით, ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ბუნდესნაკრებმა მუნდიალზე მაქსიმუმს მიაღწია, მაგრამ თვალსაჩინოა, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უფრო უკეთესად ათამაშდა. **კრისტოფ მეტცელდერის** აზრით, ეს იმის ბრალია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა გერმანიის ნაკრებს თავდაჯერება და საკუთარი ძალების რწმენა შემატა. *"ვფიქრობ, რომ ასეთი ორგანიზებული და თანამედროვე ფეხბურთი არცერთი ფორმაციის ბუნდესნაკრებს არ უთამაშია. ყოველთვის, როცა ვიკრიბებით, მხოლოდ 2-3 დღე გვჭირდება იმისთვის, რომ გუნდი ისევ ერთ მუშტად შეიკრას, ზუსტად ისე, როგორც ეს მუნდიალზე იყო. დღესდღეობით, ყველაფერი ფანტასტიკურადაა და იმედი მაქვს, რომ კიდევ დიდხანს იქნება ასე,"* - ამბობს მეტცე.

ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც ბუნდესგუნდი თამაშებს იგებს და ფეხბურთელებიც ხვდებიან, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ, მოედანზე უფრო შემართულები გადიან, რადგან სჯერათ, რომ მათი შემჩერებელი არავინაა. ამრიგად, გერმანიის ნაკრებში შექმნილი ატმოსფერო კარდინალურად განსხვავდება ერთი წლის წინანდელისგან. **ტორსტენ ფრინგსი** ამბობს, შარშან ამ დროს, ფლორენციაში ქათმებივით ვიყავით და დღეს რომ ფლორენციაში იტალიის ნაკრებს შევხვდეთ, დარწმუნებული ვარ, იტალიელები იქნებიან ქათმების როლშიო.

**დიდი არჩევანი თავდასხმაში**. *"ერთადერთი რამ, რის გამოც შემიძლია, რომ ჩემს გუნდს ვუსაყვედურო, არის ის, რომ ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ, ოდნავ მოვეშვით და მესამე გოლის გატანაზე ჯეროვნად არ ვიზრუნეთ. შეგვეძლო, კიდევ შეგვექმნა მომენტები და ანგარიში 3:0 გაგვეხადა,"* - ამბობს ლიოვი. დუბლის ავტორმა კურანიმ კი, იოგი იმაში დაარწმუნა, რომ როცა გერმანიას **მიროსლავ კლოზე** არ ჰყავს, სხვებს მისი ღირსეულად შეცვლა შეუძლიათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესგუნდის თავდასხმაში დღეს ძალიან დიდი კონკურენციაა, რასაც ლიოვიც უსვამს ხაზს: *"კლოზე, კურანი, პოდოლსკი და გომესი - ჩვენ ოთხი უმაღლესი კლასის ფორვარდი გვყავს."*

*"ახლა მთავარია, რომ ავსტრია-შვეიცარიის საგზური სწრაფად გავინაღდოთ, მერე კი ევრო 2008-ისთვის დავიწყოთ მზადება. ჩვენი მიზანია, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ ყველამ თქვას, გერმანიის ნაკრები მთავარი ფავორიტიაო,"* - ეს მიხაელ ბალაკის სიტყვებია. ჰო, დიდი ხანია, ასეთი დიდი ტურნირის წინ არავის უთქვამს, გერმანიის ნაკრები უმთავრესი ფავორიტიაო, თვით გასული მუნდიალის წინაც კი, რომელიც გერმანიაში ჩატარდა, ასე არ იყო...

**გოტფრიდ ლენცი**



სულ სხვა ბუნდესგუნდი

საბერძნეთის ნაკრები

# მინისტრი რეჰაგელის წინააღმდეგ

## თურქეთთან წაგების შემდეგ მეფე ოტო ჩემოდნებზე ზის...

2004 წელს **ოტო რეჰაგელმა** ბერძნებს ისეთი საჩუქარი გაუკეთა, რომ ელადელები გერმანელ მწვრთნელს ყველაფერს აპატიებდნენ, აბსოლუტურად ყველაფერს, გარდა ერთისა - თურქეთთან წაგებას. წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ შაბათს ბერძნები მოსისხლე მტერთან (თანაც საკუთარ მოედანზე) პირწმინდად განადგურდნენ (1:4 ათენში). მართალია, ამ მარცხის შემდეგ საბერძნეთის ნაკრებისთვის არაფერი დასრულებულა, რეჰაგელის გუნდი მეორე ადგილზეა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა შეუძლია, მაგრამ ბერძნებმა თურქებთან მარცხი ვერ აიტანეს. იმდენად ვერ აიტანეს, რომ მატჩის შემდეგ ქვეყნის შრომის მინისტრმა **გერასიმუს იაკუმატოსმა** პირდაპირ რეჰაგელზე გაილაშქრა.

*"ჩვენ გვყავს მწვრთნელი, რომელსაც ძალიან მაღალ ხელფასს ვუხდით და რატომ? იმიტომ, რომ თურქებთან წავაგოთ? იმიტომ, რომ ამ მწვრთნელმა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში სამარცხვინო ფეხბურთელები ათამაშოს?"* - ემოციებს ვერ იკავებდა იაკუმატოსი. ფაქტია, ამ მარცხმა რეჰაგელს 2004 წელს მიღებული კრედიტი ნულამდე დაუყვანა. "მეფე ოტოს" კრიტიკამ ბერძნულ პრესაშიც იმატა. გერმანელს განსაკუთრებით იმის გამო საყვედურობენ, რომ ის ჯერ კიდევ ბრმად ენდობა იმ შემადგენლობას, რომელმაც 2004 წელს პორტუგალიაში ფურორი მოახდინა და ყველასთვის მოულოდნელად, ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

მაგალითად, რეჰაგელი ისევ სასტარტო შემადგენლობაში ათამაშებს **ანგელოს ხარისტეასს**, რომელიც საშინელ ფორმაშია. ამ უკანასკნელს შაბათს პუბლიკამ მაგრად უსტვინა. რეჰაგელმა ხარისტეასი მხოლოდ 63-ე წუთზე გამოცვალა და როგორც ჩვენი ბერძენი კოლეგები ამბობენ, მოედანზე ძალიან გვიან შეიყვანა გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, ბოხუმელი **თეოფანის გეკასი** (13 გოლი ბუნდესლიგაში). რეჰაგელი ისევ ბრმად ენდობა მეკარე **ანტონის ნიკოპოლიდისსაც**, რომელმაც შაბათს ორი ბავშვური (ბავშვურიც აღარ ეთქმის) შეცდომა დაუშვა. და რას ამბობს თვითონ "მეფე ოტო"? *"ახლა მთავარია, დავწყნარდეთ! ბიჭები გააფთრებულები არიან და როგორმე ოთხშაბათამდე უნდა დამშვიდდნენ!"* ოთხშაბათს საბერძნეთი მალტას ხვდება და ვინიცობაა, ეს თამაშიც ვერ მოიგოს, დიდი შანსია, რომ რეჰაგელი უმუშევარი დარჩეს...



მატჩის გმირი კევინ კურანი

დაპირისპირება

# შალკე vs ბუნდესნაკრები

## რატომ არ ასვენებენ კურანის?

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ გერმანიის ნაკრები ოთხშაბათს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის მზადებას (გერმანელები დიუსელდორფში დანიას მასპინძლობენ) 8 წამყვანი ფეხბურთელის გარეშე განაგრძობს. **იოახიმ ლიოვმა ფრინგსს, მერტეზაკერს, შნაიდერს, ლემანს, ბალაკს, შვაინშტაიგერს, პოდოლსკისა** და **ლამს** პაუზა გამოუწერა. როგორც იოგი ამბობს, ასე იმიტომ მოიქცა, რომ მომავალ კვირაში "ბაიერნს", "ვერდერსა" და "ლევერკუზენს" ევროტურნირებში უწევთ ჩართვა და ამ საქციელით ბუნდესმწვრთნელმა ხსენებულ კლუბებს ანგარიში გაუწია. სამაგიეროდ, ლიოვი არ ასვენებს **კევინ კურანის** და გადაწყვეტილი აქვს, შალკელი დანიასთან ათამაშოს. ამ ფაქტმა "შალკეს" ხელმძღვანელების აღშფოთება გამოიწვია. გუშინწინ გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ლიოვს ტელეფონზე დაურეკა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, მირკომ და იოგიმ დიდხანს იკამათეს.

*"შაბათს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს "ბაიერნთან". ლიოვს ეს უნდა გაეთვალისწინებინა და კურანიც კლუბში უნდა დაებრუნებინა. ახლა კი რა გამოდის, "ბაიერნის" ფეხბურთელები შაბათს დასვენებულები იქნებიან, კურანი კი გადაღლილი იქნება,"* - ამბობს სლომკა. ლიოვმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ "ვერდერსა" და "ბაიერნს" ევროტურნირებში ჩაბმა უწევთ, "შალკეს" კი არა. არადა, იოგიმ კონსენსუსს მიაღწია დორტმუნდის "ბორუსიის" მწვრთნელ **თომას დოლთან - მეტცელდერსაც** ასვენებს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ "ბორუსია" ევროტურნირებზე არ მონაწილეობს.

*"მეტცელდერის შემთხვევა გამონაკლისია. "დორტმუნდი" პარასკევს ეთამაშება "არმინიას" და ამრიგად, მეტცეს დასასვენებლად მხოლოდ ერთი დღე რჩებოდა. კრისტოფის შემთხვევაში გამონაკლისი ამიტომაც დავუშვით,"* - ირწმუნება ლიოვი. სამაგიეროდ, გამონაკლისი არ დაუშვეს კურანის შემთხვევაში. "შალკეში" ღიად აცხადებენ, გერმანიის ნაკრები "ბაიერნის" სასარგებლოდ მუშაობსო. გელზენკირხენელთა აზრით, კურანის დასვენება ლიოვისთვის, წესით, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან გერმანიას ამხანაგური თამაში აქვს და თანაც, ბუნდესგუნდი დანიასთან ისედაც მეორე შემადგენლობით იასპარეზებს. ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ოთხშაბათს კურანიმ ტრავმა რომ მიიღოს და ამის გამო "ბაიერნთან" თამაში რომ ვერ მოახერხოს...



ოტო რეჰაგელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეპიზოდი ბრაზილია ჩილეს მატჩიდან

ექსპერტის მოსაზრება

# ხმა ამოიღეთ, ბოლოს და ბოლოს!

## დიარიო სპორტი მილანელებს: იმედიც არ გქონდეთ, რონალდინიო არ გაიყიდება!

როცა ამას არავინ აკეთებს და არც ფიქრობს, რომ გააკეთოს, თავს უფლებას ვაძლევ, "ბარსელონის" სახელით ხმამაღალი განცხადება გავაკეთო: "მილანს" იმედიც ნუ ექნება იმისა, რომ **რონალდინიოს** ხელში ჩაიგდებს. **სილვიო ბერლუსკონიმ** უნდა იცოდეს, გაუჩო ხელშეუხებელია. იქნებ, თავად "ბარსას" შეფებმაც ამოიღონ ხმა და საზოგადოება დაამშვიდონ. კლუბის დღევანდელი ხელმძღვანელობა მთელი ბარსელონისა და კატალონიის ნერვებზე თამაშობს. მათი უპირველესი საზრუნავი "მინიესტადის" გაყიდვაა. ამ დროს კი არაფერი კეთდება იმისთვის, რომ ის ადამიანი დაიცვან, რომელმაც "კამპ ნოუზე" მხიარულება დააბრუნა. შოკისმომგვრელია **ხოან ლაპორტას** ბოლო განცხადება, პრეზიდენტმა თქვა: *"რონალდინიო ჩვენთან დარჩება მანამ, სანამ ამას თავად ისურვებს."* რას ნიშნავს ეს?! დროა, განგაშის ზარებს შემოვკრათ. პრეზიდენტს ერთადერთი რამ უნდა განეცხადებინა, ის ვალდებული იყო, საზოგადოება ამ სიტყვებით დაემშვიდებინა: *"რონალდინიო კარიერას "კამპ ნოუზე" დაასრულებს."* სამწუხაროდ, ლაპორტამ ეს არ გვითხრა. ჩვენს საქმეში არსებობს ეთიკის პრინციპი, მაგრამ ისეთი დღეებიც გვაქვს, როცა ღირებულებები ეთიკაზე მაღლა დგება. რონალდინიო "ბარსელონის" სიმდიდრეა. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ განძი თუნდაც აუარებელი ფულის სანაცვლოდ დავთმოთ.

დიადი ფეხბურთელი აშკარად გრძნობს, რომ დირექტორატი მის მიმართ უწინდებურად მეგობრულად არ არის განწყობილი. ალბათ, ხვდება, რომ კლუბის მმართველები თანხის კალკულაციას ანარმოებენ. არადა, მცირე ხნის წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეკონომიკურ დარგში "ბარსას" ვიცეპრეზიდენტმა **ფერან სორიანომ** საზოგადოებას აღფრთოვანებით აუწყა, რომ **რობერტო დე ასისთან** (რონალდინიოს ძმა და მისი მენეჯერი) კონტრაქტის 2014 წლამდე გახანგრძლივებასთან დაკავშირებით სიტყვიერად შეთანხმება შეძლო. მაშინ მოგვახსენეს, სეუ დე ასის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წერილი გავუგზავნეთ და თანხმობა მივიღეთო. არანაირი მიზეზი არ გვქონდა, მათთვის არ დაგვეჯერებინა. სხვათა შორის, პირადად მე ახლაც მჯერა, რომ მხარეები მიმოწერას მართლაც აწარმოებდნენ, თუმცა მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და დირექტორატიდან რატომღაც არავინ ჩქარობს, სიტყვიერ შეთანხმებას ხორცი შეასხას და რონალდინიოსთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს.

დასანანია, რომ ის სულისკვეთება თითქმის უკვალოდ გაქრა, რომელიც რონალდინიოს კატალონიაში კარიერის ბოლომდე დატოვების გარდაუვალობას უკავშირდებოდა. ყველამ მოვისმინეთ, რომ რობერტო დე ასისმა წინადადების შეთავაზების ფაქტი დაადასტურა, შემდეგ ურთიერთობათა ახალ ეტაპზე გადასვლაც ითხოვა, მაგრამ ამაოდ. სხვათა შორის, განგაში დღეს არ გამოგვიცხადებია. რამდენიმე კვირის წინათ თავად ლაპორტას ვკითხეთ, ახალი კონტრაქტის საქმე რა სტადიაზე იმყოფებოდა. მისგან კი აღმაშფოთებელი პასუხი მივიღეთ. პრეზიდენტმა გვითხრა, "ბარსელონაში" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი თანასწორუფლებიანიაო. კი მაგრამ, ჩვენი გაზეთი არა ფეხბურთელების უფლებებით, არამედ კონკრეტული საკითხით დაინტერესდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი სენიორ ხოანმა თითქოს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა: *"ჩვენ ყველა მოთამაშეს სამართლიანად ვეპყრობით."* მან არა და არ დააკონკრეტა, საქმე წინ წაიწია, თუ არა.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ახლა კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი. რონალდინიოსთვის ყურშიც კი არავის ჩაუჩურჩულებია, მშვიდად იყავი, შენ ჩვენი უპირველესი ვარსკვლავი ხარო. არც მისი ძმა დაუმშვიდებია ვინმეს. რატომ არ ესმით, რომ გაუჩო "ფერარივით" ძვირადშესანახია. თუ გინდა, რომ შენი "ფ 60" მუდამ ფორმაში იყოს, დიდი ფული უნდა დახარჯო. თავიდანვე მისახვედრი იყო, რონალდინიოს "ბარსელონაში" დატოვება კონტრაქტის პირობების მუდმივ, განუწყვეტელ გაუმჯობესებას მოითხოვდა. შეუძლებელია, ვინმეს აუკრძალო, რომ ბრაზილიელის გადაბირების სურვილი გაუჩნდეს. ამ დროს "ბარსას" ხელმძღვანელებმა პრევენციული ზომები უნდა მიიღონ და ფეხბურთელს ხელფასი საგრძნობლად გაუზარდონ. რონალდინიო იდიოტი არ არის, რომ ვინმემ მისი მოტყუება შეძლოს. სამხრეთამერიკელმა საკუთარი ფასი ძალიან კარგად იცის.

ამასობაში კი, "მილანი" შანსს არ უშვებს ხელიდან, რონალდინიოზე ისაუბროს. იტალიელები ყველაზე პრაგმატულ ხერხს იყენებენ და მოსალოდნელ ტრანსფერზე თავიანთ ვარსკვლავებს ალაპარაკებენ. გუშინ ეს მისია **კაკამ** შეასრულა. ბრაზილიელის სიტყვები შემაშფოთებელია: *"მზად ვარ, ფსონი დავდო, რომ რონალდინიო მომავალ სეზონში "მილანში" გადმოვა და "სან სიროზე" ითამაშებს."* თავად "როსონერის" შეფებიც არ დუმან: *"გაუჩოს ფანტასტიკურ პირობებს ვთავაზობთ. მას გაცილებით დიდ ხელფასს გადავუხდით და ჩვენს გუნდში კაკასა და რონალდოს დავახვედრებთ."* ყოველივე ამის პარალელურად კატალონიური საზოგადოება ლაპორტასა და **ბეგირისტაინის** დამაჯერებელ, კატეგორიულ განცხადებას ვერ ელირსა. ხალხი ელის, რომ პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი იტყვიან, "მილანის" დაინტერესებას პატივს ვცემთ, მაგრამ რონალდინიოს არავითარ შემთხვევაში არ გავყიდით.

მგლური მადა მხოლოდ "მილანს" არ აღმოაჩნდა. ჩვენი გენიოსის წაყვანის სურვილი "ინტერსაც" გაუჩნდა. ტრანსფერების დეპარტამენტის უფროსმა **მარკო ბრანკამ** ოფიციალურად განაცხადა, რომ რობერტო დე ასისთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ლაპორტამაც გაიგო. საოცარია, მაგრამ პრეზიდენტი ამ შემთხვევაზეც დუმს. ნუთუ ის და მისი მეგობრები ათეულობით მილიონმა ევრომ ისე მოხიბლა, რომ ბრაზილიელის გაყიდვაზე სერიოზულად დაფიქრდნენ?! და თუ ეს ასეა, ისღა დაგვრჩენია, ფართო საზოგადოება ერთ მუშტად შევიკრათ და ვაიძულოთ ყველა, რომ უპირველესი ვარსკვლავი არ დავკარგოთ. "ბარსელონას" ხომ წინ დიდი მატჩები და ტურნირები ელის.თქვენ კი პატივცემულო დირექტორებო, ხმა ამოიღეთ, ბოლოს და ბოლოს!

### *რონალდინიო*
### ვოცნებობ, ბარსასთან ერთად მესამედ გავხდე პრიმერას ჩემპიონი

*ბრაზილიის ნაკრები სტოკჰოლმშია. "სელესაო" შვედეთის დედაქალაქში განის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, "დიარიო სპორტის" კორესპონდენტმა "ბარსელონის" ვარსკვლავს ინტერვიუს ასაღებად შვედეთში ჩააკითხა. მართლაც უცნაურია, რომ მან ეს ბარსელონაში ვერ მოახერხა.*

**- სპეციალური აკრედიტაცია საშუალებას მაძლევს, რომ ბრაზილიის ნაკრებს ყველგან გავყვე. საკუთარი თვალით ვიხილე, თუ როგორ გხვდებიან შვედები. ნამდვილი საგიჟეთია. გასაქანს არ გაძლევენ და ცდილობენ ჩაგეხუტონ. საინტერესოა, ასეთ პოპულარობას როგორ აღიქვამთ? არ გიჭირთ?**

- მიჩვეული ვარ ასეთ ყურადღებას. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ ყველგან დიდი აჟიოტაჟითა და ხმაურით მხვდებიან. სიმართლე გითხრათ, მრცხვენია ხოლმე. მეც ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მართლაც უხერხულია, როცა შენნაირები გეხუტებიან და ისე გეპყრობიან, თითქოს წმინდანი ხარ. მიფიქრია, იქნებ თავი დავხარო და უმალ მანქანაში ჩავჯდე-მეთქი... მაგრამ შესაძლოა, ხალხმა იფიქროს, რომ ვარსკვლავური ავადმყოფობა შემეყარა და მათ არ ვკადრულობ. მოკლედ, ასეთია ჩემი ცხოვრება (იცინის).

**- მოდით, კონკრეტულ შეკითხვას არ დაგისვამთ. უბრალოდ გთხოვთ, იმ საკითხზე ისაუბროთ, რისი თქმაც ყველაზე მეტად გსურთ...**

- პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე 11 ტურია დარჩენილი. "ბარსა" გათამაშების ლიდერია, მაგრამ ამ ეტაპისთვის ჩვენი უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ვოცნებობ, "ბარსასთან" ერთად მესამედ გავხდე ჩემპიონი. ვფიქრობ, გუნდს საამისო უნარი შესწევს. მთელ ძალისხმევას იქითკენ მივმართავთ, რომ პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გავიმარჯვოთ.

**- ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვით?**

- გვინდოდა, ფინალში გავსულიყავით და ათენის მატჩი მოგვეგო. შარშან ყველაფერს უფრო იოლად მივაღწიეთ. მიზანი დავისახეთ და ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი მოვიგეთ. სამწუხაროდ, წელს აღარ გაგვიმართლა. ბუნებრივია, წარუმატებლობას მხოლოდ უიღბლობით არ ავხსნი. სერიოზული შეცდომები დავუშვით. უბრალოდ, ვალდებულები ვართ, საკუთარ შეცდომებზე ჭკუა ვისწავლოთ და მომავალ სეზონში ეს შეცდომები არ გავიმეოროთ.

**- გამოდის, "ბარსელონიდან" აბარგებას არ აპირებთ. არადა, ინტენსიურად ვრცელდება ხმები, რომ "მილანი" დიდ ფულს იხდის...**

- მე "ბარსას" ღირსებას ვიცავ. მთელი ჩემი ძალისხმევა მისი და ბრაზილიის ნაკრების კეთილდღეობისკენაა მიმართული. "მილანთან" არანაირ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებ.

**- გამორიცხავთ იტალიაში გადასვლას?**

- ამ ეტაპზე საამისოდ არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

**- ლაპორტა რას გეუბნებათ?**

- ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის. ლაპორტა "ბარსელონის" პრეზიდენტია და, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კლუბმა დიდ წარმატებებს მიაღწიოს. ჩემი აზრით, სენიორ ხოანი "ბარსას" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრეზიდენტია. მოღვაწეობის მცირე დროში მან გულშემატკივრებს უამრავი ტიტული აჩუქა.

**- კაკამ განაცხადა, ფსონს ჩავდივარ, რომ რონალდინიო მომავალ სეზონში "მილანში" ითამაშებსო...**

- (იცინის) კაკას ყურს ავუწევ. მოდით, ამ თემას ნუ განვავრცობთ. სპეკულაციები არ მიყვარს. ახლა სეზონის დასკვნით ეტაპს ვატარებთ. მთელი არსებით "ბარსას" საქმეებზე ვარ კონცენტრირებული. ერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებთ, მეთქვას, გუნდის შეცვლას ვაპირებ-მეთქი.

**- ზოგადად "კამპ ნოუდან" აბარგებას არ გამორიცხავთ?**

- ცხოვრებაში ვერაფერს გამორიცხავ. გამიგეთ, მე არ ვფიქრობ "ბარსადან" წასვლას. დიდი გეგმები და ამბიციები მაქვს. იმედია, პასუხმა დაგაკმაყოფილათ (იცინის).

**ხოსე მარია სერანო**
დიარიო სპორტი, ბარსელონა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კაკა: გაუჩო, გემუდარები, ჩამოდი მილანში!

## მილანისტა რონალდინიოს როსონერიში ექაჩება, დუნგამ კაკა 10 ნომრით დაასაჩუქრა, გაუჩო კი 7-იანზე ჩამოაქვეითა...

*"რონალდინიოს ვემუდარები, რომ "მილანში" გადმოვიდეს,"* – **კაკას** უკანასკნელი მოწოდება ბრაზილიური ტელეგიგანტის "ო გლობოს" ეთერში გაისმა. ბრაზილიელი გამთამაშებელი განაგრძობს მისიას სახელწოდებით "ჩამოვიყვანოთ რონალდინიო "მილანში", ახლა უკვე ბრაზილიური მედიის საშუალებითაც. არ არის ინტერვიუ, რომელიც ჩვეული შეკითხვით არ მთავრდებოდეს: "დაარწმუნე რონალდინიო, რომ "მილანში" გადმოვიდეს?". და კაკაც პასუხობს, ხან სერიოზული სახით, ხანაც ღიმილით. თავადაც გაეღიმა და ყველა გაალიმა, როცა ეს "ვემუდარები" წარმოთქვა. ამასობაში, კარს თვითონ რონალდინიოც ღიად ტოვებს. მომავალთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხს თავს არიდებს და სულ პომპეზურ ეპითეტებს არჩევს იმის აღსაწერად, თუ რა ჰარმონიულად უწყობს ფეხს მოედანზე კაკას. უცნაური ამ ისტორიაში ისაა, რომ არსად ჩანს "ბარსელონა". კატალონიური კლუბის დირექტორები არანაირ უარმყოფელ განცხადებებს არ აკეთებენ, არც გაუჩო თვლის საჭიროდ, რომ სანაკრებო შეკრებიდან თავის კლუბს მარადიული ერთგულების მესიჯები გაუგზავნოს. იტალიური პრესა წერს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პრეზიდენტი **ლაპორტა** ბრაზილიელისთვის ხელფასის მომატებას არ აპირებს და უკვე შეგუებულია იმ აზრს, რომ ფეხბურთელის ნებას დაჰყვესო. ბარსელონა? მილანი? არჩევანი რონალდინიოზეა.

**მაგიური კვადრატი.** ამასობაში მილანელი და ბარსელონელი ბრაზილიელების დუეტი მოდანზე სამბას ცეკვას განაგრძობს და მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს. "მაგიური კვადრატი", რომელიც **კარლოს დუნგამ** ჩილესთან შეხვედრაში (4:0) ათამაშა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ფრედი-რობინიო-კაკა-რონალდინიოს კვარტეტი ნებისმიერი მეტოქის დაცვაზე მომაკვდინებელ ეფექტს ახდენს, თან ისე, რომ რგოლებს შორის ბალანსი არ ირღვევა. *"უდიდესი სიამოვნება მივიღე ამ ოთხი ფორვარდის თამაშით –* ამბობს კაკა, ამჯერად მთელი სერიოზულობით – *ეს ფორმულა ნებისმიერ გუნდში გაამართლებდა, მათ შორის იტალიურშიც. მთავარია, რომ ყველა თავდამსხმელი მზად იყოს, უკანაც დაიხიოს და გუნდს ჩაშლაში დაეხმაროს. თუკი ასეთი კოლექტიური სულისკვეთება იქნება, პრობლემას ვერ ვხედავ, ვერც სერია A-ში".* ანუ "მაგიური კვადრატის" ექსპორტი იტალიაშიც შეიძლება. თუ სად, ამას კითხვაც არ სჭირდება – მომავლის "მილანში", იმ "მილანში", რომელზეც **ბერლუსკონი** და უკვე თავად კაკაც ოცნებობს.

**ნომერი 10.** "სელესაო" მოედანს დღეს სტოკჰოლმში დაუბრუნდება და განის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. "მაგიური კვადრატი" უცვლელი დარჩება და თამაშის განმავლობაში მოედანზე შეიძლება, კიდევ ერთი მილანელი, **რიკარდო ოლივეირაც** გამოჩნდეს. ბრაზილიური პრესა დიდი ინტერსით ელოდება, შეუნარჩუნებს თუ არა დუნგა ფეხბურთელებს იმ ნომრებს, რომლითაც გიოტებორგში ათამაშა. კაკას 10 ნომრით გამოჩენამ და განსაკუთრებით, რონალდინიოს 7-მა ნომერმა ყველა გააოცა, მათ შორის თავად სპონსორი "ნაიკიც" (მუნდიალზე "10-იანი" გაუჩოს ეცვა, კაკა კი 8 ნომრით გამოდიოდა). ბევრი ფიქრობს, რომ ამ სვლით "სელესაოს" მწვრთნელმა კაკა წაახალისა და ლიდერის როლი ანდო. თუმცა მიზეზი მხოლოდ ეს არ უნდა იყოსო, თვლიან ბრაზილიაში: კაკამ კარგა ხნის წინათ აღუთქვა მწვრთნელს, რომ "კოპა ამერიკაზე" ითამაშებს და დუნგამაც ერთგულება ამ "10-იანით" დაუფასა. რონალდინიო ამ მოულოდნელ ცვლილებას უპრობლემოდ შეხვდა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. მე მარტო თამაში და გოლების გატანა მაინტერესებსო, უთქვამს ნამატჩევს.



კაკა რონალდინიოს არ ეშვება

ინგლისის ნაკრები

# რა ელის მაკლარენს?

## დაპირისპირება ვენეიბლზსა და რუნისთან, ფანების ნახევარი მიიჩნევს, რომ მათი გუნდი ევროპის პირველობაზე მხოლოდ მწვრთნელის დათხოვნის შემთხვევაში გავა...

"სანის" ცნობით, დანიშვნიდან რვა თვის შემდეგ **სტივ მაკლარენს** დათხოვნა ემუქრება. თუ მას კარისკენ მიუთითებენ, კომპენსაციის სახით, მხოლოდ 2.5 მილიონი გირვანქას მიუთვლიან. მაკლარენის კონტრაქტი 2010 წელს იწურება. ინგლისელთა ბოსი კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს. ტაბლოიდის მტკიცებით, ხელშეკრულება ითვალისწინებს საადაპტაციო პერიოდს. ეს პუნქტი საფეხბურთო ასოციაციას საშუალებას აძლევს, მაკლარენი დანიშვნიდან ერთი წლის თავზე დაითხოვოს და 5 მილიონი გირვანქა დაზოგოს.

ისრაელი-ინგლისის (0:0) მატჩის შემდეგ მიმომხილველებმა 50 ათას გულშემატკივარს შორის სახელდახელო გამოკითხვა ჩაატარეს. კითხვაზე, გაალწევს თუ არა ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე, 46-მა პროცენტმა უპასუხა, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაკლარენის დათხოვნის შემთხვევაში. 25-მა პროცენტმა საკვალიფიკაციო ტურნირი უკვე დასრულებულად მიიჩნია და მხოლოდ 29 პროცენტი აღმოჩნდა ოპტიმისტურად განწყობილი.

მაკლარენის პრობლემები მხოლოდ სავალალო შედეგებით არ ამოიწურება (ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია და ზედიზედ სამი უგოლო მატჩი). ტაბლოიდების მტკიცებით, მას ასისტენტ **ტერი ვენეიბლზთანაც** გაუფუჭდა ურთიერთობა. ვენეიბლზი უკმაყოფილოა იმით, რომ მთავარი მწვრთნელის მის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. ტერის მიწვევა მაკლარენის ინიციატივა იყო. ვენეიბლზს ის საჯაროდ ერთხელაც არ გაუკრიტიკებია, თუმცა კერძო საუბრებში იმედგაცრუებას ველარ მალავს.

და კიდევ ერთი დაპირისპირების შესახებ. ისრაელთან ნამატჩევს მაკლარენი **უეინ რუნისაც** წაეკიდა. როგორც ამბობენ, მწვრთნელმა ყველაზე მეტად ახალგაზრდა თავდამსხმელი გააკრიტიკა. ინგლისელთა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა შეტევის სისუსტეა. რუნის კი ოფიციალურ მატჩებში ევრო 2004-ის შემდეგ არ გაუტანია გოლი. თვითმხილველთა მტკიცებით, მანჩესტერელი ვარსკვლავი კრიტიკამ ისე გააცოფა, რომ ბუცები კედელს ესროლა და მწვრთნელს შეეკამათა კიდეც. შემდეგ გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა. ინგლისელთა ოთახში ატეხილ ხმაურს ისრაელელთა გასახდელშიც კი გაიგონებდით. რუნის უსახური საღამო ჰქონდა. იმის გარდა, რომ თავი ვერაფრით გამოიჩინა, მეტოქის მცველ **ტალ ბენ ჰაიმსაც** ეჩხუბა და ყვითელი ბარათი დაიმსახურა.



სტივ მაკლარენმა უეინ რუნი გააკრიტიკა

### ვან ბასტენმა ვან დერ სარი წაიყვანა

**მარკო ვან ბასტენმა** სლოვენიაში სამი ფეხბურთელი არ წაიყვანა. **კიუ იალიენსი**, **ტიმ დე კლერი** და **დენი ლანდზაატი** შინ დარჩნენ. ჰოლანდიელები ლიუბლიანაში სამი მეკარით გაემგზავრნენ. **მაარტენ სტეკელენბურგისა** და **ჰენკ ტიმერის** გარდა, განაცხადშია **ედვინ ვან დერ სარი**, რომელმაც რუმინეთთან შაბათის მატჩი (0:0) ტრავმის გამო გამოტოვა.

### რასიზმი ლიტვურად

ლიტვის პოლიციამ გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება საფრანგეთთან შაბათის მატჩისას ტრიბუნაზე გამოკიდებულ რასისტულ პლაკატს. პლაკატზე გამოსახული იყო აფრიკის კონტინენტი, რომელიც საფრანგეთის დროშის ფერებით იყო შეღებილი. მის ქვემოთ კი ეწერა: *"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში."* დღესავით ნათელია, რომ პლაკატის ავტორები ფრანგების შავკანიან ფეხბურთელებს გულისხმობდნენ. ლიტვის ფეხბურთის ფედერაციამ ხულიგანი ფანების ქმედება სასტიკად დაგმო. გამოითქვა იმედი, რომ მომხდარის გამო უეფა ლიტველებს არ დასჯის.

### გივენი და ირლანდი დაბრუნდნენ

სლოვაკეთთან მატჩის წინ ირლანდიას ორი წამყვანი ფეხბურთელი, **შეი გივენი** და **სტივ ირლანდი** გამოუჯანმრთელდა. გივენი უელსთან შაბათის შეხვედრაში (1:0) დაშავდა. იმ თამაშში ერთადერთი გოლის ავტორმა ირლანდმა კი ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და შეცვალეს. 20 წლის ნახევარმცველი მცირე ტკივილებს კიდევ უჩივის, მაგრამ ხვალ მინდორზე გასვლას მაინც გეგმავს. დისკვალიფიცირებულია ირლანდიელთა კაპიტანი **რობი კინი**. მას რედინგელი **კევინ დოილი** შეცვლის.

### სერბეთი: ვინ არის დამნაშავე?

ყაზახეთში შოკის მომგვრელი მარცხის შემდეგ (2:1) სერბეთი გონს მოსვლას ცდილობს. ბალკანელთა თავკაც **ხავიერ კლემენტეს** კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. მან ძირითადში არ დააყენა წამყვანი მცველები, **მლადენ კრსტაიჩი** და **ივიცა დრაგუტინოვიჩი**. კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა კი ახალგაზრდებს, **მილან სტეპანოვსა** და **დუშკო ტოშიჩს** ანდო. კლემენტეს აზრით, თამაში მცველებს არ წაუგიათ. ის ნახევარმცველებმა დათმეს, თანაც თავდამსხმელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ხვალ, პორტუგალიასთან უპრინციპულეს მატჩში სერბებს წამყვანი ფორვარდი **ნიკოლა ჟიგიჩი** ვერ დაეხმარება. ის ყაზახებთან შეხვედრის მიწურულს, მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო გააძევეს.



რაფა მარკესი

სპეკულაციები

# მარკესმა რეალი გამორიცხა

ესპანურ პრესაში ხმები გავრცელდა, **რაფა მარკესი** მომავალი სეზონიდან "რეალში" გადაბარგდებაო. ეს ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე გაზეთმა გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი კონფიდენციალურ ინფორმატორზე საუბრობდა. ამ ამბავმა კატალონიელი გულშემატკივრები უაღრესად შეაშფოთა. საქმეში სიცხადის შეტანის მიზნით, "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი მარკესს მექსიკაში შეეხმიანა. ის ეროვნულ გუნდში გახლავთ გამოძახებული. "ბარსას" მცველმა ასეთი რამ განაცხადა: *"სამეფო კლუბის მაისურს არასოდეს ჩავიცვამ. უმუშევარიც რომ დავრჩე, მადრიდელების წინადადებას არ მივიღებ. "ბარსელონაში" "რეალის" სიძულვილი ვისწავლე. ის ხომ ჩვენი მოსისხლე მტერია. ეს ის შემთხვევაა, როცა ფულით ვერაფერი შეიცვლება. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ პირადად ჩემთვის თანამშრომლობის სურვილი არავის გაუმხელია. არ მგონია, სამეფო კლუბს მართლაც სურდეს ჩემი შეძენა. ასეც რომ არ იყოს, მაინც არ წავიდოდი. მოკლედ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ რაფა მარკესის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგება გამორიცხული და შეუძლებელია."*

მარკესის ამ განცხადებამ კატალონიელი გულშემატკივრები აღაფრთოვანა. "დიარიო სპორტის" მიერ მოწყობილ გამოკითხვაში ინჩასებმა მექსიკელი მცველი თვის ყველაზე პოპულარულ ბარსელონელად დაასახელეს.

შარდის სკანდალი

# ოლის უსიამოვნო ისტორიის დეტალები

## კანს უთქვამს, თქვენ, ავსტრიელები დარტყმულები ხართო და შარდიანი სინჯარა კედელზე მიუხეთქებია...

**ოლივერ კანმა** პარასკევს, ვარჯიშის შემდეგ "ბაიერნის" ბოსების კაბინეტს მიაშურა. მენეჯერ **ული ჰოენესსა** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** მან დაწვრილებით უამბო, რაც "რეალთან" საპასუხო მატჩის შემდეგ მიუნხენის "ალიანს არენის" კატაკომბებში, უფრო სწორად კი, დოპინგკონტროლისთვის განკუთვნილ ოთახში მოხდა. "ბაიერნის" კარის დარაჯის მიერ გახმაურებულ დეტალებზე წინა კვირაშიც ვწერდით, ახლა კი უბრალოდ იმას შეგახსენებთ, რომ უეფამ ოლის საქციელს დარღვევის სტატუსი მიანიჭა და 37 წლის მეკარეს ჩემპიონთა ლიგაში ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში, "მილანთან" ოლი ვერ ითამაშებს. ბავარიულმა კლუბმა უეფაში აპელაცია შეიტანა და დისკვალიფიკაციის მოხსნას ითხოვს.

ამასობაში ალაპარაკდა ექიმი, ვისაც კანმა შეურაცხყოფა მიაყენა. ეს გახლავთ ავსტრიელი დოქტორი **ფრანც კრიოსლჰუბერი**. აი, რა უთხრა მან გაზეთ "ოსტერრაიხს": *"დოპინგ კონტროლის ოთახში ტუალეტია, რომელსაც ღია შესასვლელი აქვს. ეს იმიტომ, რომ ექიმმა გააკონტროლოს, მოშარდავს თუ არა ფეხბურთელი. კანს ამის გაკეთება გაუჭირდა. მან რამდენჯერმე მიხმო, ვშარდავო, მაგრამ როცა ტუალეტში შევდიოდი, ამას ვერ ახერხებდა. მერე კი უცებ სავსე სინჯარა გამომიტანა."*

რაკი ექიმს უშუალოდ მოშარდვის პროცესისთვის არ უყურებია, მან ოლის უთხრა: *"ჰერ კან, მინდა, რომ ყველაფერმა ისე ჩაიაროს, როგორც წესი და რიგია. თქვენთვის თვალი არ მიდევნებია. სწორედ ამიტომ, პროცედურა თავიდან უნდა გაიმეოროთ!"* როგორც ხსენებული გამოცემა წერს, ამის გაგონება და კანის გადარევა ერთი ყოფილა. ოლის უყვირია: *"თქვენ, ავსტრიელები დარტყმულები ხართ! ეს რა უბედურებაა!"* - და შარდიანი სინჯარა კედლისთვის შეუნარცხებია.



ოლივერ კანი

არცაა გასაკვირი, შეურაცხყოფილმა კრიოსლჰუბერმა უეფას სადისციპლინო კომისიაში ყველაფერი დეტალურად რომ დაფქვა. მოუტანა თუ არა "ბაიერნს" აპელაციამ შედეგი, ეს გუშინ გვიან უნდა გარკვეულიყო...

ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# მიუნხენში იანსენი მოიკითხეს

## მარსელი ჩეხეთთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

შაბათს, ჩეხეთთან მატჩში, გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა ფილიპ ლამი** მარჯვენა მცველად ათამაშა, მარცხნივ კი მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ფეხბურთელი **მარსელ იანსენი** გაამწესა. ამ ცვლილებამ აშკარად გაამართლა - ლამი მარჯვნივ ჩვეულად აქტიური იყო, იანსენმა კი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და მთელი გერმანია აალაპარაკა. გამორიცხული არაა, რომ ლიოვმა ამიერიდან ლამი ყოველთვის მარჯვნივ დააყენოს, დაცვის მარცხენა ფლანგი კი იანსენს ჩააბაროს ხოლმე.

კვირას კი ცნობილი გახდა, რომ 21 წლის იანსენს თვით მიუნხენის "ბაიერნი" ეპატიჟება. რეკორდმაისტერის დაინტერესება ფეხბურთელის მრჩეველმაც დაადასტურა და ამას არც მიუნხენში უარყოფენ. თვითონ იანსენი კი ამბობს, ჩემთვის უდიდესი პატივია, "ბაიერნში" რომ მეპატიჟებიანო. ფაქტი ის გახლავთ, რომ მარსელი დიდი ხანია გასცდა "გლადბახის" დონეს. ხოლო ის, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია, მას არაერთხელ დაუმტკიცებია. მაგრამ ამბობს, სანამ "ბორუსია" გასავარდნ ზონაშია, მოლაპარაკებებს ვერავისთან გავმართავო. მიონხენგლადბახურ კლუბში მას ბოლო დროს (გაჭირვების გამო) მარცხენა ნახევარმცველად, ასევე მარცხენა თავდამსხმელადაც კი ათამაშებენ. მაგრამ თვითონ მიიჩნევს, რომ მისთვის ზედგამოჭრილი პოზიცია მარცხენა მცველობაა.




ლილის ფეხბურთელები არბიტრ დე ბლეეკერს ეკამათებიან

სასჯელები

# ლილი დაისაჯა, მენიუც

უეფამ "ლილს" ჯარიმა გამოუწერა. ფრანგები 100 ათას (61 734 ევრო) შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდიან. მიზეზი "მანჩესტერთან" ლიგის პირველ მერვედფინალში მომხდარი ინციდენტებია. **რაიან გიგზის** გოლის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, ლილელებმა გასახდელში დააპირეს გასვლა. მართალია, მატჩი გაგრძელდა, მაგრამ ის რამდენიმე წუთით იყო შეწყვეტილი. ფრანგებს სწორედ ამის გამო მოუწევთ პასუხისგება.

დაისაჯა "იუნაიტედიც". ის 15 ათას (9 256 ევრო) ფრანკს გადაიხდის. ინგლისელ ფეხბურთელთაგან უწესოდ არავინ მოქცეულა, სამაგიეროდ, მისმა გულშემატკივრებმა აიკლეს ლანსის სტადიონის ერთი ტრიბუნა. პოლიციას მათ დასაშოშმინებლად ცრემლმდენი გაზის გამოყენება დასჭირდა. უნდა აღინიშნოს, რომ არეულობა ნაწილობრივ ორგანიზატორების ბრალი იყო. ბილეთების პრობლემის გამო, ერთ-ერთ, 3 500 იან ტრიბუნაზე 5 ათასი ქომაგი შევიდა. წინა რიგებში მყოფი ფანები დამცავ ბარიერებს მიასრისეს. მიწოლისას ბარიერის კარებები გაიხსნა და ქომაგთა ერთმა ნაწილმა მინდორზე კი ამოჰყო თავი. სხვები მაღალ ბარიერზე აძვრნენ და იქიდან პოლიციას მოუხდა მათი ჩამოყვანა. კლუბებს სასჯელების გასაჩივრებისთვის სამი დღე აქვთ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანმა ზე რობერტო აირჩია

## ზაფხულის ოპერაციის შემდეგ, ზე რობერტო ბრაზილიის ჩემპიონატში საუკეთესოა, ორი კვირის წინათ კი ისეთი გოლი გაიტანა, რომ პელეს შეადარეს...



ზე რობერტო შეიძლება მილანში ვიხილოთ

ბრაზილიური მედია უკვე დაბეჯითებით წერს, რომ ერთწლიანი პაუზის შემდეგ **ზე რობერტო** ზაფხულიდან ისევ ევროპაში სათამაშოდ დაბრუნდება, კერძოდ, "მილანში", რომელიც, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო ბრაზილიური ხდება. ზე რობერტო, "სელესაოს" საუკეთესო ფეხბურთელი გერმანულ მუნდიალზე, ამის თაობაზე საუბრისგან თავს იკავებს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მდიდრული წინადადება მიიღო და გადაწყვეტილებაც მიღებული აქვს. "ბავარიისა" და "ლევერკუზენის" ყოფილი ნახევარმცველი გასულ ზაფხულს "მილანში" თითქმის გადასული იყო, კლუბში სამედიცინო შემოწმებაც კი გავლილი ჰქონდა, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა, რადგან ფეხბურთელს მარცხენა მუხლზე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ოპერაციამ, რომელიც 13 ივლისს სან პაულუს ერთ-ერთ კლინიკაში ჩაუტარდა, თითქოსდა, საბოლოო წერტილი დასუვა ზე რობერტოს "მილანში" გადასვლის შესაძლებლობას, კიდევ იმიტომ, რომ ბრაზილიელს ის-ის იყო 32 წელიც შეუსრულდა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. ფეხბურთელმა რეაბილიტაციის კურსი "სან პაულუს" უმაღლესი დონის ფიზიოთერაპიულ ცენტრში დაიწყო, მერე კი უცებ კონტრაქტიც გააფორმა "სანტოსთან", რომელსაც **ვანდერლეი ლუქსემბურგო** წვრთნიდა და დღესაც წვრთნის. თუმცა, კონტრაქტის ხანგრძლივობა მხოლოდ 10-თვიანი იყო. ზაფხულში ზე რობერტო ისევ თავისუფალი აგენტი იქნება. გადაწყვეტილების მიღების დღე ახლოვდება, მაგრამ თვითონ ასეთ კომენტარს აკეთებს: *"გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ მივიღებ, რაც პაულისტას ჩემპიონატსა და ლიბერტადორესის თასზე გამოსვლას დავასრულებ"*. ის, რომ "მილანს" მის მიმართ ინტერესი ხელახლა გაუღვივდა, მხოლოდ გამოჯანმრთელების "ბრალი" არ არის. ასაკის მიუხედავად, ზე რობერტო ამ სეზონში ისე ძლიერად თამაშობს, როგორც არასდროს და ბევრი მის ნაკრებში დაბრუნებასაც ითხოვს. ბრაზილიაში დღეს ის ნომერი პირველია, ეროვნული ჩემპიონატის ყველანაირ სტატისტიკას ლიდერობს და ლიბერტადორესის თასზეც საუკეთესოა თავისი გუნდის შემადგენლობაში. ვანდერლეი ლუქსემბურგომ მას ახალი, გამთამაშებლის პოზიცია მოუძებნა და მის ფანტაზიას სრული გასაქანი მისცა. *"ევროპაში სხვა სტილის ფეხბურთელად მიცნობენ – ამბობს ზე რობერტო – თუმცა, ასე სჯობია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამი ფეხბურთელი ვარ ერთში"*. გერმანიაში ათი წელი განაპირა ნახევარმცველად თამაშობდა, მაგრამ ნაკრებში შუაში, საყრდენის პოზიციაზე გადაიყვანეს. "სანტოსში" კი უკვე დისპეჩერის როლი დაეკისრა და ამ ორი კვირის წინათ გულშემატკივარსა და საკუთარ თავს ისეთი გოლი აჩუქა, რომ პელესაც კი შეადარეს.

*"არა, პელეს თავს ნამდვილად ვერ შევადარებ – თქვა ზე რობერტომ – მაგრამ იმ მომენტში, როცა ის გოლი გამქონდა, მართლაც მივუახლოვდი მის კლასს. სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც მოულოდნელი გოლი იყო, მეკარემ კუთხე ჩამიკეტა და სხვა გზა აღარც მრჩებოდა, გარდა იმისა, რომ ბურთი თავზე გადამეგდო. ასეთი ილეთი ვარჯიშებზე არაერთხელ მიცდია, მაგრამ არასდროს გამომდიოდა."*

გოლი-შედევრის ამსახველი ვიდეოკლიპი უკვე გამოჩნდა ინტერნეტში (youtube.com-ზე) და ყველას აოცებს. "კოპა ლიბერტადორესის" ამ შეხვედრაში "სანტოსი" არგენტინულ "ხიმნასია ი ესგრიმას" ეთამაშებოდა (3:0). ბრაზილიელები უკვე 2:0-ს იგებდნენ, როცა ზე რობერტომ მარცხენა ფრთაზე **კლებერისგან** პასი მიიღო, მეურვესთან ერთად ბურთიანად ირბინა, საჯარიმოში შესული თითქმის პირით ხაზამდე ჩავიდა, ცენტრისკენ გაიხედა, სადაც არცერთი პარტნიორი არ იყო და დაინახა, რომ მეკარე მისკენ დაიძრა. მანაც ბურთს ქვემოდან ზემოთ რბილად აჰკრა, გოლკიპერს თავზე გადაავლო და შორეულ "ცხრიანში" ჩააბზრიალა. ამ საოცარმა გოლმა "სანტოსის" გულშემატკივრები ექსტაზამდე მიიყვანა, "მილანს" კი საბოლოოდ მოუხსნა ყველა ეჭვი ზე რობერტოსთვის კონტრაქტის გაფორმების სარგებლიანობაზე.

**გოგა ახალაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ინტერი: როსიცკიც, ფაბრეგასიც...

## გროსო შეიძლება რომაში გადავიდეს

ზაფხულში "ინტერს" **ლუიშ ფიგუ** ტოვებსო და გაივსო იტალიური (და არა მხოლოდ) სპორტული მედია პორტუგალიელის შესაძლო შემცვლელების გვარებით. "ინტერს" ეს უნდა, "ინტერს" ის უნდა, სია უკვე ისედაც ძალიან გრძელია და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ იმათ გვარებს დავწერთ, ვინც "ინტერს" არ უნდა. **მესი, კრისტიანო რონალდო, კამორანეზი, დეკუ, კუალიარელა** (სამპდორიელი), **ალმირონი** (ემპოლელი)... ხუთშაბათს დაწერეს, "ნერაძური" **სესკ ფაბრეგასის** ყიდვას აპირებს 20 მილიონ გირვანქადო. გუშინ კი გაჩნდა ცნობა, რომ მილანური გრანდი კიდევ ერთი "მეთოფის", **ტომაშ როსიცკის** ტრანსფერზე მუშაობს. "პატარა მოცარტად" წოდებული 26 წლის ჩეხი უნივერსალური ნახევარმცველია, გოლებისკენაც ძლიერი მიდრეკილება აქვს და ამიტომ "ინტერისთვის" იდეალური ვარიანტიაო, ასე წერენ. დაველოდოთ ზაფხულს, "ინტერი" ბოლო-ბოლო ვილაცას ალბათ იყიდის, მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ამათგან არცერთი რომ არ იყოს.

ამასობაში, უფრო რეალური და სარწმუნო ჩანს **ფაბიო გროსოს** "ინტერიდან" "რომაში" გადასვლის ვარიანტი. ყოველ შემთხვევაში, მისი აგენტის სიტყვებიდან სწორედ ასეთი დასკვნა კეთდება. გროსო "პალერმოდან" "ინტერში" მსოფლიო ჩემპიონატის წინ 6,5 მილიონ ევროდ გადავიდა, მაგრამ "სან სიროზე" თავისი კვალი ვერ დატოვა, რაშიც, სიმართლე ითქვას, ტრავმებმაც შეუშალეს ხელი. მაგრამ მცველის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მაინც ის უნდა იყოს, რომ მწვრთნელი ხშირად ტოვებს სათადარიგოთა სკამზე და ბრაზილიელ **მაქსველს** ამჯობინებს. აი, რა თქვა გუშინ მისმა აგენტმა, **სტეფანო ანტონელიმ**: *"გროსო "ინტერში" ყოფნით ბედნიერია, თუმცა ამ სეზონში ორი სერიოზული ტრავმა გადაიტანა. მილანში დარჩენაზე უარს სულაც არ იტყოდა, მაგრამ ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ფაბიოს "რომას" მაისურით ვიხილავთ. "ინტერსა" და "რომას" რამდენიმე სატრანსფერო საკითხი აქვთ გადასაწყვეტი, მათ შორის დავიდ პისაროს ერთობლივ მფლობელობასთან დაკავშირებით. კლუბები სეზონის ბოლოს მოილაპარაკებენ და ამ მოლაპარაკებების ფარგლებში შეიძლება, კიდევ რამდენიმე ოპერაცია შედგეს"*. გროსოს აყვანა რომაულ კლუბს გასულ ზაფხულსაც სურდა და "ნერაძურიზე" ადრეც დაიწყო მოქმედება, მაგრამ ფეხბურთელმა საბოლოოდ უფრო სახელოვანი და მდიდარი "ინტერი" ამჯობინა.

### ჩეხეთი: ბიჭებს ქეიფი ძვირად დაუჯდათ

ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრები 47 530 დოლარით (ერთი მილიონი კრონა) დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტაბლოიდმა **ტომაშ უიფალუშის, იან პოლაკის, ტომაშ როსიცკის, მარტინ ჟირანეკისა** და **მარეკ ჩეხის** ღრეობის ფოტოები დაბეჭდა. გერმანიასთან წაგებული მატჩის შემდეგ, თანაგუნდელები და მათი მეგობარი გოგონები უიფალუშის 29-ე დაბადების დღეს, პრაღის ერთ-ერთ ოტელში, გათენებამდე აღნიშნავდნენ, თანაც ერთობ ამორალური ფორმით...

### მარსელი ძველ მფლობელს დარჩა

"მარსელის" ბოსმა **რობერ ლუი დრეიფუსმა** კანადელ **ჯეკ კაჩკართან** გარიგება გადაიფიქრა. "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობა პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებებს ზაფხულში გააგრძელებენ. კაჩკართან შეთანხმებას 1 მარტს მოეწერა ხელი. ახალ ბოსს ფინანსური გარანტიები პარასკევს უნდა წარმოედგინა, მაგრამ მან ვადის გადაწევა ითხოვა. კანადელი ბიზნესმენის ფინანსური შესაძლებლობები ისედაც ეჭვს იწვევდა. მოსიე დრეიფუსს, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეეპარა ეჭვი პარტნიორის შესაძლებლობებში და ვადის გადაწევაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

### სტევენსმა ჰამბურგი დატოვა

არა, **ჰუუბ სტევენსი** "ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან არ გადამდგარა, უბრალოდ, ჰოლანდიაში გაემგზავრა, რადგან მის მეუღლეს სასწრაფოდ ოპერაცია დასჭირდა. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ჰუუბი ჩრდილოგერმანულ კლუბში. ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ეს ამავე კვირაში მოხდება. სტევენსის არყოფნაში "ჰამბურგს" მისი ასისტენტი **მარკუს შუპი** ავარჯიშებს.

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

# რიჩარდსი: სიტიდან მენიუში?

## მიკა შეიძლება მესამე ფეხბურთელი გახდეს, რომელიც მანჩესტერის ლურჯ ნახევარს წითელზე გაცვლის; დეკუ, გუდიონსენი და სნეიდერი ფერგის სამიზნეში...



მიკა რიჩარდსი (მარცხნივ) დიდი ტრანსფერისთვის ემზადება

**სერ ალექს ფერგიუსონი** "მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა მცველ **მიკა რიჩარდსს** ეპატიჟება. "სიტის" თავმჯდომარე **ჯონ უორდლმა** იცის, რომ მისი ავტორიტეტი მიწასთან გასწორდება, თუ "იუნაიტედს" გარიგების საშუალებას მისცემს. "სიტის" ფანები საუკეთესო ახალგაზრდის "იუნაიტედში" წასვლას ვერ შეეგუებიან. ტრანსფერის შემთხვევაში, რიჩარდსი მხოლოდ მესამე ფეხბურთელი გახდება, რომელიც ბოლო 70 წელიწადში, "სიტიდან" "მენიუს" მიაშურებს - პირველი, 1972 წელს, უელსელი თავდამსხმელი **ვინ დევისი** იყო, ხოლო მეორე, 1996 წელს, ინგლისელი მეკარე **ტონი კოტონი**.

ფერგი ზაფხულის ტრანსფერებისთვის ემზადება. **ოუენ ჰარგრივსმა** "იუნაიტედთან" ნანატრი კონტრაქტი უნდა გააფორმოს. დღის წესრიგშია "საუთჰემპტონის" მარცხენა მცველის, **გარეთ ბეილისა** და "სპორტინგის" თავდამსხმელის, **ნანის** ტრანსფერები. გასული კვირის მიწურულს ამ სიას რიჩარდსიც დაემატა. თინეიჯერს უკანა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. "სიტის" ახალგაზრდულ გუნდში მას მთელი ფლანგიც გაუკონტროლებია და საყრდენი ნახევარმცველობაც უკისრია. რიჩარდსი "იუნაიტედის" ვარსკვლავ **გარი ნევილის** მემკვიდრედ მოიაზრება.

"სიტის" მიკას შენარჩუნების მიზერული შანსი აქვს. იანვრის ტრანსფერებისას ყმაწვილს "ჩელსი" ეპატიჟებოდა. ამ სეზონში რიჩარდსმა უდიდესი პროგრესი განიცადა, მაგრამ მისი ანაზღაურების მომატებაზე არავის უფიქრია. ფეხბურთელი კვირაში 10 ათას გირვანქაზე ნაკლებს იღებს. "იუნაიტედი" მას უფრო სარფიან პირობებს ჰპირდება. "სიტი" ყველაფერს ილონებს, რათა რიჩარდსი სხვა კლუბს მიჰყიდოს, თუნდაც იმ სხვამ "იუნაიტედზე" ნაკლები ფული გადაიხადოს.

"სანდი მირორის" ცნობით, ფერგი მზადაა, **დეკუს** სანაცვლოდ "ბარსელონას" 15 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. 29 წლის ნახევარმცველი არ მალავს, რომ "კამპ ნოუზე" გატარებული სამი სეზონისა და არა ერთი ტიტულის შემდეგ ახალ თავგადასავლებზე ოცნებობს. 2004-ში, "პორტუს" მის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

ბარსელონელი ფეხბურთელებით დაინტერესება ამით არ ამოიწურება. ფერგის თავდასხმის გაძლიერება სურს. ამიტომ, შეიძლება, მოულოდნელი ტრანსფერის მომსწრენიც კი გავხდეთ. საუბარია **ეიდურ გუდიონსენის** ინგლისში დაბრუნებაზე, რათა ისლანდიელმა **ჰენრიკ ლარსონის** წასვლით გაჩენილი სიცარიელე შეავსოს. უცნაური ისაა, რომ ერთი წლის წინათ, "ბარსამ" ის იმავე მიზნით შეიძინა. 27 წლის გუდიონსენმა კატალონიელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კვირაში 70 ათას გირვანქას იღებს. "იუნაიტედს" მისი შეძენა სულ ცოტა 8 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

"სანდი მირორი" აიაქსელი **ვესლი სნეიდერით** "იუნაიტედის" დაინტერესების ამბავსაც გვაუწყებს. სერ ალექსის ემისრები გამუდმებით ესწრებიან ამტერდამელთა მატჩებს. სნეიდერის გარდა, მათი ყურადღება ახალგაზრდა თავდამსხმელის, **კლაას იან ჰუნტელაარისკენაა** მიმართული. მოგეხსენებათ, ამ ბიჭმა ჰოლანდიის ნაკრებიდან **რუუდ ვან ნისტელროი** ამოაგდო.

დაბოლოს, **ბრაიან რობსონი** "იუნაიტედში" ბრუნდება. "მიდლსბროსა" და "ვესტ ბრომვიჩის" ყოფილი დამრიგებელი არა სამწვრთნელო შტაბში, არამედ კომერციულ დეპარტამენტში იმუშავებს. რობსონმა "სანს" ეს ინფორმაცია თავად მიაწოდა.

არსენალი

# ვენგერს ბიუსტს დაუდგამენ

## მეთოფეების მეორე ლეგენდარული მწვრთნელი ჰერბერტ ჩეპმენის შემდეგ...

"არსენალის" ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, **არსენ ვენგერს** "ემირიტს სთედიუმზე" ბიუსტი დაუდგას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგ დამრიგებელს სიცოცხლეშივე ლეგენდარული მწვრთნელის სტატუსს ანიჭებენ. "მეთოფეების" ძველი არენის შესასვლელში ნახევარი საუკუნის განმავლობაში იდგა კიდევ ერთი ლეგენდარული დამრიგებლის, **ჰერბერტ ჩეპმენის** ბიუსტი. "ჰაიბერის" დანგრევის შემდეგ, ბრინჯაოში გაცოცხლებული ჩეპმენის "ემირიტსზე" ჯერაც არ გადაუტანიათ. როგორც ჩანს, ორი მწვრთნელის ბიუსტს ერთად აღმართავენ.

ჩეპმენი "არსენალის" ისტორიაში იმით შევიდა, რომ გუნდს ცხრა წლის განმავლობაში, 1925-1934 წწ, ხელმძღვანელობდა და სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და ერთხელ ასოციაციის თასი. ვენგერმა სახელოვან წინამორბედს დიდი ხნის წინათ გადაასწრო. ის "არსენალში" 1996 წელს მივიდა და აგერ უკვე მეთერთმეტე წელიწადია, "მეთოფეებს" შეუცვლელად ხელმძღვანელობს. მოსიე არსენი ლონდონელთა ყველაზე სტაჟიანი და ამავე დროს, ყველაზე წარმატებული დამრიგებელია. ჩეპმენის მსგავსად, გუნდი მანაც სამჯერ გახადა ინგლისის ჩემპიონი, მაგრამ ოთხჯერ მოიგო ასოციაციის თასი, ორჯერ ჩემპიონობა და თასი ერთად დაისაკუთრა და კიდევ ხუთჯერ პრემიერლიგის ვერცხლის მედლებს დასჯერდა.



არსენ ვენგერი

## თავისუფალი ჭიდაობა

# ჭიდაობენ: კეტოევი და ქეთიშვილი

### შესაძლოა, ძმები ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზე გადაეყარონ



გიორგი კეტოევი

**გიორგი კეტოევი** - ამ გვარ-სახელს რუსულ საჭიდაო სამყაროში სულ უფრო ხშირად ახსენებენ. მეტიც - წლეულს 84-ში რუსთა უძლიერესი ნაკრების ლიდერად ის ითვლება. გუშინაც გაცნობეთ, რომ კეტოევი კრასნოიარსკში დამთავრებული მსოფლიო თასის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს და სრულიად დამსახურებულად, რადგან ბრწყინვალედ მოიგო სამივე შეხვედრა. ამათგან სუსტი მეტოქე მხოლოდ უკრაინელს თუ ეთქმოდა, სხვა ბრძოლებში კი რუსთა ამომავალმა ვარსკვლავმა ჯერ ქართველ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილს** დააყრევინა ფარხმალი, ფინალში კი ირანელი მსოფლიოს მესამე პრიზიორი **რეზა იაზდანი** დაჩაგრა.

*„გიორგი კეტოევმა დღეს ძლიერ მეტოქეს მოუგო - ირანელ რეზა იაზდანის. შარშან გუანჩჯოუში, მსოფლიო პირველობაზე წასვლის შანსი მან საჯიდ საჯიდოვთან მძიმე ბრძოლაში დაკარგა, თუმცა ბოლო წლებში შესამჩნევად მოუმატა დგომშიც და ჩოქბჯენშიც, კარგად შედის ფეხში, ხალიჩაზევე შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება და თუ რამე არ გამოსდის, ცვლის შეხვედრის მიმდინარეობას. ეს ყველაფერი დღეს მშვენივრად გამოჩნდა ირანელის წინააღმდეგ შეხვედრაში.“* - აღნიშნა ფინალის შემდეგ რუსთა ნაკრების ერთ-ერთმა თავკაცმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჰაჯიმურატ მაგომედოვმა**. ერთი დღით ადრე, ჯგუფური ეტაპის შემდეგ (ანუ ირანელებთან შეხვედრამდე) კეტოევის გამოსვლას რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯამბულათ თედეევიც** შეეხო. სხვა ახალბედების შექების შემდეგ, როცა კეტოევის ჯერი დადგა, მან შემდეგი განაცხადა: *„კეტოევმა მოუგო 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილს, რომელმაც იმ ტრიუმფისას ამ წონაში ჩვენს დღევანდელ ლიდერ* ***საჯიდ საჯიდოვსაც*** *მოუგო. წარმოიდგინეთ, როგორი რეზერვი გვყავს!!! ძალიან მიხარია, რომ პეკინისთვის გუნდში კონკურენცია ასე იზრდება და ოლიმპიადაზე სტაბილურად ძლიერი გუნდით გავალთ“.*

კეტოევმა კრასნოიარსკში წარმატებით ჭიდაობა მსოფლიო თასამდეც მოასწრო - იანვარში ივან იარიგინის სახელობის დიდი პრიზის ტურნირიც მოიგო. ეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპია და დიდი შანსია, იგი სოფიაში, კონტინენტის პირველობაზეც ვიხილოთ. დაგვეთანხმებით, იოლი არაა ნაკრებიდან ისეთი ძლიერი მეტოქის ამოგდება, როგორიც მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი საჯიდ საჯიდოვია. ამასთან, ჯერ ისევ ხალიჩაზე რჩება რუსთა მეორე სუპერმოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ორგზის მომგები ადამ საიტიევი. მორიგი გაუჩინარების შემდეგ იგი ამ მსოფლიო თასზე აპირებდა დაბრუნებას, თუმცა საბოლოოდ არ გარისკა. მას ახასიათებს ხოლმე სპორტიდან გაუჩინარება, მაგრამ ბოლო ხანებში ტრავმებსაც შეუწუხებია. მართალია, საამტურნიროდ გამოჯანმრთელებულა, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც მსოფლიო ჩემპიონატია და ახალი გართულებების შიშით თასზე ჭიდაობას მოერიდა. შესაძლოა, მის გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ იარიგინის ტურნირის მოგებამ საევროპოდ წონის უპირველეს ფავორიტად კეტოევი აქცია.

გიორგის შარშანვე შეეძლო ნაკრებში მოხვედრა და მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლაც, მაგრამ ბოლო შესარჩევი შეჯიბრება საჯიდოვთან მონეტის აგდების ყოვლად უგუნური წესით წააგო და ოცნებაც ერთი წლით გადაედო. ზემოთ მაგომედოვი სწორედ ამ შეჯიბრებას გულისხმობდა, მის სიტყვებს კი, კეტოევი ბოლო წლებში სწრაფად უმატებს და თავისი ჭიდაობა მრავალფეროვანი გახადაო, ერთს დავუმატებთ - გამამლუქებული ქართველის სწრაფ პროგრესს აქაური მწვრთნელებიც ხშირად აღნიშნავენ. ჩვენები მას ძალიან ძლიერ, ფიზიკურად კარგად მომზადებულ და დიდი ტექნიკური არსენალის მქონე მოჭიდავედ ახასიათებენ. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მინდორაშვილს კრასნოიარსკში მასთან პირველად არ წაუგია. მართალია, მინდორაშვილსაც მოუგია მისთვის, მაგრამ როგორც ვიცით, დადებითი ბალანსი მაინც მამლუქის მხარესაა. ეგეც არ იყოს, კეტოევი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და 30 წლის მინდორაშვილზე ბევრად ახალგაზრდაა.

გუშინვე გაცნობეთ, რომ კეტოევი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონის **ლერი ქეთიშვილის** უმცროსი ძმაა. იგი 2000 წელს წავიდა რუსეთში და მას შემდეგ ორჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა (ჯერ ჭაბუკებში, მერე - ახალგაზრდებში), შარშანწინ კი ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონობაც იზეიმა.

მისი წასვლის ისტორიაც ისეთივე ბანალურია და სატირალი, როგორც ასეულობით მისი თანატოლისა - 2000 წელს სლოვაკურ ბრატისლავაში, ევროპის პირველობაზე წასასვლელად ვერ დააფინანსეს! მის ტალანტს იმთავითვე აღიარებდნენ და საჭირო ფულის მოსაძებნად ბევრს ეცადნენ პირადი მწვრთნელი **გია კოტიშაძე** თუ ჭაბუკთა ნაკრების თავკაცი **თამაზ ბენდიანიშვილი**, მაგრამ იმ პერიოდში საქართველოს მსგავსი „წვრილმანებისთვის“ არ ეცალა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა სპორტის დეპარტამენტში ფედერაციებს პირდაპირ ეუბნებოდნენ, მხოლოდ პროფესიულ ეროვნულ ნაკრებებს დავაფინანსებთ, ბავშვებისთვის კი ფული არ გვაქვსო. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო და ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ჭიდაობის ფედერაციის იმდროინდელი საპატიო პრეზიდენტი, ჩვენი ფალავნებისთვის ჯერ კიდევ მაშინვე მხსნელად მიჩნეული **გოჩა ძასოხოვი** საქართველოში არ იმყოფებოდა. არადა, იმ კრიტიკულ ვითარებაში მისი განსაკუთრებით ეიმედებოდათ.

სხვათა შორის, მაშინ ბრატისლავაში საქართველოდან სულ სამი მოზარდი წავიდა. აქედან ერთი - **თედორე მინდიაშვილი** (85) საკუთარი ხარჯით. საინტერესოა, რომ იგი ჩემპიონი გახდა, **ბესარიონ გოჩაშვილი** (54) მეორეზე გავიდა, **მიხეილ ჩიქოვანი** (76) - მესამეზე. მედალოსნებს შევეხეთ და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბრატისლავაში რუსეთის ნაკრების ორმა ახლანდელმა წევრმაც იყოჩაღა - აწ უკვე ევროპის ორგზის, ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა **მახაჩ მურთაზალიევმა** (66) იქ 42-ში გაიმარჯვა, ოლიმპიურმა და ევროპის ორგზის ჩემპიონმა **მავლეტ ბატიროვმა** (60) - 46-ში.

რა გასაკვირია, ასეთ პირობებში გიორგიმ პერსპექტივა თუ ვერ დაინახა. თუმცა ნაცნობი ვლადიკავკაზელი მწვრთნელების წინადადებას ერთბაშად არ დათანხმებულა - ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა, მაგრამ რაკი აქ უკეთესის იმედი არ ჩანდა, გასასინჯად წავიდა. აი, ამის შემდეგ კი შეფუცხუნდნენ ჩვენები. უპირველესად, ისევ გოჩა ძასოხოვი, ერთი ხანობა დაბრუნებაზე უარს არც გიორგი იყო, მაგრამ აქ უკვე სხვა პრობლემამ იჩინა თავი - ასაკის მატებასთან ერთად მზარდმა ორგანიზმმა ორივე ძმას 84-ში მოუყარა თავი. ბუნებრივია, ძმას ძმასთან მეტოქეობა არ სურდა. თანაც, გიორგი უმცროსია და მაშინ ლერის კონკურენციას ვერ გაუწევდა.

როგორც გითხარით, ლამის გადაწყვეტილია ევროპის პირველობაზე გიორგის გამოსვლა. მამამისმა - **ვაჟა ქეთიშვილმაც** დაგვიდასტურა, რომ ეს ამბავი თითქმის გარკვეულია. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, იგი სოფიაში ვერ ვიხილოთ და აქ ერთი ინტრიგა იკვეთება - დიდი შანსია, ამ წონაში საქართველოს ღირსება ლერიმ დაიცვას, ანუ, შესაძლოა, ძმების მეტოქეობა იქ ვიხილოთ. ჩვენი ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** საევროპო შემადგენლობას ჯერ არ ასახელებს, მაგრამ მინდორაშვილი რომ ევროპას გამოტოვებდა, ეს ჯერ კიდევ საქართველოს ჩემპიონატამდე ითქვა. ცხადია, მის არყოფნაში უპირველესი კანდიდატი ქვეყნის ჩემპიონი ლერი ქეთიშვილია. ეს ამბავი ბოლომდე გარკვევით არც მამამ იცის, თუმცა ამბობს, რომ მისი ინფორმაციითაც, სოფიაში ლერის წაყვანა იგეგმება. აღსანიშნავია, რომ ძმებს ჭიდაობის ანბანი სწორედ მამამ შეასწავლა, რომელიც გვაიმედებს, რომ ამ ეტაპზე ლერი მოუგებს გიორგის. ღმერთმა ქნას, თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

**ირაკლი თავაძე**

## ძიუდო

### ინტერვიუ ნუგზარ მესაბლიშვილთან

# ქართველს თუ უკრაინელს?

**ნუგზარ მესაბლიშვილი ამასწინათ გავიცანით. ყოფილი ძიუდოისტი და ამჟამად მწვრთნელი, დიდი ხანია, უკრაინაში მუშაობს. ამ დღეებში ის და მისი მოწაფეები, უკრაინელი გოგონები საქართველოს ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდნენ ბოლნისში. ნუგზარ მესაბლიშვილი საკმაოდ გულღია რესპონდენტი აღმოჩნდა.**

- ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში მდებარე სოფელ ყვარელწყალში დავიბადე და გავიზარდე. ძიუდოში ვარჯიში დავიწყე ახმეტაში, გუგული აბრამიშვილთან, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კი, კი თბილისში გავაგრძელე ვარჯიში, ფალავანთა კლუბში. დედაქალაქში ჩამოსვლიდან ერთ წელიწადში, 1982 წელს, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მესამე ადგილი დავიკავე, შემდეგ კი ამავე ასაკში, ზედიზედ ორჯერ სსრკ ჩემპიონი გავხდი. მალე, ჩემს საყვარელ სახეობაში, ქართულ ჭიდაობაშიც ვიზეიმე საქართველოს ჩემპიონობა და სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს. 1984 წელს კლაიპედაში, საბჭოთა კავშირის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პრიზიორი გავხდი. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველას ვჯობდი, ამის მერე, საბჭოთა კავშირის პირველობებზე აღარ მიშვებდნენ. როგორც ჩანს, სოფლიდან ჩამოსული, უფულო ბიჭი არავის უნდოდა.

ასეთ სიტუაციაში, ბევრმა მეგობარმა და მათ შორის, პირველმა მწვრთნელმა გუგული აბრამიშვილმა მირჩიეს, რომ სხვა რესპუბლიკაში გადავსულიყავი, სადაც თავის გამოჩენის მეტი შანსი მექნებოდა. იმ პერიოდში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდანაც მომივიდა გაწვევის ცნობა და უკრაინაში, ვინიცის ოლქის ქალაქ მოგილიოვ-პოდოლსკში მოვხვდი. ამ ქალაქს ძიუდოს პატარა კლუბი ჰქონდა და სამხედრო ნაწილში ნება დამრთეს, კვირაში, სამჯერ მევარჯიშა. უკრაინაში წასვლიდან ერთ თვეში იქაური ახალგაზრდული ჩემპიონატი მოვიგე, მერე სპარტაკიადებსა და საბჭოთა კავშირებზეც ვიყოჩაღე და უკრაინის ნაკრებშიც გზა გამეხსნა. ვიყავი უკრაინის მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო პირველობებზეც წარმატებები მქონდა, მაგრამ ის დიდი ოცნება, რასაც მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ჰქვია, ვერც უკრაინაში განვახორციელე.

**- უკრაინაში რაღა გიშლიდათ ხელს?**

- ჩემი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ უკრაინაშიც ვერ ვნახე ისეთი მწვრთნელი, რომელიც გზის გაკვალვაში დამეხმარებოდა. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ სპორტში, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყო, თუ ახალგაზრდულ ასაკში პირადი მწვრთნელი არ ამოგიდგა გვერდში, დიდი კარიერის აწყობის მინიმალური შანსი გაქვს. სამწუხაროდ, მე როცა ამას მივხვდი, ძალიან გვიანი იყო – უკვე კარიერას ვამთავრებდი. 1995 წელს, უკანასკნელი შანსი მქონდა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე წავსულიყავი, მაგრამ უკრაინის ჩემპიონატის ფინალი წავაგე და ვინც მომიგო, ატლანტაშიც ის წაიყვანეს. იმ დროს უკვე 33 წლის ვიყავი და კარიერაც დავასრულე.

**- კიევის ქალთა ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელად როგორ აღმოჩნდით?**

- როგორც სპორტკლუბ “დინამოს” წევრმა, კიევის მილიციის აკადემია დავამთავრე და ძიუდოისტის კარიერის დამთავრების შემდეგ, ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი. ისე, მეორე უმაღლესიც მაქვს დამთავრებული – უკრაინის ფიზკულტურის უნივერსიტეტი. თუმცა ძიუდო იმდენად მიყვარს, რომ მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მეჩვენება. ამიტომაც, როგორც კი მივიღე შემოთავაზება კიევის ძიუდოს კლუბ “რევანშში” მუშაობაზე, წამითაც არ დავფიქრებულვარ. ოთხი წელია, ამ კლუბში ბავშვებს ძიუდოსა და სამბოს ვასწავლი.

**- რასაც ახალგაზრდობაში ვერ მიაღწიეთ, ვეტერანებში მიგიღწევიათ...**

- ამ მხრივ, მართლაც საამაყოდ მაქვს საქმე. სისტემატურად გამოვდივარ ვეტერან ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატებზე და ტიტულებიც მრავლად მაქვს – ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, სამჯერ ვერცხლის მედალი ავიღე, ერთხელ კი მესამე ადგილი დავიკავე. აი, ასე ვაგროვებ ტიტულებს ამ სიბერეში. არადა, ძალიან მწყდება გული, რომ იმავეს ახალგაზრდობაში ვერ ვაკეთებდი. ყველაზე მეტად კი იმაზე მწყდება გული, რომ რასაც მივაღწიე, თითქმის ყველა ტიტული უკრაინას მოვუტანე და არა სამშობლოს...

**- საქართველოში დაბრუნება არ გიცდიათ?**

- შარშან, წლის ბოლოს, კიევში მდებარე საქართველოს საელჩოში მივედი და ორმაგი მოქალაქეობა მოვითხოვე. სამწუხაროდ, უარი მითხრეს, რადგან საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში მშვენიერი პირობები მაქვს, ქართველი კაცი ვარ და ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა დავბრუნდე სამშობლოში. თუმცა, ჯერჯერობით საქართველოში მუშაობა არავის შემოუთავაზებია.

**- უკრაინაში ქალთა ძიუდო პოპულარულია?**

- დაფინანსებით გუნდური სახეობები გვჯობნიან, მაგრამ პოპულარობით, ძიუდო და მათ შორის ქალთა ძიუდოც, ხუთეულში შედის. იქ ამ სახეობის პრესტიჟი დღითი-დღე იზრდება. წლის დასაწყისში, უკრაინის ძიუდოს ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა და კიდევ ბევრის გაკეთებას აპირება.

ისე, ნამდვილად არ ვიცოდი, თუკი საქართველოშიც ასეთი კარგი პირობები ჰქონდა ქალ ძიუდოისტთა ნაკრებს.

ამჟამად, ბოლნისში ჩამოყვანილი მყავს უკრაინელები ჩემი მეგობრის, გოდერძი ველიჯანაშვილის თხოვნით. ჩემდა სასიამოვნოდ, აღმოვაჩინე, რომ ბოლნისში იდეალური პირობებია – კლიმატით და გეოგრაფიული მდებარეობით დაწყებული და დარბაზით, ნიჭიერი ახალგაზრდებითა თუ მაღალი დონის სპეციალისტებით დამთავრებული. 17 გოგონათი ჩამოვედი და ამ დღეებში, ამხანაგურ გუნდურ შეხვედრებს ჩავატარებთ ბოლნისის, ახმეტისა და თბილისის ნაკრებებთან. სადაც არ უნდა ვიყო, ქართულ ძიუდოს, ქართველი სპორტსმენების წარმატება მუდამ გამიხარდება და რითაც შემეძლება, ყველაფრით დავეხმარები თანამემამულეებს.



ნუგზარ მესაბლიშვილი

უკრაინაში ბევრი ქართველია. სხვა ქალაქების რა გითხრათ, მაგრამ კიევში ვინც ცხოვრობს, თითქმის ყველას ვიცნობ. ამჟამად, იქ მყოფი ქართველების 14 ბავშვს ვავარჯიშებ. “კონჩე ზასპას” ოლიმპიურ ბაზაზე ვარჯიში ხშირად გვიწევს, იქ სხვა სახეობის წარმომადგენელი ქართველებიც ემზადებიან ხოლმე და ბევრთან ვმეგობრობ. ახლო ურთიერთობა მაქვს ფეხბურთელებთან – კახა კალაძესთან, გიორგი დემეტრაძესთან, ჯაბა კანკავასა და ლაშა ჯაკობიასთან. ასევე ვმეგობრობ უკრაინის სახელით მოასპარეზე ქართველ ძიუდოისტ ილია ჩიმჩიურსა და მის ძმა კობასთან.

**- ოფიციალურ შეჯიბრებებზე, თქვენი შეგირდი ქართველს თუ შეხვედრია როდესმე?**

- საბედნიეროდ, ჯერ არა და არც მაქვს ამის სურვილი. ახლა მიჭირს იმის თქმა, რას ვიზამდი ასეთ შემთხვევაში. ალბათ მთელი შეხვედრის განმავლობაში ხმას არ ამოვიღებდი. თუმცა შინაგანად მაინც ქართველს ვუქომაგებდი...

**კობა ხატისაშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი



ბადურ ჯობავა



დავით არუთინიანი



გია გიორგაძე

საქართველოს ჩემპიონატი

# ბრინჯაო გია გიორგაძეს

## ვეტერანმა ევროპის ჩემპიონატზე უარი თქვა

გუშინ ჭადრაკის სასახლეში საქართველოს კაცთა 66-ე ჩემპიონატის ბოლო ინტრიგა უნდა გვეხილა - მესამე ადგილისთვის **გია გიორგაძე** და **ლევან ფანცულაია** თამაშობდნენ.

ორი 25-წუთიანი პარტია ყაიმებით დასრულდა და ხუთწუთიანი ბლიცების გამართვა გახდა საჭირო. დიდი სურვილი კი გვქონდა, მკითხველისთვის პარტიის მიმდინარეობა გაგვეცნო, მაგრამ კვლავ არ მოგვეცა გადამწყვეტი მატჩის ხილვის საშუალება - მოჭადრაკეები ერთ ოთახში ჩაიკეტნენ, სადაც მთავარი მსაჯის გარდა არავის ჰქონდა შესვლის უფლება. მიზეზი, "ჩვეულად" ბანალურია - მოჭადრაკეებს არ სურდათ, ხელი შეეშალოდათ. ასე მოხდა ამასწინათ, ქალთა ჩემპიონატშიც. მაშინაც გამოვთქვით უკმაყოფილება, მაგრამ ყური არავინ გვათხოვა. ჭადრაკის ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას ამ ცუდი ძველი ტრადიციის დავიწყება ნამდვილად მართებს.

როგორც გითხარით, 25-წუთიანები ყაიმით დასრულდა. ბლიცპარტიებში პირველად თეთრები ფანცულაიას ერგო, მაგრამ ფერის უპირატესობა ვერ გამოიყენა და დამარცხდა. ბლიცში გადამწყვეტი მაინც ნერვებია და ეტყობა, ახალგაზრდა ფანცულაიას უფრო გაუჭირდა თავის ხელში აყვანა. მეორე პარტიაში შავებით მოგება რთული იყო და ვერც შეძლო ლევანმა - ლაზიერი დასვა და დამარცხდა. საერთო ჯამში 3:1 მოიგო გიორგაძემ და აბსოლუტურად დამსახურებულად ირგუნა მესამე ადგილი.

გიორგაძის თამაში ამ ტურნირზე მართლაც გამორჩეული იყო. მართალია პირველ-მეორე ადგილებს ვერ შესწვდა, მაგრამ ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და ამ მაჩვენებლით ის ერთადერთი იყო, - თვით ჩემპიონი **ბაადურ ჯობავაც** კი დამარცხდა ერთხელ. გიორგაძემ 8 შეხვედრაში ქულა გაუყო მეტოქეს, სამში კი იმარჯვა. სხვათა შორის, გიორგაძე და ფანცულაია ერთმანეთს მერვე ტურში შეხვდნენ, თეთრებით ლევანი იყო, მაგრამ ვერც მაშინ შეძლო უფროსი მეტოქის დამარცხება.

გიორგაძეს საქართველოს ჩემპიონატში 1998 წლის შემდეგ არ უთამაშია. დაახლოებით ამ დროიდან ჩამოშორდა აქტიურ ჭადრაკს - წლის განმავლობაში ერთ-ორ ტურნირს თუ ითამაშებდა. ის ალბათ ასეთივე გრაფიკით გააგრძელებს შემდეგში მოღვაწეობასაც, - ჭადრაკს სიამოვნებისთვის თუ ითამაშებს. თუმც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გიამ ნაკრებშიც ითამაშოს, - მან ამის სურვილი უკვე გამოთქვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ უფრო პროფესიულად უნდა მიუდგეს ჭადრაკს - რამდენიმე სოლიდურ ტურნირშიც ითამაშოს და გუნდთან ერთად შეკრებაც გაიაროს. ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობა - ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ერთ კვირაში იწყება დრეზდენში, მაგრამ გიორგაძე იქ თამაშს არ აპირებს, - არანაირად არ მქონდა გეგმაში ამ ტურნირზე თამაში და ამიტომ ვერ გავემგზავრებიო. შეგახსენებთ, ჭადრაკის ფედერაცია პირველ სამ ადგილზე გასულთ ხსენებულ ჩემპიონატზე სრულად აფინანსებდა.

მინი-მატჩის დასრულების შემდეგ, 15 საათზე საქართველოს ჩემპიონატი ოფიციალურად დაიხურა კლუბ "იაში".

ტურნირის დირექტორმა **მიხეილ კეკელიძემ** ტურნირის მაღალ დონეზე ისაუბრა და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა. მთავარმა მსაჯმა **ევგენი მელიქსეთბეგმა** კი საბოლოო შედეგები გამოაცხადა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ფედერაციის პრეზიდენტი **რომან სიჭინავა** და ნაკრების მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილი**. აღინიშნა ჯობავას ბრწყინვალე თამაში, ასევე **დავით არუთინიანის** მშვენიერი შედეგი და სტაბილურობა, - იგი შარშანაც მეორე ადგილზე გავიდა, თუმც შარშანდელი ტურნირი წლევანდელს სიძლიერით ჩამოუვარდებოდა. მესამე ადგილი მიულოცეს გია გიორგაძეს და გარჯაც შეუქეს - სამაგალითო ოსტატობა აჩვენა ვეტერანმა ახალგაზრდებსო. ვერაფრით იქნებოდა **გაიოზ ნიგალიძის** კარგი თამაშის აღუნიშნაობა და ხვიჩა სუპატაშვილმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა მოჭადრაკეს - მისი სახით ძლიერი ოსტატი ეზრდება ქართულ ჭადრაკს.

დახურვის ცერემონიალი დიდხანს არ გაგრძელებულა, - პრიზიორებმა დაწესებული ჯილდოები - ფულადი პრიზები და მედლები მიიღეს და დამსწრე საზოგადობას მომავალ ჩემპიონატამდე დაემშვიდობნენ.

ბოლოსკენ ჩემპიონატის მცირე სტატისტიკურ მონაცემებს შემოგთავაზებთ. სულ 11 ტურში 66 პარტია გათამაშდა. აქედან თეთრებმა 18 მოიგეს, შავებმა კი - 24, 24 შეხვედრა ყაიმით დასრულდა. შედარებისთვის მოვიყვანთ ქალთა ჩემპიონატის მაჩვენებლებს: აქაც 66 პარტია გათამაშდა, სადაც თეთრებმა 23-ში იმარჯვეს, შავებმა კი მხოლოდ 13-ში; 30 შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

შავებით თამაშის უცნაურობა გამოიხატა ბაადურ ჯობავას შემთხვევაში - სულ ხუთჯერვე მოუწია ამ ფერით ბრძოლა და ხუთჯერ გაიმარჯვა, მაშინ როცა 6 "თეთრი" პარტიიდან მხოლოდ ორში იმარჯვა, სამში ქულა გაიყო და ერთშიც დამარცხდა.

მოულოდნელი იყო **პარმენ გელაზონიას** ცუდი თამაში, - მან მხოლოდ ნახევარი ქულის აღება შეძლო, რაც კაზუსი უფროა ვიდრე კანონზომიერება. გელაზონიამ პირველი ლიგა მშვენივრად ჩაატარა და ტურნირი მოიგო კიდეც - ბოლო ტურში კი, უკეთეს პოზიციაში დავით არუთინიანს დაუზავდა. სწორედ ამ ნახევარმა ქულამ მისცა არუთინიანს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება - მან ბოლო, მეოთხე საგზური მოიპოვა.

წლევანდელი ჩემპიონატი რომ მართლაც მაღალი დონის იყო იქიდანაც ჩანს, რომ 12 მონაწილიდან 9 დიდოსტატი იყო. აქედან 5-ის რეიტინგი 2600-ზე გახლდათ; დანარჩენის კი 2531-დან 2587-მდე მერყეობდა. ასეთი რეიტინგის მოჭადრაკეების სიმრავლე საქართველოს ჩემპიონატს არ ახსოვს. ტურნირის საშუალო რეიტინგი 2514-ს უდრიდა, რაც ძალიან კარგ მაჩვენებლად ითვლება. ფიდეს დეწესებული კატეგორიით კი მეთერთმეტე რანგი ერგო.

საკმაოდ ახალგაზრდულიც იყო წლევანდელი ტურნირი - მონაწილეთა საშუალო ასაკი 24 წელია, რომელთაგან უხუცესი გია გიორგაძეა - 42 წლის, უმრწემესი კი გაიოზ ნიგალიძე - 18 წლის აპრილში შესრულდება; ამ ასაკს თებერვალში უწია **შოთა აზალაძემ**.

ტურნირი ნორმების შესრულებით ვერ გამოირჩა და ეს არც იყო გასაკვირი - 9 მონაწილეს შესასრულებული არც არაფერი ჰქონდათ - მხოლოდ სამი - აზალაძე, გელაზონია და ნიგალიძე იყო უწოდებო და სწორედ მათ ჰქონდათ როგორც საერთაშორისო ოსტატის, ისე დიდოსტატის ნორმის შესრულების შანსი. აზალაძემ და გელაზონიამ საჭირო ქულები ვერ დააგროვეს, გაიოზ ნიგალიძემ კი საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა - ამისთვის 4.5 ქულა იყო საჭირო; ნიგალიძემ კი ტურნირი ხუთი ქულით დაასრულა. დიდოსტატის ბალამდე ქულანახევარი დააკლდა. ნიგალიძისთვის ასეთი წარმატება პირველი იყო კარიერაში და წოდება რომ მიენიჭოს, კიდევ ორჯერ შესრულება სჭირდება.

ყოველი ტურნირის შემდეგ დიდ ინტერესს ისიც იწევს, თუ ვინ რამდენი პუნქტით გაიუმჯობესა ან პირიქით - გაიუარესა რეიტინგი. ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს ნიგალიძეს - მისი აქტივი 47.5-ს უდრის, თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როცა დაბალი რეიტინის მფლობელი თამაშობს მაღალ რეიტინგიანებთან, ქულების დიდი რაოდენობის მოხვეჭა უფროა შესაძლებელი - ჩემპიონმა - ბაადურ ჯობავამ ნიგალიძეს 3.5 ქულით აჯობა, რაც ჭადრაკში უდიდესი სხავობაა, მაგრამ მხოლოდ 11.7 პუნქტით წაიწია წინ. ყველაზე მეტი, ცხადია, პარმენ გელაზონიამ დაიკლო - 25; შემდეგი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი კი **გიგა ყაჭეიშვილს** აქვს - მინუს 20. საკმაოდ წაიწევს წინ არუთინიანიც - მისი აქტივია პლუს 15.2.

**ზვიად შათირიშვილი**

## სხვადასხვა

### ელენე მსოფლიო რეიტინგში

**ფიგურული ციგურაობა.** ტოკიოში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ციგურაობის საერთაშორისო კავშირმა (ISU) სპორტსმენთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. რეიტინგში სამი წლის შედეგები იგულისხმება, აქედან ბოლო ორი სეზონის მიღწევა 100 პროცენტით, პირველი კი - 70-ით. წლევანდელი ასპარეზობით **ელენე გედევანიშვილმა** თავის რეიტინგს ევროპის ჩემპიონატიდან 150 ქულა შემატა, მსოფლიო ჩემპიონატიდან კი - 595. არადა შარშან ელენემ ჯამში 1 300 ქულა მოაგროვა. გედევანიშვილს 2 133 ბალი აქვს და მსოფლიოში 24-ე პოზიციაზეა. მსოფლიოს პირველი სამეული ასე გამოიყურება: **მაო ასადა** (იაპონია) - 4 205, **იუ-ნა კიმი** (კორეა) - 4 000, **იუკარი ნაკანო** (იაპონია) - 3 975, **მიკი ანდო** (იაპონია) - 3 975 და **კიმი მაისნერი** (აშშ) - 3 625.

### მაკა ტურნირიდან მოიხსნა

**ჩოგბურთი.** როგორც ჩანს, საქართველოს პირველი ჩოგანი ქალის **მაკა ჩახნაშვილის** ტრავმა, რომელიც მან ამერიკულ რედინგში მიიღო, სერიოზულია. მაკამ ამის გამო უარი თქვა იტალიურ ლატინაში (50 ათასი დოლარი) მონაწილეობაზე, არადა იქ სპეციალურად იყო ორგანიზატორების მიერ მიწვეული. ამერიკაში კვლავ გამოჩდნენ ქვეყნის მესამე და მეოთხე ჩოგნები, **სოფიო მელიქიშვილი** (338) ლოს ანჯელესთან ქალაქ ჰემონდის ტურნირის (25 ათასი) საკვალიფიკაციოში თამაშობს, **სალომე დევიძე** (533) კი ძირითად ბადეშია, რადგან ორგანიზატორებმა მას "უაილდ ქარდი" მისცეს. საბერძნეთში კიდევ ერთი 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, თუმცა პატრასში პირველივე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა **სოფიო ქვაცაბაია**, მან ფრანგ ნადეჟ ვერგოსთან (485) წააგო - 1:6, 2:6. ეგვიპტეში მორიგი ტურნირი (10 ათასი) დაიწყო, საკვალიფიკაციოში ეგრევე გავარდა **მარიამ კუპრეიშვილი**, ჭჩსპც ფრანგმა ალექსანდრა გვიზდოვსკიმ მოუგო - 4:6, 0:6. ძირითად ბადეში კი 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** თამაშობს, მან ეს უფლება სუეცის ტურნირის ნახევარფინალში გასვლით მოიპოვა.

### პირველი ან მეორე

**სუმო.** მარტის ბაშო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** სარეკორდო შედეგით დაასრულა, თხუთმეტიდან ათი ორთაბრძოლა მოიგო - ასე რომ, აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა რეიტინგ-ლისტში (ბანძუკე), რომელიც 25 აპრილს გამოქვეყნდება, წინ წავა. სავარაუდოდ, კოკაი დასავლეთის პირველი მაეგაშირა ან აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა გახდება. მარტის ბაშოზე კოკაიმ მილიონ იენზე მეტი იშოვნა. მაკუშიტას დივიზიონში **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** თანამემამულე **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** გადაასწრებს რეიტინგში.

სუმოს ასოციაციის პრეზიდენტმა **კიტანოუმიმ** თასის მფლობელი **ჰაკუჰოს** დიდ ჩემპიონად (იოკოძუნა) კურთხევის წინაპირობად მაისის ტურნირში 13 მოგება დაასახელა, თუმცა იოკოძუნად არჩევის კომიტეტმა ოდნავ შეარბილა მოთხოვნა: *"ჰაკუჰო ტიტულს მიიღებს თუ ნაცუ ბაშოზე 12 მოგებას მაინც იზეიმებს, ამასთანავე ბოლო დღემდე შეინარჩუნებს თასის მოპოვების შანსს და აჩვენებს ხარისხიან სუმოს"*. - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე **ებისავამ**. ებისავამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**, რადგან მათ თითოჯერ ოსაკას ბაშოზე დაჯახებას თავი აარიდეს, ასაშორიუმ **ოძეკი ჩიოტაიკაისთან** ორთაბრძოლაში, ჰაკუჰომ კი - სუპერფინალში: *"ამ ბატონებს წესი არ დაურღვევიათ, მაგრამ მათ არ გაამართლეს მაყურებლის იმედი, ენახა სანახაობრივი სუმო"*. ამასობაში **ოძეკი ტოჩიაძუმამ** გამოაცხადა, რომ ექიმებმა ტვინში მცირე ჩაქცევა აღმოუჩინეს, რის გამოც ის ალბათ კარიერას დაასრულებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კოკაი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. ლელო № 56 (2006)

**გასული** **საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, ყველა დონესა და ყველა რგოლში, ქართული სპორტი გამართულად მუშაობდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო მასობრივი სპორტისადმი ყურადღების გაძლიერება. ამ პროგრამის ხორცშესხმისთვის საერთო ძალისხმევას შესანიშნავად ესადაგებოდა მოწოდება "სპორტი ყველასათვის", რაც იმას გულისხმობდა, რომ საყოველთაო სახალხო განათლებაზე გადასვლის შემდეგ საყოველთაო ფიზკულტურულ განათლებაზე გადასვლის დრო დადგა...**

*1982 წელს მაღალი სპორტული მიღწევებით კვლავ ორთაბრძოლის სახეობები გამოირჩეოდნენ.*

**ძიუდო.** თბილისმა მე-13 საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად ასპარეზობდა. გამარჯვებულთა შორის იყვნენ: **თამაზ კარიაული** (71), **აბესალომ ნიკლაური** (78), **ჰამლეტ ლოლაშვილი** (მძიმე); მეორე პრიზიორები გახდნენ: **თამაზ ნამგალაური** (71), **მალხაზ ალბორიშვილი** (78); ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ **გიორგი თენაძესა** (71) და **შოთა ხაბარელს** (78). საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში, ჰავანის ტურნირში გასულმა გორელმა **დ. მჭედლიშვილმა** (86) პირველი ადგილი დაიკავა. პოლონეთში ანალოგიური ტურნირი მოიგო **თემურ ხუბულურმა** (მძიმე). იაპონიის ტურნირში კი უძლიერესი იყო **დავით ბოდაველი** (86), იქვე, **შოთა ხაბარელმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი ძიუდოისტებისთვის წარმატებული გამოდგა სსრკ ჩემპიონატიც. კიშინიოვში ხაბარელი და ხუბულური ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ, ვერცხლის მედალი მოიპოვა **გურამ გოგოლაურმა** (71), ბრინჯაოსი **თამაზ ნამგალაურმა** (71), **დავით ბოდაველმა** (86) და **ბორის გოგიჩაიშვილმა** (ქვემძიმე). იმავე წელს ხაბარელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

სოფლის სპორტსმენთა მე-4 საკავშირო თამაშებში საქართველოს ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. შინ ჩემპიონად დაბრუნდა **ო. ყურაშვილი**, ხოლო **ნ. ნუგზარიშვილსა** და **გ. გუგავას** ვერცხლის მედლები ხვდათ წილად.

ახლა ვნახოთ, რა მიღწევები ჰქონდათ იმ სეზონში უფროსი თაობის მემკვიდრეებს. მაიკოპში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში საქართველოს წარმოადგენდა გორის ძიუდოს სპორტსკოლის ნაკრები, რომელიც მწვავე კონკურენციის პირობებში მეორე ადგილზე გავიდა. პირად პირველობაში გაიმარჯვა **ს. ხიზანიშვილმა** (83), მეორე ადგილი დაიკავა **ზ. ქარქიშვილმა** (75), მესამე **გ. მღებრიშვილმა** (57), **კ. ამბოკაძემ** (68), **თ. ბერძენიშვილმა** (76) და **ზ. ზექალაშვილმა** (62). შემდეგ იყო სსრკ პირველობა (ლვოვი) 1963-1964 წლებში დაბადებულთათვის. აქ ოქროს მედლები მოიპოვეს **აკაკი კიბორძალიძემ** (მძიმე) და **ავთანდილ გუბელაძემ** (აბსოლუტური); ვერცხლის - **ავთანდილ გუბელაძემ** (მძიმე), **აკაკი კიბორძალიძემ** (აბსოლუტური) და **ბორის ფიცხელანმა** (86); ბრინჯაოსი - **ა. ხაჩიძემ** (ქვემძიმე), **ე. გოგიჩაშვილმა** (71), **გ. ბუსიშვილმა** (65); მინსკის ახალგაზრდულ თამაშებში თავი გამოიჩინეს **მალხაზ ბერუაშვილმა** (აბსოლუტური), **აკაკი კიბორძალიძემ** (მძიმე), მესამე ადგილზე გავიდნენ **ა. კიბორძალიძე** (აბოსლუტური) და **რ. მარგველანი** (71). კობორძალიძემ პირველობა იზეიმა აგრეთვე ბულგარეთის საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირზე, **კ. კურტანიძესა** და **გ. ბუსიშვილთან** ერთად. ფხენიანში, იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო **ა. გუბელაძემ** (მძიმე), მეორე ადგილზე გავიდა **ა. ხაჩიძე** (95). ორივე სპორტსმენი თანატოლთა სსრკ ნაკრებში ასპარეზობდა.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** იმ წელს, ძიუდოისტთა დარად, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა, გარდა ოფიციალური ჩემპიონატებისა, არაერთ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. შვედეთში, "მელარენის თასზე", **მიხეილ სალაძე** (100) ოქროს მედალს დაეუფლა. შემდეგ, მან გფრ-ის ტურნირიც მოიგო **თემურ აფხაზავასთან** (82) ერთად. აფხაზავა უძლიერესი იყო აგრეთვე ნოვოსიბირსკში, "ი. პოდუბნის პრიზზე" გამართულ ტურნირში. იქვე, ოქროს მედალს დაეუფლა რუსთაველი **თემურ ყაზარაშვილი** (48).

საბჭოთა კავშირის პირველობა ზაპოროჟიეში ჩატარდა. ქართველებიდან ოქროს მედლები მოიპოვეს **თ. ყაზარაშვილმა** და **მ. სალაძემ**, ბრინჯაოსი **თ. აფხაზავამ** და **ავთანდილ მაისურაძემ** (მძიმე). შემდეგ, სსრკ ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატზე (კატოვიცე, პოლონეთი) ბრწყინვალედ გამოვიდნენ და ოქროს მედალს დაეუფლნენ **თ. ყაზარაშვილი** და **თ. აფხაზავა**.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი (აშშ) ბრწყინვალედ მოიგო **ზაურ ივანიშვილმა** (87), რომელმაც მანამდე პირველობა არავის დაუთმო ბაქოში გამართულ თანატოლთა საკავშირო პირველობაზე. ახლა გავეცნოთ იუნიორთა საკავშირო ტურნირის (მოსკოვი) გამარჯვებულებსა და პრიზიორებს: ოქროს მედალი - **რამაზ გუდაძე** (48), **კობა ოჩიგავა** (65), **იაკობ ხუნაშვილი** (65), **გიორგი მაკალათია** (81), **დავით სანოძე** (მძიმე); ვერცხლი - **ვიტალი კოვალიოვი** (52), ბრინჯაო - **პაატა ბუხრიკიძე** (მძიმე). და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებმა მოიგო გუნდური პირველობა.

ჩატარდა რამდენიმე საკავშირო კომპლექსური ღონისძიება, რომელთა პროგრამაში შედიოდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მესამე საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა **უ. თევდორაძე** (100). სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშების ლაურეატთა შორის იყო **გ. მაჭარაშვილი** (62), ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **ზ. მეხეშიძე** (68), **ზ. ივანიშვილი** (90) და **გ. გედეხაური** (100). პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე ოქროს მედალი ხვდა წილად **გ. ყარყარაშვილს** (90), **ზ. კობერიძე** (100) მესამე იყო.

**თავისუფალი ჭიდაობა.** თბილისში ოცდამეერთედ შეიკრიბდნენ ტრადიციული ტურნირის მონაწილენი. სსრკ ნაკრებში ოქროს მედალს დაეუფლნენ **დ. გიგაური** (68) და **ვ. მოდოსიანი** (82). მინსკში გამართული "ა. მედვედის ტურნირზე" კი **მალხაზ მერმანიშვილი** (100) ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები (ორჯონიკიძე) გახდნენ **დავით გიგაური**, **გიორგი მაკასარაშვილი** (74), **რაშ ხუტაბა** (100) და **ჯემალ ტარიელაძე** (მძიმე).

ხუტაბა პირველად ევროპის ჩემპიონიც გახდა ბულგარეთში. ამ ათლეტმა და დ. გიგაურმა კანადაში საერთაშორისო ტურნირში, "კანადის თასზეც" წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს მთავარი პრიზი. გიგაური უძლიერესი იყო საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირშიც. არანაკლები კონკურენციით ხასიათდებოდა სოცქვეყნების მეგობრული არმიების საერთაშორისო ტურნირები, სადაც ქართველები არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ სსრკ სხვა სამხედრო შენაერთების სახელითაც გამოდიოდნენ. 1982 წელს ტურნირი ულან- ბატორში გაიმართა. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში პირველობა მოიპოვეს **გ. ქენქაძემ** (68), **მ. რაზმაძემ** (82) და **ჯ. ტარიელაძემ** (მძიმე), ბელარუსის სახელით ნაკრებში მოასპარეზე **მალხაზ მემარნიშვილმა** (100) მესამე ადგილი დაიკავა. გუნდური პირველობა მოიგო საბჭოთა ნაკრებმა. ბრიანსკის საკავშირო ტურნირიდან შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ **გ. ბურნაძე** (60, **გ. ტრაპაიძე** (65) და **ზ. ტყეშელაშვილი** (87); მესამე პრიზიორები გახდნენ **ბ. ფიცხელაური** (48), **მ. ლომიძე** (56) და **ა. გოგოლაძე** (70). გუნდიც მესამე ადგილზე გავიდა.

კარგი მოჭიდავეები ჰყავდა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს", რომლის რჩეულებმა სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშებში ერთი პირველი - **თ. საჯაია** (82), ერთი მეორე - **მ. ხითარიძე** (62), ორი მესამე - **თ. გაბოძე** (74), **ნ. ბეკურაშვილი** (მძიმე) და გუნდური მესამე ადგილი დაისაკუთრეს. ნიჭიერმა ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს სსრკ პირველობაზეც (კრასნოიარსკი). პირველი ადგილი აიღო **დავით ბუზარიაშვილმა** (97), მესამე - **ეგია მუსოიანმა** (52), **ვახტანგ დოლიძემ** (75), **თამაზ ინდუაშვილმა** (87), **ბესიკ გვილიამ** (97), და **ზაზა თურმანიძემ** (მძიმე). ჩვენი ნაკრები კი მეორე პრიზიორი გახდა. აშშ-ში (ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე) დამაჯერებელი და ოპტიმისტური გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა **ლერი ხაბელოვმა** (90). მანამდე, მანვე მოიგო სსრკ პირველობა (ტაშკენტში) ახალგაზრდებს შორისაც. აქ, ჩემპიონის ოქროს მედლით დაჯილდოვდა **ა. მუთოშვილიც** (ქვემძიმე), მაგრამ ის გროზნოს სახელით გამოდიოდა. ჩვენებიდან მესამე იყო **ზ. თურმანიძე** (მძიმე).



მსოფლიო ჩემპიონები:
თემურ აფხაზავა და თემურ ყაზარაშვილი

**სამბო.** ჩატარდა მხოლოდ ოფიციალური შეჯიბრებები. სსრკ პირველობაზე საქართველოს სამბისტები მარტო ბრინჯაოს ორ მედალს დასჯერდნენ. ეს ჯილდო წილად ხვდათ **სოსო როსტიაშვილსა** (48) და **დავით ჯულაშვილს** (57). სსრკ ნაკრები მსოფლიო თასის მეოთხე გათამაშებაში (ესპანეთი) მთავარ პრიზს დაეუფლა, პირად პირველობაში კი თასი წილად ხვდა **ნოდარ ფავლენიშვილს**. სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშებში, საქართველოდან, **კ. არაბული** (74) პირველ, **თ. წითელაური** (74) კი მესამე ადგილზე გავიდა. ხოლო საკავშირო ახალგაზრდული თამაშები ორმა ქართველმა მოიგო. ერთი მათგანი, **ლ. ნაკანი** (71), უკრაინიდან გამოდიოდა, მეორე - **თ. ქველაური**, საქართველოდან. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ **ს. ტერნოვიხი** (52), ბრინჯაოსი - **რ. მარგველანი**, **გ. ბალოშვილი** და **მ. ჭეხაშვილი**. ახალგაზრდების საკავშირო პირველობა ერევანში ჩატარდა. აქ პირველი იყო **ნ. ხაჩიძე** (87), მეორე - **ფ. წიწილაშვილი** (75), მესამე - **პ. ბუზარიაშვილი** (75) და **შ. ფარჯანაძე** (56).

**ქართული ჭიდაობა.** საქართველოს 1982 წლის ფალავნის ტიტულს დაეუფლა **მალხაზ ბერუაშვილი**.

**კრივი.** რინგმა სპორტის ამ სახეობაში არაერთი პერსპექტიული მოკრივე წარმოაჩინა. სჭარბობდა ჭაბუკთა ტურნირები. ჩვენც ამით დავიწყოთ. პენზაში, 1963-1964 წლიანთა საკავშირო პირველობაზე, მეორე პრიზიორი გახდა თბილისელი **ი. სუშინი** (75). საქართველოში კრივს ნაზიარებმა **ა. საკოჩკინმა** (57) და **ე. მარგიანმა** (63.5) კი სხვა რესპუბლიკების სახელით იასპარეზეს და მათ ოქროს მედლებიც მოუტანეს. შემდეგ მარგიანმა მოიგო ფინეთის საერთაშორისო ტურნირიც 1965-1966 წლიანთა საკავშირო პირველობამ (რიგა) ოქროს მედლები მოუტანა **ო. სინჯოიანსა** (46), და **გ. სხირტლაძეს** (70); ვერცხლის - **ნ. ხუციშვილს** (70), **გ. მაკიევსა** (50) და **თ. უზოევს** (52); ბრინჯაოსი - **შ. შოშიაშვილსა** (63) და **ვ. ბაირამოვს** (57).

ჭაბუკთა საკავშირო პირველობა გაიმართა კიშინიოვში. საქართველოდან გაიმარჯვა **ალბერტ კაზანჯიანმა** (48). მანვე, ერთადერთმა მოიგო თბილისში ჩატარებული ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. საკავშირო ტურნირზე, ბათუმში, ოქროს მედალს ეუფლებიან **ზ. ანთია** (63.5), **ა. ყურაშვილი** (75), **თ. ჯიმშელაშვილი** (91) და **დ. შაქარაშვილი** (+91). საკავშირო შეჯიბრება (დნეპროპეტროვსკი) მოიგო **ბ. სამხარაძემ** (მჩატე), მესამე იყო **ა. ანტონიანი** (57). სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოუტანა გუნდს თბილისელმა **დ. უსუპიანმა**.

**კარატე.** სსრკ ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა **გია ბაკურაძემ** (75). ასპარეზობა ტალინში გაიმართა.

**მძლეოსნობა.** თბილისელი **ოლეგ სტრიჟაკოვი** წარმატებით ასპარეზობს რბენებში. ზაპოროჟიეში მან მოიგო საკავშირო პირველობა (3000 მ), მოსკოვში კი, "პრავდის პრიზზე", უძლიერესი იყო 5000 მ-ზე ასპარეზობაში. სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშებში, 400 მ თარჯრბენში, საქართველოდან პირველი იყო **ვ. ტიტოვი**, მესამე - **დ. დმიტრიევი**, მეორე ადგილზე (100 მ თარჯრბენი) გავიდნენ **ლ. ბლიაძე** და შუბის ტყორცნაში - **ა. მელაძე**. მესამე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში (ლენინგრადი) ჩემპიონობა მოიპოვა **ს. ქორთიევმა**, რომელმაც შუბი ყველაზე შორს სტყორცნა. ყარაგანდაში, განათლების სისტემის სპორტსკოლათა პირად-გუნდური საკავშირო პირველობა ჩატარდა. რბენებში ფინიშთან პირველები იყვნენ **ზ. მერმანიშვილი** (100 მ) და **მ. კიკაძე** (200 მ); სამმხტომში გაიმარჯვა **გ. დაქიურიძემ**, ბადროს ტყორცნაში ბადალი არ ჰყავდა **ტ. ბიწაძეს**, შუბის ტყორცნაშიც **ვ. ბორჩაშვილს**. იმავე დისციპლინაში მესამე შედეგი **დ. კეკიშვილს** ჰქონდა. კიევში, საკავშირო პირველობაზე, ბირთვის კვრაში (ქალები) საუკეთესოთა შორის იყო ოდესელთა სახელით მოასპარეზე **ნუნუ აბაშიძე**.

**სასტენდო სროლა.** მხოლოდ ერთ ჭაბუკს ხვდა წარმატება - თანატოლთა საკავშირო პირველობა, ადგილიდან სროლაში, მოიგო **არჩილ საბედაშვილმა**, უნგრეთში კი, საერთაშორისო ტურნირზე, მეორე შედეგი აჩვენა.

**ტყვიით სროლა.** პნევმატური პისტოლეტიდან ასპარეზობაში (ლვოვი) ახალგაზრდებს შორის ზამთრის საკავშირო პირველობაში გამარჯვება მოიპოვა **ლია გოგიაშვილმა**, მისი თანაგუნდელი **ალექსანდრე გორდიანკინი** კი უძლიერესი იყო "გაქცეულ ტახზე" სროლაში. მეხიკოს საერთაშორისო ტურნირში, სსრკ ნაკრებში მოასპარეზე **ბორის კოკორევს** პირველობა წილად ხვდა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობაში. ქუთაისელი **ი. ჩაქანავა** ბრინჯაოს მედალს დაეუფლა მესამე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, "გაქცეულ ტახზე" სროლაში. პნევმატური პისტოლეტიდან შეჯიბრებაში **მ. ჟამურაშვილი** მეორე იყო, **დ. ქოიავა** - მესამე (პნევმატური შაშხანა). ევროპის ჩემპიონატი (ჰააგა, ჰოლანდია) პნევმატური იარაღიდან სროლაში მეორედ მოიგო **კონსტანტინე კოსმინინმა**. სსრკ ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა **ალექსანდრე დოლგარიოვმა**.

*(გაგრძელება იქნება)*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

გაერთიანებული კარატე

## შეიქმნა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაცია



ქართული ორთაბრძოლების უფრო მაღალ დონეზე განვითარების უკეთესი პერსპექტივა გაჩნდა. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** კოლეგებს საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაციის დაფუძნების იდეა შესთავაზა:

*"ჩვენ, სხვადასხვა საბრძოლო სტილის მიმდევრები, ვერთიანდებით, რათა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტთან ერთად, ხელი შევუწყოთ საქართველოში საბრძოლო ხელოვნებათა გავრცელებასა და განვითარებას. ჩვენი მიზანია, პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ვხელმძღვანელობთ რა ამ პრინციპით, ჩვენ ვაარსებთ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაციას"* - ნათქვამია ერთობლივ მიმართვაში.

ასოციაციის პრეზიდენტად ერთხმად ხმად აირჩიესს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *"ჩვენ შევიმუშავეთ ერთიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარედგინება სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და ერთობლივად ვიმუშავებთ მის განსახორციელებლად. ასოციაცია ხელს შეუწყობს საქართველოში საბრძოლო ხელოვნებათა განვითარებას და იქნება ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც გაატარებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისა პოლიტიკას, იზრუნებს ფინანსების მოსაზიდად, თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების საჭიროებისთვის. გადაწყდა, რომ სპორტის დეპარტამენტი პირველად წლეულს დააფინანსებს საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ასოციაციას. ეს თანხები მოხმარდება სპორტსმენთა მომზადებას და მათ მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. ამ დღეებში ეროვნული ნაკრები შეუდგება მზადებას, რათა სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირზე ჯეროვნად წარსდგეს".*

დაკომპლექტდა ასოციაციის გამგეობა ამ შემადგენლობით: პრეზიდენტი **კახა ბასილია**, საპატიო პრეზიდენტი **ზურაბ ლეჟავა**, ვიცე-პრეზიდენტები - **ავთო მიქაძე**, **გოჩა ჯავახია**, **მიხეილ მახარაძე** და გენერალური მდივანი **ირაკლი დოლაბერიძე**.

ვიცე-პრეზიდენტები უხელმძღვანელებენ საბრძოლო ხელოვნებათა სხვადასხვა მიმართულებებს, რაც ავტომატურად გამორიცხავს წლების განმავლობაში შექმნილ გაურკვევლობას.

**ნუგზარ [illegible]იაბერაშვილი,**
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

---

კარატე-დო. ეროვნული ჩემპიონატი

## ამჯერად, მეჩვიდმეტე...

14-15 აპრილს, არმიის სპორტკლუბი კარატე-დოში რიგით მე-17 ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ორგანიზატორები არიან ეროვნული ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სპონსორი "პრემიერ ბიზნეს ჯგუფი" და ყველაზე სოლიდური სასტუმრო ბაკურიანში "პრემიერპალასი".

*"ჩემპიონატის მიზანია, ქვეყანაში კარატეს პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება და ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებითვის. ვაჟებიც და გოგონებიც იასპარეზებენ WKF-ის წესებით კუმიტესა და კატაში. 14 აპრილს სარბიელზე გამოვლენ ვაჟები: 6-7-წლიანები და 8-დან 17 წლის ჩათვლით ცალცალკე ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზენი; გოგონების კუმიტე და 6-8, 9-11, 12-14 და 15-17-წლიანებისთვის ასპარეზობა 15 აპრილს გაიმართება. კატაში კი, ასევე 15 აპრილს, მხოლოდ 14-წლიანებზე უფროსები იასპარეზებენ გოგონებიც და ვაჟებიც. ინდივიდუალურის გარდა, მოეწყობა შეჯიბრება გუნდურ კატაშიც"* - განაცხადა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ**.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და მედლებით. პირველი ნომრები ნაკრების კანდიდატები გახდებიან. ბასილიას თქმით, ჩემპიონატში მონაწილე ფედერაციებმა დ კლუბებმა დროულად უნდა წარადგინონ განაცხადი და სპორტსმენთა ბუდო პასპორტები კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში (ტელ: 96 31 89).

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები. მიმოხილვა

# ცქიტო და კახა წინ, ცინცაძე და როკი უკან



ნიკა ცქიტიშვილი

**მწვრთნელ მანულ კომასის მონჩო ლოპესით** შეცვლა "კახა სან ფერნანდოსაც" წამლად ექცა და **ნიკა ცქიტიშვილსაც**. ახალი დამრიგებლის ხელში ცქიტო თამაშს სწრაფად აუმჯობესებს, ხოლო "კახა" სატურნირო ცხრილის მეორე ნახევრიდან ფლეი ოფის ზონისკენ მიიწევს. რვეულისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი გამოდგა სევილიელთა მიერ შინ "პამესა ვალენსიას" დამარცხება - 85:74

ცქიტიშვილის თანაგუნდელებმა ცხრილის მეზობლებთან მატჩი არადამაჯერებლად დაიწყეს და პირველი მეოთხედი 17:26 წააგეს. მაგრამ გამოსაფხიზლებლად და მატჩის ბედის გადასაწყვეტად მომდევნო ათწუთეული საკმარისი აღმოჩნდა - 20:9. მეორე ტაიმში სევილიელებმა მეტოქეს დაწევის უფლება აღარ მისცეს და "ვალენსიას" მოგებათა რაოდენობით გაუთანაბრდნენ.

ნიკა ინტერვიუშიც ამბობდა - მწვრთნელის ნდობას ვგრძნობო. ეს სტატისტიკაზეც გამოიხატა - ცქიტიშვილმა მოედანზე 20 წუთი გაატარა, რაც ესპანეთში გადასვლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია. მატჩის ოქმს თუ გადავხედავთ შევნიშნავთ, რომ კახა გუნდურ კალათბურთს თამაშობს. ნიკამ 2-2 ორქულიანი და სამქულიანი სტყორცნა, რომელთაგან მხოლოდ სამიანები გამოიყენა, ზედ 3 საჯარიმო მიამატა და მატჩი 9 ქულით დაასრულა. მისი ექვსივე მოხსნა კი დაცვითია. მურსიაში გასვლითი მატჩი მოიგო **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" - 85:83. ჩვენიანს "აპენდიციტის ოპერაციის გამო შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. სხვათა შორის, "ესტუც" მას შემდეგ გამოფხიზლდა, რაც მწვრთნელი შეეცვალა და ამჟამად "ვალენსიასა" და "კახას" მსგავსად 13 მოგება აქვს. ვიდრე ცხრილს გადავხედავდეთ, შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში საუკეთესო 8 გუნდი გადის.

ესპანეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური. 1. რეალი - 20 მოგება, 2. ტაუ -20, 3. ხირონა -17, 4. ბარსელონა-17, 5. ხუვენტუდი-16, 6. გრან კანარია-15, 7. უნიკახა-14, 8. ვალენსია-13 / 9. **კახა-13, 10. ესტუდიანტესი-13**, 11. ფუენლაბრადა-11, 12. გრანადა-11, 13. მურსია-10, 14. ალიკანტე-10, 15. ბილბაო-10, 16. ვალიადოლიდი-9, 17. ბრუესა-8, 18. მენორკა-7.

**მანუჩარ მარკოიშვილმა** ადრიატიკის თასის გათამაშება მეცხრე პოზიციაზე დაასრულა. მის "ოლიმპიას" ნახევარფინალამდე ბევრი დააკლდა - ფლეი ოფში საუკეთესო ოთხეული გავიდა. საინტერესოა, რომ ოთხიდან სამი კლუბი სერბულია: "საბოტნიჩკი", "პარტიზანი" და "ჰემოფარმი".

ოლიმპიელებმა ტურნირი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს - ხორვატიაში "ზაგრებს" 85:72 აჯობეს. ათასამდე ქომაგის თვალწინ მარკოიშვილის თანაგუნდელებმა პირველივე ტაიმში მოიპოვეს 12-ქულიანი უპირატესობა (45:33) და დარჩენილ ორ მეოთხედში ფორის შენარჩუნება მოახერხეს.

მანუჩარი ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მისი სათამაშო დრო კვლავაც 40-ს მიუახლოვდა - 36 წუთი. თუმცა "ზაგრებთან" 10-ქულიანი ზღვარის გადალახვა ვერ მოახერხა - 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 8 ქულას დასჯერდა.

ადრიატიკის თასის წლევანდელ გათამაშებაში მანუს მონაგარი ასე გამოიყურება: 26 მატჩი, 29 წუთი, 10.9 ქულა, 0.8 შეტევითი მოხსნა, 2.6 დაცვითი მოხსნა, 1.8 პასი, 1.8 ჩაჭრა, 0.1 დაფარება, 1.7 შეცდომა, 3.6 ფოლი. ამ სეზონში ადრიატიკასა და ევროლიგაზე მარკოიშვილის გამოსვლას უახლოეს დღეებში სტატისტიკის დახმარებით შევაჯამებთ.

ადრიატიკის თასი. 26 ტურის შემდეგ. 1. რაბოტნიჩკი (სერბეთი) -21 მოგება, 2. პარტიზანი (სერბეთი) -20, 3. ციბონა (ხორვატია) - 20, 4. ჰემოფარმი (სერბეთი)-18 / 5. ბუდუჩნოსტი (სერბეთი)-16, 6. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-15, 7. ზადარი (ხორვატია)-14, 8. ჰელიოსი (სლოვენია)-13, 9. **ოლიმპია (სლოვენია)-13**, 10. ბოსნა (ბოსნია)-10, 11. შიროკი (ბოსნია)-9, 12. ზაგრები (ხორვატია)-8, 13. სლოვანი (სლოვენია)-3, 14. სპლიტი (ხორვატია)-2.

ფეხის ტრავმისგან მომჯობინებული **ვლადიმერ ბოისა** "მონტეპასკის" "ლივორნოს" ძლევაში 6 ქულით დაეხმარა. ხოლო რომაელებთან **ტაირონ ელისიც** ვერაფერს გახდა და მისი "ნაპოლიც". საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი 26 წუთში 2 ქულას დასჯერდა, მისი გუნდი - 40 წუთში 54 ქულას.

მორიგი ტურის შემდეგ "მონტეპასკიმ" სატურნირო ცხრილში ლიდერობა განიმტკიცა (და რეგულარულ ჩემპიონატს, ალბათ, პირველ ადგილზე დაასრულებს), ხოლო "ნაპოლიმ" ორი საფეხურით ქვემოთ გადაინაცვლა.

იტალიის ჩემპიონატი. 24 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 20 მოგება**, 2. ვიდივიჩი - 16, 3. მილანი -16, 4. ბენეტონი -15, 5. რომა - 15, 6. ვარეზე -13, 7. კანტუ-13, 8. პრემიატა - 12, 9. **ნაპოლი -12**, 10. სკაფატი-12, 11. ბიელა -12, 12. კლიმამიო -11, 13. უპეა-11, 14. უდინე -10, 15. სივილია - 9, 16. აველინო - 8, 17. რეჯო ემილია - 6, 18. ლივორნო - 5.

გიორგი **ცინცაძის** "ტარტუ როკს" ბალტიის თასზე 9 მატჩში ამდენივე მოგება ჰქონდა. მაგრამ დარჩენილ 5 ტურიდან ვერც ერთში ვერ მოახერხა გამარჯვება და ფლეი ოფში გასვლას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა. გასულ შაბათს "როკის" მდევარმა "კალევმა" **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასი" სტუმრად დაამარცხა და მოგებათა რაოდენობით ტარტუელებს გაუთანაბრდა (9-9). საქმეს ის ართულებს, რომ კალეველებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული და თუ 27 მარტს შინ ლიტვის "საკალაი" დაამარცხეს ცხრილში მეორე ადგილს "როკს" წაართმევენ და ფლეი ოფშიც გავლენ. მომდევნო ეტაპზე მხოლოდ პირველი და მეორეადგილოსნები ითამაშებენ.

ბალტიის თასი. მეორე ეტაპის საბოლოო მდგომარეობა. 1. ლიეპაია (ლატვია) - 10 მოგება, **2. როკი (ესტონეთი) - 9** / 3. კალევი (ესტონეთი) - 9, **4. ნევეჟისი (ლიტვა) -8, 5. ნეპტუნასი (ლიტვა) - 6**, 6. პანევეჟისი (ლიტვა)-6, 7. საკალაი (ლიტვა) - 5, 8. ატლეტასი (ლიტვა)-2.

ბალტიის თასზე ხელმოცარული **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისი" სერგო ათუაშვილის "ნეპტუნასს" ლიტვის ჩემპიონატში დაუპირისპირდა და დამარცხდა. მატჩი ქართველთაგან მხოლოდ სერგომ ითამაშა, მხოლოდ 4 წუთი...

ლიტვის ჩემპიონატი. 14-ე ტური. 1. ჟალგირისი-13 მოგება, 2. რიტასი -12, 3. შიაულიაი -9, 4. ნეპტუნასი-8, 5. პანევეჟისი -8, 6. ნევეჟისი -7, 7. საკალაი -4, 8. სუდოვა - 2, 9. ატლეტასი -1.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 19.03 | ატლანტა-საკრამენტო 99:76 | 29 | 2 | 2 | 2 | 23 |
| | | 21.03 | ატლანტა-მაიამი 83:91 | 22 | 4 | 1 | 1 | 10 |
| | | 23.03 | ატლანტა-პორტლენდი 100:102 | 32 | 5 | 1 | 1 | 11 |
| | | 24.03 | ატლანტა-დალასი 97:104 | 31 | 13 | 1 | 2 | 14 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 25.03 | მურსია-ესტუდიანტესი 83:85 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 24.03 | კახა-ვალენსია 85:74 | 20 | 6 | 0 | 1 | 9 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ) | 23.03 | მულჰაუზი-დიჟონი 76:80 | 7 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 25.03 | ლივორნო-მონტეპასკი 83:111 | 15 | 4 | 0 | 0 | 6 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 25.03 | რომა-ნაპოლი 71:54 | 26 | 1 | 2 | 0 | 2 |
| მანუ მარკოიშვილი | ადრიატიკა | 24.03 | ზაგრები-ოლიმპია 72:82 | 36 | 4 | 2 | 2 | 8 |
| გიორგი ცინცაძე | ესტონეთი (ჩ.) | 23.03 | როკი-რაპლა 102:55 | 16 | 1 | 0 | 0 | 7 |
| სერგო ათუაშვილი | ბალტიის თასი | 25.03 | ნეპტუნასი-კალევი 84:90 | 7 | 3 | 0 | 0 | 4 |
| | ლიტვა (ჩ.) | 23.03 | ნეპტუნასი-ნევეჟისი 97:89 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | ბალტიის თასი | 20.03 | პანევეჟისი-ნევეჟისი 89:85 | 31 | 4 | 5 | 2 | 13 |
| | ბალტიის თასი | 23.03 | ნეპტუნასი-ნევეჟისი 97:89 | არ უთამაშია | | | | |

## ქართველები NBA-ში

25 მარტი, ატლანტა

**ატლანტა-დალასი 97:104**

19:39, 25:19, 23:17, 30:29

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (42 წთ. 21 ქ. 6 მ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ), ჩილდრესი (46 წთ. 21 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ), ზაზა ფაჩულია (30 წუთი, 14 ქულა, 13 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 3 ფოლი), მერვინ უილიამსი (36 წთ. 9 ქ. 7 მ. 2 პ. 1 ჩ), ე. ჯონსონი (26 წთ. 9 ქ. 4 პ) – ლოუ (23 წთ. 15 ქ. 3 მ. 3 პ), შელდენ უილიამსი (9 წთ. 5 ქ. 2 მ. 2 ჩ), ლ. რაიტი (6 წთ. 2 ქ. 1 პ), ს. სტაუდმაიერი (16 წთ. 1 ქ. 2 მ. 2 პ), აივი.

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (38 წთ. 28 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ), ნოვიცკი (41 წთ. 28 ქ. 4 მ. 1 პ), ტერი (39 წთ. 27 ქ. 6 პ. 3 მ. 3 ჩ), დემპიე (19 წთ. 6 ქ. 7 მ. 1 დ), დ. ჰარისი (30 წთ. 6 ქ. 6 პ. 4 ჩ. 3 მ) – სტექჰაუზი (25 წთ. 8 ქ. 8 პ. 6 მ), დიოპი (27 წთ. 1 ქ. 9 მ. 2 დ. 1 ჩ), ჯორჯი (8 წთ. უქულოდ, 1 მ), ბაკნერი (10 წთ. უქულოდ, 1 მ), ბარეა, მენსა-ბონსუ.

**I მეოთხედი**

11:42 მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0)
11:41 ორქულიანი: დემპიემ დაუფარა
10:36 ფოლი: 1 (დემპიეზე დაჯარიმდა)
10:34 მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
10:27 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (2:6)
08:54 ჩაჭრა: 1 (ტერის ჩაუჭრა)
08:43 ფაჩულიაზე დ. ჰარისი დაჯარიმდა
08:43 საჯარიმოები: 2/0
07:49 ფოლი: 2 (ნოვიცკიზე დაჯარიმდა)
07:49 ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

**II მეოთხედი**

04:24 ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
04:12 მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1)
04:12 ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა
04:12 საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 32:51)
03:09 მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2)
00:50 მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3)
00:43 ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა

**III მეოთხედი**

11:30 ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (46:58)
11:30 ფაჩულიაზე დემპიე დაჯარიმდა
11:30 საჯარიმო: 7 ქ (47:58)
10:20 მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3)
10:18 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
09:06 პასი: 1 (ე. ჯონსონი, 2 ქ. 55:62)
08:39 მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4)
07:36 მოხსნა: 8 (შეტ: 3, დაც: 5)
06:08 მოხსნა: 9 (შეტ: 3, დაც: 6)
05:39 ფაჩულიაზე დემპიე დაჯარიმდა
05:39 საჯარიმოები: 2/1 (8 ქ. 58:69)
05:11 შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი)
04:23 მოხსნა: 10 (შეტ: 3, დაც: 7)
03:25 მოხსნა: 11 (შეტ: 3, დაც: 8)
01:00 ჩაჭრა: 2 (სტექჰაუზს ჩაუჭრა)
00:42 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

**IV მეოთხედი**

10:44 მოხსნა: 12 (შეტ: 3, დაც: 9)
10:34 შეცდომა: 2 (3 წამის წესი დაარღვია)
08:41 ფაჩულიაზე ბაკნერი დაჯარიმდა
08:41 საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 77:77)
07:46 შეცდომა: 3 (დიოპმა ჩაუჭრა)
07:05 ფოლი: 3
04:15 ორქულიანი: დიოპმა დაუფარა
02:29 ფაჩულიაზე ნოვიცკი დაჯარიმდა
02:29 საჯარიმოები: 2/2 (12 ქ. 86:94)
02:08 მოხსნა: 13 (შეტ: 3, დაც: 10)
01:22 ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა
01:22 საჯარიმოები: 2/2 (14 ქ. 90:97)
00:58 ფაჩულია ე. ჯონსონმა შეცვალა

**ატლანტა ჰოქსი:** 71 მატჩი, 27 მოგება, 44 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

**მომდევნო მატჩი:** მაიამი-ატლანტა (26 მარტი).

## ხელბურთი

ლეგიონერები

# თურქია მეშვიდეა

ევროპაში ხელბურთის სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შედის. სამწუხაროდ, ჩვენი ლეგიონერებიდან უმეტესობა ისეთ ქვეყანაში თამაშობს, რომელთა შიდა ჩემპიონატებზე ინტერნეტში არანაირი ინფორმაცია არ არის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ესპანეთისა და გერმანიის შემდეგ ყველაზე უკეთესი საიტი აქვთ ბერძნებს, რომლებიც ევროხელბურთის გრანდები ნამდვილად არ გახლავან.

საბერძნეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, დღეისათვის ერთადერთი ქართველი თამაშობს – **გარი თურქია**. მისის "დიომიდისი" ამ დროისათვის, ელადელთა 14-გუნდიან ჩემპიონატში 7-ე ადგილზეა. ბოლო ტურში, "დიომიდისი" 11-ე ადგილზე მყოფ "იონიკოსს" დაუზავდა (23:23). აღნიშნულ შეხვედრაში, გარი თურქიას გოლებით არ გამოუჩენია თავი. იგი სისტემატურად კი თამაშობს, მაგრამ შარშანდელისაგან განსხვავებით, წლეულს მეტოქეთა კარს ნაკლებად ემუქრება. მისი უკანასკნელი წარმატება 27 იანვრით თარიღდება, როდესაც "აეროპოსს" ოთხჯერ გაუტანა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში (31:27) დიდი წვლილი შეიტანა. მორიგ ტურში თურქიას გუნდი ორი ადგილით ქვემოთ მყოფ "ილისიაკოსს" ხვდება. ყოველ ტურში, ერთი ცენტრალური მატჩი პირდაპირ ეთერში გადაიცემა და სწორედ ეს შეხვედრაა აღიარებული ცენტრალურად.

უკრაინაში, **ვლადიმერ რუსიას** გოლი გოლზე გააქვს, სტაბილურად თამაშობს **მამია კობახიძეც**. თუმცა მათი "შახტარ-აკადემია" უკვე იმდენად ჩამორჩება ლიდერ "პორტოვიკს", რომ ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს. დონეცკელები წლეულსაც მხოლოდ მეორე-მესამე ადგილისთვისღა თუ იბრძოლებენ.

იმავე მდგომარეობაშია **რეზო ჭანტურიას** მაკედონიური "მეტალურგი". სკოპიელებმა რამდენიმე დღის წინ, უპრინციპულესი მატჩი წააგეს თანაქალაქელ "ვარდართან", რითაც ძირითადი კონკურენტი 6 ქულით გაუშვეს წინ...

**კობა ხატისაშვილი**

# დაარსდა შავი ზღვის თამაშები

შავი ზღვის თამაშების იდეა პირველად ჯერ კიდევ 1990 წელს წამოწია დღის წესრიგში ახალშექმნილმა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. შემდეგ საქმეში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიც ჩაერთო, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

2006 წლის 10 ივნისს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEK) ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა შეხვედრაზე სტამბულში მიიღეს თამაშების ჩატარების გადაწყვეტილება და, ამასთან, ხელი მოეწერა თამაშების წესდებას.

პირველი თამაშები ჩატარდება 2007 წლის 2-8 ივლისს ტრაბზონში, მომდევნო 2010 წელს და შემდეგ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. შავი ზღვის თამაშების აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული კომიტეტი. საქართველოდან კომიტეტის წევრია **თამაზ თევზაძე**, კვოტით მეორე წევრი დაინიშნება მომავალი წლის მარტში. თამაშების პროგრამაშია სპორტის ოლიმპიური სახეობები, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური: მძლეოსნობა, ფეხბურთი (ვაჟები), მშვილდოსნობა, ტაეკვანდო, ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი (გოგონები), კალათბურთი (ვაჟები), ცურვა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მომზადებასა და მონაწილეობას.

თამაშებისთვის მომზადების, გამგზავრებისა და მონაწილეობის საორგანიზაციო საკითხების მომზადება დაევალა ეროვნულ ფედერაციას სპორტი ყველასათვის.

ფედერაციებმა სამუშაო ჯგუფს უკვე წარუდგინეს თამაშებზე გასამგზავრებელ სპორტსმენთა და ოფიციალურ პირთა სავარაუდო სია.

საკუთარი ინფორმაცია

მსოფლიოს ჩემპიონატი

# მინაში დაფლული ტომაჰავკი

მელბურნში გრძელდება სპორტის საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც აუზში მედლების მორიგი ოთხი კომპლექტი გათამაშდა. წყალში მხტომელებმა კი დაასრულეს პროგრამა, რომელშიც ათიდან ცხრა ოქროს მედალს ჩინელები დაეუფლნენ.

ჩინელ მხტომელთა მონაგარში მერვე ოქრო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულად მხტომელებმა, **გუო ძინძინმა** და **ვუ მინსიამ** შეიტანეს, მეცხრე ოქრო კი **ლინ იუესა** და **ჰუო ლიანის** ანგარიშზეა, რომლებსაც ბადალი არ ჰყავდათ ათმეტრიანი კოშკიდან სინქრონულ ხტომებში.

გუომ მელბურნში პირველი ოქრო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომაში მოიპოვა. სხვათა შორის, ეს ზედიზედ მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატია, რომლებზეც ჩინელი მხტომელი ორი ოქროს მედლის მოპოვებას ახერხებს. იგივე მიღწევა მას ფუკუოკას (იაპონია, 2001 წელი), ბარსელონასა (ესპანეთი, 2003) და მონრეალის (კანადა, 2005) ჩემპიონატებზეც ჰქონდა.

*"ხანდახან არის მომენტები, როცა საკუთარ თავს ვარჯიშს ვაძალებ. მთავარი მოტივაციაა და როცა მიზანი გაქვს, არც დაღლას ერიდები და არც იმას, რომ ზოგჯერ შეიძლება ვარჯიშის ხასიათზე არ იყო. მელბურნის შემდეგ, ჩემი მიზანი პეკინისთვის მომზადებაა. ძალიან მინდა, შინაც მოვიპოვო დიდი გამარჯვება"*, - განაცხადა გუომ.

რაც შეეხებათ ლინსა და ჰუოს, ჰიტებში მათ 17 წლის ამერიკელებმა, **დევიდ ბუდიამ** და **ტომას ფინჩამმა** აჯობეს, მაგრამ შემდეგ ამათ პოზიციები დათმეს და ბრინჯაოს დასჯერდნენ. ჩინელებმა კი რუსების, **გლებ გალპერინისა** და **დმიტრი დობროსკოკის** კონკურენციას გაუძლეს და ოქროს მედლებსაც დაეუფლნენ.

**როდ ლეივერის** სახელობის კორტის ადგილზე მოწყობილ დროებით აუზში კი რამდენიმე საინტერესო პაექრობა გაჩაღდა. მათგან ერთ-ერთი გამორჩეული 100 მეტრზე ბრასში ორი სახელოვანი მოცურავის, მსოფლიოს ამერიკელი რეკორდსმენისა და ჩემპიონის, **ბრენდან ჰანსენისა** და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონისა და რეკორდსმენის, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონ **კოსუკე კიტაძიმას** დაპირისპირება გამოდგა.

ისევე, როგორც მონრეალში, ამჯერადაც ოქროს ამერიკელი დაეუფლა, რომელმაც ფინიშთან ერთი ხელის მოსმით მიასწრო მეტოქეს. მას 0.67 წამი დააკლდა მსოფლიო რეკორდამდე, მაგრამ მთავარია, რომ კიტაძიმას ძლევა შეძლო, მოცურავისა, რომელთანაც ბოლო ხუთი სეზონია, უშელავათო მეტოქეობა აქვს.

*"ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. ჩემი დროით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ ტიტული შევინარჩუნე. საერთოდ, როცა ასეთი ბრძოლა გიწევს, მსოფლიო რეკორდის დამყარება ძალიან ძნელია. რაც შეეხება კოსუკეს, ის შესანიშნავი მოცურავეა და ვამაყობ, რომ მასთან პაექრობაში მივაღწიე პირველობას"*, - განაცხადა ჰანსენმა.

შეგახსენებთ, რომ კიტაძიმამ 2003 წლის ჩემპიონატზე დუბლი შეასრულა - 100 და 200 მეტრზე ბრასში მოიპოვა ოქროები, მერე კი ეს მიღწევა ათენის ოლიმპიადაზეც გაიმეორა, მაგრამ შემდეგ ჩემპიონატზე ჰანსენმა იაპონელს ორივე ტიტული ჩამოართვა და მისი ორივე რეკორდი გააუმჯობესა. ახლა კიტაძიმას ჯერია, ვინც იქადნის, რომ რევანშს პეკინის ოლიმპიადაზე შემოგვთავაზებს.




ასეთი დაძაბული იყო ჰანსენისა და კიტაძიმას პაექრობა

სტარტიდან ორივე მოცურავემ კარგა შორს მოიტოვა დანარჩენები. პირველი მუხლის ბოლოს კი იაპონელის უპირატესობამ ოდენ 0.01 წამი შეადგინა. კედლიდან ასხლეტის შემდეგ, წინ ამერიკელი გავიდა, რომელიც 0.13 წამით დაწინაურდა. აუზის შუაში მას კიტაძიმა კი დაეწია, მაგრამ შემდეგ ჰანსენმა ტემპი გაზარდა და ფინიშის დაფასაც პირველი შეეხო.

ნაფინიშევს, ჰანსენმა განაცხადა, კიტაძიმასთან საომარი ტომაჰავკი მიწაში ჩავფალიო (ინდიელების გამოთქმა, რაც შერიგებას ნიშნავს), რითაც მიანიშნა, რომ ათენში მათ შორის დაწყებული სიტყვიერი ომი დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ათენში იაპონელმა ორივე დისტანციაზე კი აჯობა ამერიკელს, მაგრამ ჰანსენის თანაგუნდელმა **აარონ პირსოლმა** განაცხადა, რომ კიტაძიმა სტარტზე დასაშვებზე დიდხანს იყენებს დელფინის სტილს, რითაც მეტოქეებთან გადამწყვეტ უპირატესობას აღწევსო. ეს მოსაზრება ჰანსენმაც აიტაცა, თუმცა მსაჯების მხრიდან სასურველ რეაგირებას ვერ მიაღწიეს, მეტოქე მოცურავე კი ძლიერ გაანაწყენეს.

კაცებში მეორე ოქროს მედალს სამხრეთ აფრიკელი **როლანდ შიომანი** დაეუფლა, ვისაც ბადალი არ ჰყავდა 50 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. ისევე, როგორც წინა ჩემპიონატზე, მან ამჯერადაც ამერიკელ **იან კროკერთან** პაექრობაში მიაღწია გამარჯვებას. ათენის ოლიმპიადაზე შიომანი თავისი ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა მას შემდეგ, რაც 4x100 მეტრზე ესტაფეტაში თავის თანაგუნდელებს სენსაციური გამარჯვება მოაპოვებინა. არადა, მას ჯერ ინდივიდუალური ოლიმპიური ოქრო არ მოუპოვებია. სხვათა შორის, 50 მეტრზე ბატერფლაი ოლიმპიურ პროგრამაში არ შედის.

ავსტრალიელი **ლიბი ლენტონი** კი მელბურნის ჩემპიონატზე პირველი მოცურავეა, ვინც უკვე ორი ოქროს მოპოვება მოასწრო. 4x100 მეტრზე ესტაფეტაში, თანაგუნდელებთან ერთად ტრიუმფის შემდეგ, მან 100 მეტრზე ბატერფლაიშიც გაიმარჯვა. თანაც, გაუძლო ისეთი ძლიერი მეტოქეების კონკურენციას, როგორებიც არიან თანაგუნდელი **ჯესიკა შიპერი** და ამერიკელი **ნატალი კაფლინი**.

სხვათა შორის, მონრეალში ლენტონს შიპერმა აჯობა, ვისაც კვალიფიკაციაზე საუკეთესო შედეგიც ჰქონდა. დისტანციის პირველი ნაწილის შემდეგ კი ლიდერობა კაფლინის ხელში იყო, ვინც მსოფლიო რეკორდის გრაფიკით მიცურავდა, მაგრამ შემდეგ დაღლა დაეტყო და ტემპიც ვეღარ შეინარჩუნა. უფრო მეტიც, ვეღარც ოზი მეტოქეების კონკურენციას გაუძლო და ბრინჯაოს დასჯერდა. წაგების მიუხედავად, კაფლინი კმაყოფილი დარჩა - ამჯერად ამერიკის რეკორდიც მეყოფაო. ამგვარად, მის ანგარიშზე უკვე ორი მედალია - ვერცხლი და ბრინჯაო. ვერცხლი მან ესტაფეტაში მოიპოვა.

რაც შეეხება ლენტონს, ის 100 მეტრზე თავისუფალში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენია, 50 მეტრზე თავისუფალში კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი. 22 წლის ავსტრალიელი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. მის გეგმებში მელბურნში ოქროს შვიდი მედლის მოპოვებაა.

დაბოლოს, 200 მეტრზე ინდივიდუალური, შერეული სტილით ცურვაში ჩემპიონი ამერიკელი თინეიჯერი **კეიტი ჰოფი** გახდა. ჰოფი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა მაგრამ უკვე მეორედ მოასწრო მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვება. უფრო მეტიც, დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ხუთი ინდივიდუალური ოქროს მოსაპოვებლად იბრძოლებს.

ბრასის მუხლის შემდეგ, ჰოფი ჩინელი **ვუ იანიანის** მიერ ათი წლის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდის (2:09.72) გრაფიკს 0.78 წამს უგებდა, მაგრამ თავისუფალი სტილით ცურვისას, ბოლო ათ მეტრზე, დაღლილმა ტემპი დააგდო და ბოლოს ოქროსლა დასჯერდა. ჰოფი მელბურნში ოთხ ინდივიდუალურ სახეობაში გამოდის, რასაც პეკინისთვის კიდევ ერთს დაუმატებს.

ჰოფთან წამზე ნაკლები წააგო ამ დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზიმბაბვედან **კირსტი ქოვენტრიმ**, ვინც მონრეალშიც მეორეზე გავიდა. ნაფინიშევს მან განაცხადა, ძალიან შევცდი, როცა კეტრინს დასაწყისში დაწინაურების საშუალება მივეციო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მელბურნი (ავსტრალია)**
როდ ლეივერის არენა

**კაცები**

100 მეტრი ბრასით

1. ბრენდან ჰანსენი (აშშ) 59:80; 2. კოსუკე კიტაძიმა (იაპონია) 59.96; 3. ბრენტონ რიკარდი (ავსტრალია) 1:00.58...

50 მეტრი ბატერფლაით

1. როლანდ შიომანი (სამხ.აფრიკა) 23.18; 2. იან კროკერი (აშშ) 23.47; 3. იაკობ შიოტ ანდკიაერი (დანია) 23.56...

**ქალები**

100 მეტრი ბატერფლაით

1. ლიზბეთ ლენტონი (ავსტრალია) 57.15; 2. ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) 57.24; 3. ნატალი კაფლინი (აშშ) 57.34...

200 მეტრი ინდივიდუალური, შერეული სტილით

1. კეტრინ ჰოფი (აშშ) 2:10.13; 2. კირსტი ქოვენტრი (ზიმბაბვე) 2:10.76; 3. სტეფანი რაისი (ავსტრალია) 2:11.42...




ლიბი ლენტონი გამარჯვებას ზეიმობს (უკანა პლანზე ნატალი კაფლინი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## ჩელიოსი ამერიკის ფედერაციამ დააფასა

ამერიკის ჰოკეის ფედერაციამ, "დეტროიტ რედ უინგზის" მცველ **კრის ჩელიოსის** საპატივცემულოდ საზეიმო ცერემონიალი გამართა. ეს ღონისძიება ვეტერანი ჰოკეისტის მორიგ რეკორდს მიეძღვნა. ამ დღეებში ჩელიოსმა NHL-ის ამერიკული რეკორდი დაამყარა - მან გააუმჯობესა **ფილ ჰაუსლის** მიღწევა და ახლა, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ამერიკელებს შორის, ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

*"კრისი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ამერიკელი ჰოკეისტია. მას NHL-ში ფენომენალური სეზონები აქვს ჩატარებული და დღემდე ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მოთამაშედ რჩება"*, - განაცხადა აშშ-ის ფედერაციის პრეზიდენტმა **რონ დეგრეგორიომ**.

45 წლის ჩელიოსმა NHL-ში 1540 მატჩი ჩაატარა და 936 ქულა (182 გოლი+754 პასი) დააგროვა.

## ედმონტონ ოილერზი გაძლიერებას აპირებს

სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტი "ედმონტონ ოილერზი" წელს ფლეი ოფში ვერ მოხვდება და კლუბის ხელმძღვანელობა უკვე აქედანვე ზრუნავს მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე.

Edmonton Journal-ის ცნობით, "მენავთობეების" გენერალური მენეჯერი **კევინ ლოუ** აუცილებლად ეცდება გუნდში **რაიან სმიტის** დაბრუნებას, რომელიც ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება. სმიტი ცოტა ხნის წინათ, გაცვლის შემდეგ "ნიუ იორკ აილენდერსის" შემადგენლობაში მოხვდა.

გარდა ამისა, "ედმონტონი" აპირებს რომელიმე ნიჭიერი თავისუფალი აგენტის დამატებას - კანდიდატთა სიაში არიან **დანიელი ბრიერი** ("ბაფალო"), **სკოტ გომესი** ("ნიუ ჯერსი") და **კიმო ტიმონენი** ("ნეშვილი").

აგრეთვე იტყობინებიან, რომ ტრავმირებულმა ჩეხმა ვეტერანმა **პეტრ ნედვედმა** ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დატოვა "ედმონტონის" შემადგენლობა. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნედვედმა NHL-ში კარიერა დაასრულა.

სათხილამურო რბოლა

## ესტილი და ბაუერი წავიდნენ

მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ, ერთბაშად ორმა ვეტერანმა მოთხილამურემ გადაწყვიტა კარიერის დასრულება.

ერთ-ერთი მათგანია ნორვეგიელი **ფროდე ესტილი**, რომელიც 115-ჯერ გასულა მსოფლიო თასის ეტაპების სტარტზე და აქედან ოცჯერ მოახერხა პოდიუმზე ასვლა.

ესტილის კოლექციაში ოლიმპიადის სამი და მსოფლიო ჩემპიონატის ექვსი მედალია. მათ შორის ბოლო მედალი (ვერცხლის) წელს, საპოროს მსოფლიო ჩემპიონატზე, 50-კილომეტრიან დისტანციაზეა მოპოვებული. თავად ნორვეგიელისთვის, ყველაზე ძვირფასია 2005 წლის მსოფლიო პირველობაზე, მარათონში აღებული ოქრო.

ქალთა შორის კარიერა შეწყვიტა 30 წლის გერმანელმა **ვიოლა ბაუერმა**. ეს მოთხილამურე ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახლავთ - ოქრო მან ესტაფეტაში მიიღო. გარდა ამისა, 2002 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაო მოიგო გამოდევნებით რბოლაში.

კალათბურთი

## შარასი უორიორზში დარჩენას არ აპირებს

ლიტველი გამთამაშებელი **შარუნას იასიკიავიჩუსი** აცხადებს, რომ ის, სავარაუდოდ, არ დარჩება მომავალი წლისთვის "გოლდენ სტეიტ უორიორზში".

*"აზრი არ აქვს ჩემს ამ გუნდში დარჩენას. "გოლდენ სტეიტში" მესამე გამთამაშებლის სტატუსი მაქვს და ამ სტატუსისთვის შეუფერებლად დიდ ფულს ვილებ"*, - აცხადებს ლიტველი კალათბურთელი.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში იასიკიავიჩუსის ხელფასი 4 მილიონ დოლარს შეადგენს.

## არტესტი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა

როგორც ESPN.com იუწყება, "საკრამენტო კინგზის" ერთ-ერთი ლიდერი **რონ არტესტი** კარიერის დასრულებას აპირებს. ამის შესახებ კალათბურთელმა თანაგუნდელებთან პირად საუბრებში განაცხადა. არტესტს სურს უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ოჯახს.

თუმცა, რონს ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებია. ამ ჭორების შესახებ დასმულ კითხვას არტესტმა ასეთი პასუხი გასცა: *"ამ თემაზე ფლეი ოფის შემდეგ შეგვეძლება საუბარი"*.

## არენასი მკაცრად გააფრთხილეს

"ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერმა გილბერტ არენასმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობისგან მკაცრი გაფრთხილება მიიღო. ჩინოვნიკების უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არენასი გულშემატკივრებთან ფსონებს აკეთებდა საკუთარი გუნდის გამარჯვებაზე.

გასულ კვირას, "პორტლენდთან" მატჩის შემდეგ, გილბერტმა გამოაცხადა, რომ ერთ-ერთ ფანთან 10-დოლარიანი ფსონი დადო იმაზე, რომ მისი გუნდი "თრეილ ბლეიზერსს" მოუგებდა. შეხვედრაში "პორტლენდმა" 100:98 გაიმარჯვა. მოთამაშემ ამის შესახებ NBA-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საკუთარ ბლოგში დაწერა. იქვე მან მიუთითა იმის შესახებ, რომ წაგებული ფული ჩააბარა.

*"ჩვენ განვუცხადეთ არენასს, რომ მსგავსი სიტუაციები დაუშვებელია. თავის მხრივ, ის დაგვპირდა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება"*, - განაცხადა NBA-ის წარმომადგენელმა **ჯონ აკუნტომ**.

## ალენმა სეზონი დაასრულა

საბოლოოდ გაირკვა "სიეტლ სუპერსონიქსის" ლიდერის - **რეი ალენის** ბედი. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, კალათბურთელმა ფეხის ტრავმა მიიღო და რამდენიმე მატჩი გამოტოვა.

გუშინ გაირკვა, რომ ალენს სამკურნალოდ ოპერაცია დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სეზონი მისთვის დასრულებულია.

*"სწორედ ახლა არის ყველაზე შესაფერისი დრო იმისთვის, რომ ალენმა ოპერაცია გაიკეთოს. ბოლო დროს, ის მატჩების მსვლელობისას ტკივილს გრძნობდა და ამიტომაც, ორმხრივი შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ რეი ოპერაციას გაიკეთებს"*, - განაცხადა "სიეტლის" გენერალურმა მენეჯერმა **რიკ სანდმა**.

# ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# პინგისს სკოლის მოსწავლემ მოუგო

მაიამიში მიმდინარე ATP-სა და WTA-ს სუპერტურნირები გადამწყვეტ ფაზაში შედის. 1/16 ფინალის შემდეგ, ქალთა ტურნირს რამდენიმე ფავორიტი ჩამოშორდა.

ერთ-ერთი მათგანია შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელსაც "სონი ერიქსონის" ღია პირველობა ორჯერ მოუგია, მაგრამ ზედიზედ მეორე წელია, მესამე წრიდან ეთიშება ასპარეზობას.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, 17 წლის პოლონელმა სკოლის მოსწავლემ - **აგნიეშკა რადვანსკამ** მოუგო. უფრო სწორად, ეს შეხვედრა რადვანსკამ კი არ მოიგო, არამედ ჰინგისმა წააგო. შვეიცარიელმა 43 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხოლო 20 ბრეიკ-პოინტიდან 14 ვერ გამოიყენა.

*"მატჩის წინ, გამარჯვების არანაირი იმედი არ მქონდა, რადგან მარტინა ფავორიტად ითვლებოდა. რამდენიმე წლის წინათ, ის ჩემი კუმირი იყო, ახლა კი, მისი დამარცხება შევძელი"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ რადვანსკამ, რომელმაც 4:6, 6:3, 6:2 მოუგო ჰინგისს.

მესამე წრის ცენტრალური მატჩი რუს **მარია შარაპოვასა** და ამერიკელ **ვენუს უილიამსს** შორის შედგა. ეს ჩოგბურთელები უკანასკნელად, 2005 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ უილიამსმა ფინალში გასვლა შეძლო. მას შემდეგ, ვენუსი ტრავმებმა დატანჯა, მსოფლიო კლასიფიკაციაში ჩამოქვეითდა და განუთესავის რანგში, ადრეულ ეტაპზე გადაეყარა შარაპოვას.

მატჩი ისეთი სცენარით განვითარდა, რომ ორივე ჩოგბურთელს შეეძლო მოგება. მარიაცა და ვენუსიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ამერიკელს 50 უნებლიე და 12 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, შარაპოვას ანალოგიური მაჩვენებლები 35-სა და 13-ს უტოლდებოდა.

მარიამ კარგად დაიწყო და პირველ სეტში 2:0 დაწინაურდა, მაგრამ აქ უილიამსმა პატარა სასწაული მოახდინა და ზედიზედ 6 გეიმი მოიგო. თუმცა, უკვე მეორე პარტიაში გამოჩნდა, რომ ჩოგბურთში ახლახანს დაბრუნებულ ამერიკელს სათამაშო პრაქტიკა აკლია. მეორე სეტი შარაპოვას დარჩა - 6:2. ვენუსმა მესამეში კი გაიბრძოლა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მატჩის ბოლოს, რუსს უფრო მეტი ძალები ჰქონდა შერჩენილი.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ 1/8 ფინალში შარაპოვას **სერენა უილიამსთან** მოუწიოს თამაში. ამ უკანასკნელის მატჩი ჩეხ **ლუსი საფაროვასთან,** წვიმის გამო გუშინდელი დღისთვის გადაიდო.

მერვედფინალში გავიდნენ ბელგიელები - **ჟუსტინ ანენი** და **კიმ კლაისტერსი**. კიმს პრობლემები არ ჰქონია ავსტრალიელ **სამანტა სტოშურთან** და მან მეტოქე ორ სეტში დაამარცხა. სამაგიეროდ, კინაღამ გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას ანენი. ფრანგ **ვირჟინ რაზანოსთან** შეხვედრის მესამე სეტში, ბელგიელი 1:5 აგებდა, მაგრამ იმდენი ქნა, რომ პარტიის ტაი-ბრეიკში გადაყვანა შეძლო. იქ კი, მორალურად გატეხილმა ფრანგმა ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ ჟუსტინმა კლასის ხარჯზე მაინც შეძლო შემდეგ ეტაპზე გასვლა.

*"უფსკრულიდან ამოვედი. 1:5-ის შემდეგ, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენე და მხოლოდ ამის ხარჯზე შევძელი გამარჯვება"*, - განაცხადა ჟუსტინ ანენმა, ვინც 1/8 ფინალში რუს **ვერა ზვონარევას** შეხვდება. ამ უკანასკნელმა წინა კვირის ტრიუმფატორი, ინდიან უელსის ტურნირის გამარჯვებული, სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** გამოთიშა ბრძოლას.



აგნიეშკა რადვანსკა

## ATP

### სონი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

#### II წრე

**ნიკოლაი დავიდენკო (4)**-სიმონ გრეული 6:4, 6:0; **ტომი რობრედო (ესპ, 6)**-კევინ კიმი (აშშ) 6:2, 6:4; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 24)**-გასტონ გაუდიო (არგ) 6:3, 6:2; **ფაბრის სანტორო (საფ)**-კარლოს მოია (ესპ, 27) 7:6 (5), 6:2; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 28) 7:6 (5), 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 29)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6 (2), 6:3; **ამერ დელიჩი (აშშ)**-ხოსე აკასუსო (არგ, 31) 6:0, 6:3.

#### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ოლივიე როხუსი (ბელ, 30) როხუსის უარი; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ჟილ სიმონი (საფ, 32) 6:4, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5) 6:3, 7:6 (6); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 10)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 6:1; **ენდი მარეი (ბრიტ, 12)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:3, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 13)**-სიმონე ბოლელი (იტა) 7:6 (0), 6:2; **ხუან მანუელ დელ პოტრო (არგ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 16) 7:6 (2), 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ფლორან სერა (საფ) 7:6 (4), 6:3.

## WTA

### სონი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

#### 1/16 ფინალი

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ვინუს უილიამსი (აშშ) 2:6, 6:2, 7:5; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 2)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:2, 2:6, 7:6 (5); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) 6:4, 6:2; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 4)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 25) 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 5) 4:6, 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 6)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:1, 6:1; **მარა სატანჯელო (იტა, 32)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 2:6, 7:6 (3), 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 8)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:3, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 17) 6:1, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 10)**-აი სუგიამა (იაპ, 22) 6:4, 3:6, 6:1; **შაარ პეერი (ისრ, 14)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 7:6 (5), 7:5; **ნა ლი (ჩინ, 15)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 20) 6:0, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 18)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 16) 6:2, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა, 24)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 4:6, 6:3, 6:2; **ვერა დუშევინა (რუს)**-კაია კანეპი (ესტ) 6:1, 6:1.

# TV სპორტი

## 27 მარტი. სამშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჩეხეთი-გერმანია.
14:05 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-რუმინეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ტოქ-შოუ - 2:1.
17:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საბერძნეთი-თურქეთი.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 პირდაპირი ხაზი.
23:40 არგენტინის ჩემპიონატი. გოდოი-ბოკა ხუნიორსი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:30 სპორტის სახეები.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ისრაელი-ინგლისი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. დინამო-ბენეტონი.
13:45 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. კოტბუსი. გერმანია.
16:30 მძლეოსნობა.
17:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
17:35 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. პორტუგალია-ბელგია.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
21:40 სპორტინფორმი.
21:50 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1979 წელი. ფინალი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
23:50 სპორტინფორმი.
23:50 კალათბურთი. FIBA-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი.
00:50 სპორტინფორმი.
02:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ნიუ ჯერსი (LIVE).
06:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
06:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### EUROSPORT

09:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
14:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
17:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
18:30 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. გუნდური. ფინალი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
21:45 პროფესიული კრივი. დ. ინკინი (რუსეთი)-ე. დუმა (ს. აფრიკა). გერმანია.
22:15 პროფესიული კრივი. ესპანეთის ჩემპიონატი. პ. ნავაკუესი-მ. პენია. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
00:15 პოკერი. ევროტური. ლონდონი. ინგლისი.
01:15 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. გუნდური. ფინალი. ბელგრადი. სერბეთი.
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
02:15 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
03:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).

### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხირონა-ტაუგრესი.
12:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-დალასი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ვალიადოლიდი (ესპანეთი).
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. საბერძნეთი-თურქეთი.
18:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია-რუმინეთი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
20:30 ახალი ამბები.
21:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. ხერესი (LIVE).
23:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-დალასი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 რესტლინგი. იაპონური ლიგა.
01:15 ახალი ამბები.
02:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
03:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩი

#### UNDER 21

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ლატვია | 2:0 |

### ინგლისი

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ოქსფორდი-დაგენჰემი | 2:2 |

### იტალია

#### სერია B

| | |
|---|---|
| პიაჩენცა-მოდენა | 5:1 |

## ჰოკეი

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ს. იულაევი-ცსკა | 1:3 |

## ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 2:5 |

## ჩოგბურთი

### ATP. მაიამი

| | |
|---|---|
| დავიდენკო-**დელიჩი** | 6:7, 3:6 |
| **სტეპანეკი**-ფალა | 6:3, 6:2 |
| **რობრედო**-მაიერი | 6:4, 6:4 |
| ბერდლიჩი-**ჩელა** | 4:6, 6:7 |
| **ფედერერი**-ალმაგრო | 7:5, 6:3 |

### WTA. მაიამი

| | |
|---|---|
| **პეტროვა**-საფინა | 3:6, 6:2, 6:4 |
| კლაისტერსი-**ნა ლი** | 6:4, 4:6, 2:6 |
| **ჩაკვეტაძე**-სანტანჯელო | 6:1, 7:5 |
| რადვანსკა-**გარბინი** | 4:6, 2:6 |
| **ანენი**-ზვონარევა | 6:3, 6:2 |

## მოტორბოლა

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### ესპანეთის გრან-პრი

II ეტაპი

125 კუბ.სმ (23 წრე - 101.729 კმ)

1. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 41:52.149; 2. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - +0.014; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +5.720; 4. **ესპარაგო** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.489; 5. **გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.867.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტალმაში** - 45 ქულა; 2. **ფაუბელი** - 41; 3. **პეშეკი** - 36; 4. **ესპარაგო** - 22; 5. **ნიეტო** (ესპანეთი, "აპრილია")- 17.

250 კუბ.სმ (26 წრე - 114.998 კმ)

1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 45:35.846; 2. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +0.210; 3. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +0.478; 4. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +8.156; 5. **დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +14.747.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** - 5- ქულა; 2. **დე ანჯელისი** - 33; 3. **დოვიციოზო** - 27; 4. **ბაუტისტა** - 20; 5. **ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - 17.

მოტოგრანპრი (27 წრე - 119.421 კმ)

1. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - 45:53.340; 2. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +1.246; 3. **ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +2.701; 4. **ელიასი** (ესპანეთი, "ჰონდა") - +4.351; 5. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +4.993.

**საერთო ჩათვლა:** 1. **როსი** - 45 ქულა; 2. **სტოუნერი** - 36; 2. **პედროსა** - 36; 4. **ედვარდსი** - 26; 5. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - 19.

## ფორმულა 1

### ნიურბურგრინგზე შუმახერის მოსახვევი იქნება

წლეულს, გერმანიის გრან-პრი "ნიურბურგრინგზე" გაიმართება. ფორმულა 1-ის ამ ეტაპის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ამ ტრასაზე ერთ-ერთ მოსახვევს **მიხაელ შუმახერის** სახელი დაერქმევა.

ამ ამბავისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიალი 22 ივლისს - გერმანიის გრან-პრის ჩატარების დღეს გაიმართება.

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### ატლანტა-დალასი 97:104

19:39, 25:19, 23:17, 30:29

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ჩილდრესი (21 ქ. 5 მ), **ზაზა ფაჩულია (14 ქ. 13 მ. 1 პ. 2 ჩ)**, ლიუ (15 ქ. 3 მ. 3 პ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (28 ქ. 5 მ), ნოვიცკი (28 ქ. 4 მ), ტერი (27 ქ. 6 პ. 3 მ. 3 ჩ).

### მილუოკი-დეტროიტი 95:121

26:22, 18:37, 28:28, 23:34

**მილუოკი:** ილიასოვა (21 ქ. 3 პ), ჩ. ბელი (17 ქ. 4 პ), რედი (14 ქ. 3 პ. 2 ჩ).

**დეტროიტი:** პრინსი (28 ქ. 4 მ. 3 ჩ), მაკდაიესი (20 ქ. 9 მ. 3 ჩ), მაქსიელი (19 ქ. 15 მ. 4 დ), რ. მიურეი (16 ქ. 5 პ), ბილაპსი (12 ქ. 5 მ), დელფინო (11 ქ. 4 პ).

### მინესოტა-პორტლენდი 94:93

22:22, 22:25, 24:21, 26:25

**მინესოტა:** გარნეტი (22 ქ. 9 მ), ფოიე (17 ქ. 3 პ), რ. დევისი (15 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), მ. ჯეიმსი (11 ქ. 5 პ), მ. ბლაუნტი (10 ქ. 6 მ. 2 დ), კ. სმიტი (10 ქ).

**პორტლენდი:** როი (22 ქ. 5 პ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (19 ქ. 9 მ. 6 პ), ლ. ოლდრიჯი (13 ქ. 6 მ), უებსტერი (13 ქ), მაგლოირი (10 ქ. 9 მ).

### ინდიანა-ჩიკაგო 92:90

29:28, 23:22, 19:20, 19:22

**ინდიანა:** ჯ. ონილი (39 ქ. 14 მ), მ. დანლივი-უმცროსი (23 ქ. 7 მ. 5 პ).

**ჩიკაგო:** გორდონი (31 ქ. 5 პ. 2 ჩ), დენგი (14 ქ. 10 მ. 3 პ. 2 დ), ჰაინრიხი (14 ქ. 5 მ. 5 პ), ბ. უოლასი (2 ქ. 14 მ. 2 დ).

### საკრამენტო-ფინიქსი 107:100

27:23, 27:24, 23:33, 30:20

**საკრამენტო:** ბიბი (37 ქ. 5 პ. 4 მ), არტესტი (24 ქ. 9 მ. 3 პ), სალმონსი (17 ქ. 5 მ. 4 პ), გარსია (13 ქ. 5 მ).

**ფინიქსი:** ბარბოსა (27 ქ. 5 პ), ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 11 მ), ნეში (18 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), მერიონი (17 ქ. 8 მ. 3 ჩ), რ. ბელი (11 ქ).

### კლივლენდი-დენვერი 93:105

26:23, 27:32, 22:26, 18:24

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (18 ქ. 8 პ. 3 მ), ილგაუსკასი (18 ქ. 9 მ. 3 პ), ჰიუზი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), გუდენი (12 ქ. 10 მ).

**დენვერი:** ენტონი (27 ქ. 5 მ), ნენე (21 ქ. 9 მ. 2 ჩ), აივერსონი (18 ქ. 12 პ. 4 მ), კლეიზა (14 ქ), ჯეი. არ. სმიტი (13 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ).

### ნ. ორლეანი-ჰიუსტონი 106:94

20:30, 24:22, 31:21, 31:21

**ნიუ ორლეანი:** პოლი (28 ქ. 5 მ. 5 პ), დევიდ უესტი (23 ქ. 5 მ), მეისონი (19 ქ), ჩენდლერი (14 ქ. 10 მ. 3 დ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (31 ქ. 6 პ. 5 მ), მინი (16 ქ. 7 მ), ჰედი (15 ქ), ალსტონი (12 ქ).

### სიეტლი-სან ანტონიო 79:120

23:30, 17:23, 25:28, 14:39

**სიეტლი:** რიდნური (16 ქ. 4 პ. 2 ჩ), უილკოქსი (14 ქ. 9 მ. 2 დ), რ. ლიუისი (13 ქ. 3 მ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (19 ქ. 4 მ. 3 ჩ), ტ. პარკერი (18 ქ. 7 პ), დანკანი (16 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ), ვონი (13 ქ. 4 პ), ბონერი (12 ქ. 5 მ), ფინლი (10 ქ. 4 მ. 2 ჩ), ბ. ბოუენი (10 ქ).

### ლეიკერსი-გ.სტეიტი 115:113

35:25, 30:36, 20:27, 30:25

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (43 ქ. 9 მ), ოდომი (24 ქ. 19 მ. 4 პ. 4 ჩ), ს. პარკერი (13 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (31 ქ. 4 ჩ), ელ ჰარინგტონი (23 ქ. 5 მ), ს. ჯექსონი (16 ქ. 9 პ), ბ. დევისი (14 ქ. 8 პ), ბიედრინსი (13 ქ. 12 მ. 2 ჩ).

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### აილენდერსი-რეინჯერსი 1:2 (ო)

0:0, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ორი-2 (ბეტსი-4), 1:1 იაშინი-15 (პოტი-31, შატანი-29), 1:2 ნიულანდერი-23 (შენეჰანი-29, როჟსივალი-28).

### პიტსბურგი-ბოსტონი 5:0

3:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მალკინი-32 (გონჩარი-49, გ. რობერტსი-21), 2:0 კროსბი-33 (გონჩარი-50, გ. რობერტსი-22), 3:0 გ. რობერტსი-17 (კროსბი-77, რაიან უიტნი-43), 4:0 მელოუნი-16 (ჯ. სტაალი-11, იტონი-3), 5:0 კროსბი-34 (კ. არმსტრონგი-21, კრისტენსენი-12).

### კოლამბუსი-სენტ ლუისი 4:1

2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 უელსერი-2 (ჩიმერა-17, ა. ერიქსონი-22), 1:1 უეიტი-13 (მეტროპოლიტი-18, სტემპნიაკი-24), 2:1 მალორტა-8 (ჩიმერა-18), 3:1 მოდინი-20 (ვიბორნი-46, სვიტოვი-11), 4:1 პლატი-4 (ჩიმერა-19, მალორტა-15).

### ჩიკაგო-კალგარი 2:3

2:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰუსელიუსი-32 (იგინლა-51, კონროი-22), 1:1 ვრბატა-12 (ლაპოინტი-10), 2:1 არხიპოვი-10 (სიბრუკი-16, კეიტი-27), 2:2 იელი-9 (ფანოფი-31, ჰამრლიკი-31), 2:3 ჰამრლიკი-6 (ლომბარდი-25, პრიმო-12).

### ვანკუვერი-კოლორადო 4:5 (ბ)

3:2, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პიატი-19 (დ. სედინი-42, ჰ. სედინი-61), 1:1 საკიკი-33 (ბრუნეტი-50, სვატოსი-15), 2:1 დ. სედინი-33 (ჰ. სედინი-62, ლინდენი-12), 3:1 კოუენი-7 (კუკი-17, ბ. მორისონი-28), 3:2 მაკლინი-13, 4:2 პიატი-20 (დ. სედინი-43, ჰ. სედინი-63), 4:3 მაკლინი-14 (კლი-16), 4:4 საკიკი-34 (ბრუნეტი-51, ჰეიდუკი-32).

**ბულიტები გაიტანეს:** მაკლინი (კოლორადო).

# რას ერჩით კობის და გოგუას?

ეს რეპლიკა ორმა ფაქტმა მიკარნახა. პირველი ისაა, რომ შოტლანდიაში საქართველოს ნაკრების დამარცხების შემდეგ, პროგრამა "დროებისთვის" მიცემულ კომენტარში პარლამენტარმა გივი თარგამაძემ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ლევან კობიაშვილი მიწასთან გაასწორა. უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მის თამაშს "უმსგავსო და უპასუხისმგებლო" უწოდა. მართალია, კობიაშვილი არაა საუკეთესო ფორმაში და ეს "შალკეს" ბოლო თამაშებშიც ჩანს, მაგრამ ნაკრებში მას უჯიგროდ არასოდეს უთამაშია და ეს ყველამ იცის.

შოტლანდიასთან მატჩი ჩაagდო? შეეძლო და თავი დაზოგა? კობიაშვილი გლაზგოში მართლა არ ბრწყინავდა და მართლაც, მისგან ყველა გაცილებით მეტ აქტიურობას ველოდით. ამის თქმა ნებისმიერ მოთამაშეს, მწვრთნელს, ჟურნალისტს, გულშემატკივარს შეუძლია, მაგრამ მის თამაშს "უმსგავსო და უპასუხისმგებლო" ნამდვილად არ ეთქმის. უბრალოდ, ფეხბურთელსაც აქვს ალმასვლა-ჩავარდნის პერიოდები.

გივი თარგამაძეც ერთ-ერთი გულშემატკივარია და "ჰემპდენ პარკზე" ჩვეულებრივი ქომაგის ადგილი ეკავა. მაგრამ, როცა ასეთ კომენტარს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკეთებს, დაგვეთანხმებით, ამას ცოტა სხვა დატვირთვა აქვს. ფეხბურთელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი არაა, რომ მისი კრიტიკა ყურიდან ყურში გაეტარებინა ან პასუხი გაეცა. ჩემი აზრით, თარგამაძისგან კობის გამხნევება უკეთესი იქნებოდა. ასე კი, გამორიცხავთ, რომ მსგავსმა შეფასებამ თამაშზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს?

**მეორე** თემა გოგიტა გოგუას უთამაშებლობაა. კლაუს ტოპმიოლერს ეს გიჟმაჟი ნახევარმცველი რომ ძალიან მოსწონს, ორი აზრი არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, "სატურნის" ნახევარმცველის მიწვევას არავინ აიძულებდა. ეს ფაქტია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ტოპმიოლერი გოგიტას მომეტებულმა გაძევებებმა ძალიან დააფრთხო და ბოლო დროს, უმთავრესად მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებს. ასე იყო თურქეთთან, როცა სწორედ გოგუას შემოსვლამ შემატა ჩვენს ნაკრებს დადებითი მუხტი, აგრესია და, რაც მთავარია, საგოლე გადაცემაც.

შოტლანდიაშიც იგივე განმეორდა, მაგრამ ნახევარმცველი აღარ იყო ისეთი ანთებული, როგორსაც ვიცნობთ. რა თქმა უნდა, საქმე არ გაუფუჭებია და გუნდი არ დაუღალატებია, მაგრამ მისგან სულ სხვას ველოდით. მას სათამაშო განწყობა აშკარად არ ჰქონდა. გოგუა კი ერთი დიდი ემოციაა. ამ ტიპის მოთამაშეებზე ნდობა თუ უნდობლობა ძალიან მოქმედებს. ახლაც იმოქმედა. არადა, თუ ნდობას ხედავს, დარწმუნებული ვარ, მთების გადატრიალება შეუძლია და... მოდით, გადაატრიალებინეთ, შეუძლია ამ კაცს ეს, ყველამ ვიცით. სარისკოა? კი ბატონო, მაგრამ გარისკეთ. ვინც რისკავს, ის ხომ შამპანურსაც მიირთმევს...

მე მგონი, ჩემი სიტყვების მართებულობას გოგუას თამაშები ადასტურებს...

**მერაბ მამულაშვილი**



პაატა თოთაძის ფოტო

# ბურთს გაუფრთხილდი!

**როგორ** დამთავრდა, ყველას კარგად გვახსოვს. აგერ ფოტოც, სადაც გოლისწინა ეპიზოდია აღბეჭდილი - გოლამდე ორიოდ წამია დარჩენილი. აქ ხიზანას უკვე ფეხი აქვს ნატკენი. 11 ნომრის დარტყმას რომელილაც ჩვენიანი დაუფარებს, მაგრამ იქვე მეტოქე ბურთს უკან დააბრუნებს. და დაუკვირდით ჩვენს 25 ნომერს, რამსიღრმეზეა ჩარჩენილი საჯარიმოში...

ეს დასასრულია, მაგრამ ვერაფრით გამიხსენებია, როგორ დაიწყო ყველაფერი. უფრო ზუსტად, სად გადატყდა... სად გაგვეპარა... მოგებას ვერ ვიტყვი და - თამაში როდის გაგვეპარა.

მწვრთნელი თითქოს მოსაგებად იყო განწყობილი. მან შეცვალა ორი ყველაზე სუსტად მოთამაშე ფეხბურთელი და შეტევა გააძლიერა. ის ორი შესაცვლელი იყო და მხოლოდ ამაზე შეიძლება კამათი - როგორ უნდა გადაეწყო განლაგება ან კიდევ ვისი შემოყვანა შეეძლო. მაგალითად - რატომ ჩასვა გოგუა ელიავას წინ და რატომ მიაჯაჭვა მარცხენა კიდეს, როცა შეტევაში მარჯვნიდან უფრო გვიჭირდა? რა მივიღეთ ამისგან? გაორებული პაიკი, მეტი არაფერი. თუმცა, გოგუასა და კობიზე ამავე გვერდზე მერაბი წერს.

ელიავა. რიგის სკონტოში მოთამაშე მარცხენა მცველი, რომელიც, წესით ამ გუნდში დიდხანს არ უნდა გააჩერონ - ალბათ უამრავი აგენტი და მაშვალი უყურებდა თამაშს ჰემპდენ პარკზე. მე ძველი ყაიდის განაპირა მცველები გამახსენდა. ასეთები თითქმის აღარ არიან დღევანდელ ფეხბურთში. თამაზ კოსტავა, მაგალითად. მოკლედ, შეტევაში ელიავა ძალიან მაგარი იყო. დაცვაში... პირველი გოლისას თავის კაცზე გადასვლა დააგვიანდა... ყოველ შემთხვევაში, თავისუფლად რომ ჩააწოდებინა, ფაქტია, ხოლო ცენტრალურმა მცველებმა ორი შოტლანდიელის თითო-თითოდ აყვანა ვერ მოახერხეს. ერთ-ერთი თამაშგარე დარჩა, ფაქტობრივად.

და მეორე გოლი აქაა, ფოტოზე. ელიავა უკანაა ჩარჩენილი. ოდნავ გვიან მიხვდა, რომ შეიძლებოდა ბიტის ოფსაიდში ჩატოვება, აიწია, მაგრამ იმათ პასი ჩააბრუნეს საჯარიმოში, ასვლა ვერ მოასწრო და ორთაბრძოლაც წააგო. ეს რომ არა, მაშინ ყველა იტყოდა, რომ...

ახლა ყველა ამბობს, რომ დაცვა გაირღვა. დღევანდელ ფეხბურთში კი ყველაფერი დამოკიდებულია... ალბათობის თეორიაზე. უმეტეს შემთხვევაში, მთავარია, რომ ოცჯერ ჩააწოდო მეტოქის საჯარიმოში. აქედან, 13 ჩაწოდებას მოიგერიებს მცველი, 7 ბურთი მიუვა შემტევს. შვიდიდან 4 დარტყმა კარს აცდება. კარში ნასული სამიდან ორს მოიგერიებს მეკარე და ერთი გაეხვევა კარის ბადეში, როგორც ძველი თაობის ტელეკომენტატორები იტყოდნენ. რიცხვები ყველგან პირობითია, მაგრამ არსი ესაა. და არ არსებობს შეუმცდარი მცველი, მცველთა წყვილი თუ მთელი ოთხეული. თამაშის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ ყველა ცდება, ვინც გინდა იყოს - ნესტა-კალაძე თუ კანავარო-მატერაცი. ასე რომ არ იყოს, გოლი არ გავიდოდა საერთოდ.

მე ვერ ვიტყვი, რომ ხიზანიშვილ-სალუქვაძის წყვილი საშუალო-სტატისტიკურზე მეტად შეცდა. გაიხსენეთ - რამდენჯერ დაარტყეს შოტლანდიელებმა ჩვენს კარში ჩვენი საჯარიმოდან? გინდა თავით და გინდა ფეხით. სამჯერ-ოთხჯერ? მაქსიმუმ. ხიზანამ ძალიან ბევრი, თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოუგო და სადაც ვერ მოუგო, ძალიან ტექნიკურად, ჯარიმა მიალებინა. ვინც საწინააღმდეგო აზრზე დარჩება, ჩანაწერი ნახოს და დაითვალოს.

საქმეც ეგაა, რამდენს ჩააწოდებინებ! ასე იყო უკრაინასთან, როცა იმათი ჩაწოდებების რიცხვმა ყველა ნორმას გადააჭარბა და საბოლოოდ, გოლებად გარდაისახა.

და მივადექით მთავარ სათქმელს. ფეხბურთში ყველა უზუსტო პასი, უმისამართოდ მოგერიებული ყველა ბურთი, თითქმის ყველა მაღალი და გრძელი გადაცემა დაკარგული შეტევაა და მეტოქისთვის ნაჩუქარი კიდევ ერთი ბურთი, ერთი შანსი. და არავინ მსოფლიოში ისე დაუდევრად (უდიერად) არ ეპყრობა ბურთს, როგორც ქართველი ფეხბურთელი.

ამაზე გვეწერა ურუგვაისთან და თურქეთთან მატჩის შემდეგ - რომ ჩვენებმა შეტევაში დაკარგეს უმოწყალოდ ბევრი ბურთი. აგერ, სულ ბოლო მაგალითი გლაზგოდან. 89-ე წუთი. ჩვენების კონტრშეტევა. გოგუა მარცხენა ფრთიდან გრძლად და ზუსტად აწვდის მარჯვნივ, სირაძეს. სირაძე მეტოქის საჯარიმოსთანაა და წინ ერთი მცველი ჰყავს. არც მეტოქის მოტყუებას და საჯარიმოში შესვლას ცდილობს, არც ბურთის დაჭერას და პარტნიორის დალოდებას, არც გვერდზე გასვლას და დროის გაყვანას, არამედ - გაუხედავად, ბრმად გააგორებს ბურთს ცენტრში, საჯარიმოს წინ. ალბათ არველაძე ეგულება იქ, მაგრამ იქ მარტო შოტლანდიელები არიან. და აქ მთავრდება თამაში - დანარჩენი უკვე აღწერილი გვაქვს - შოტლანდია იწყებს შეტევას და ნახევარ წუთში გოლი გადის.

პირველ ტაიმში, პირველი გოლის შემდეგ, როცა ჩვენები აკონტროლებდნენ ბურთს, არაფერი ამის მსგავსი არ იყო. ბოლოსდაბოლოს, იყო შვიდი კუთხური იმათ კართან და ერთის შემდეგ დემეტრაძე ვალდებული იყო, გოლი გაეტანა. საჯარიმოში, კარიდან ათიოდ მეტრში, როცა დაუბრკოლებლად იღებ ბურთს, უნდა გაიტანო, სხვა შანსი შეიძლება აღარ მოგეცეს.

და მეორეში, როგორც გითხარით, ვერ დავიჭირე, სად გადატყდა თამაში. რას დავიჭერდი, თანდათან გადატყდა.

ნელ-ნელა გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე. დაცვა უფრო ხშირად იგერიებს ბურთს უმისამართოდ, უფრო ხშირად გადადიან იმათ ნახევარზე მაღალი და გრძელი პასებით. მეტი რა გზაა, დაბალ და მოკლე პასს ჩვენი ნახევარდაცვა ვერ ინარჩუნებს. მეკარეც უფრო ხშირად ფეხით, შორს, ალალბედზე არტყამს ბურთს.

ჩვენ რომ გოლი გავიტანოთ, ერთადერთი გზაა - კონტრშეტევა. ამის შანსი რამდენჯერმე მოგვეცა. ერთხელ - დავკარგეთ, ორჯერ, სამჯერ... და რამდენი შანსი შეიძლება მოგეცეს? - სრულიად სასრული და თვლადი! ვერცერთი სწრაფი შეტევა ვერ გავმართეთ ბოლომდე. რა ბოლომდე? ბოლო პასამდე საქმე არც მისულა - პირველი ან მეორე გადაცემა იჭედება - ერთი-ორჯერ კონტრ-კონტრშეტევის საშუალებაც მივეცით.

თითოეული დაკარგული ბურთი კი... ამაზე უკვე ვილაპარაკეთ - ყველაფერი გადაიზრდება მეტოქის მეტ შეტევაში, მეტ ჩაწოდებაში, ჩვენების მეტ შეცდომასა და გაშვებული გოლის ალბათობა იზრდება. გლაზგოში გარდაისახა კიდეც გოლად. და ხიზანას რომ კუნთი დაეჭიმა, ეს ხომ შემთხვევითობაა? არა, დაელალა, სულ თამაშში იყო!

**რაგბის** ადგილი თუ დაგვრჩა? ქართულმა ლელობურთმა კიდევ ერთხელ დაამარცხა რუსული რეგბი! ამჯერად - მართლა ლელობურთმა, რადგან მარტო ზედახორებს, სულმოლებსა და სულრაკებს რაგბი ნამდვილად არ ჰქვია. ხერხი სჯობია ღონესა? რუსეთის დასამარცხებლად ამჯერად მარტო ღონემაც იკმარა.

კლოდ სორელი ჩვენ მწვრთნელად მოვიწვიეთ 1997 წელს. რუსებმა... ესე იგი, რუსებზე მთელი 10 წლით წინ ვართ.

სარაგბო საზომებით, დიდი ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ ეს მხოლოდ ახლა, ცხრა მოგების შემდეგაა ადვილი სათქმელი.

მაგრამ წარმოიდგინეთ, ძალთა ფარდობა ქართულ და რუსულ რაგბს შორის... 1991 წელს. ალბათ დაახლოებით ისეთი იყო, როგორც მაშინდელ ქართულ და რუსულ ფეხბურთს შორის.

რუსებს კარგა ხანი ეგონათ, რომ შინნაზარდი (თვითნასწავლი) მწვრთნელი სანია (საშა) პერვუხინი მოაგებინებდათ საფრანგეთში გამოწრთობილ პროფესიონალებთან. რა დასამალია და, ქართულ ფეხბურთშიც დიდხანს ეგონათ ასე...






**მამუკა ჩიხლაძე**

სპორტული გაზეთი
ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა